



ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



ქართული
ბიზნისი

№153 (212) 17-24 იანვარი 2012 სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორგანო 30 თეთრი

მიხედ სააკაშვილი შობის ბრწყინვალე დღესასწაულს გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში დაეწყო, სადაც მიტროპოლიტმა კალისტრატემ კიდევ ერთხელ დაიტკბო პირი მლიქნელის მონღოებით. ამ გულისამრევმა სცენამ ჩემი წერილი გამახსენა, რომელიც ჯერ „საგაღ-დასაგაღში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი „ილორიში“. არაფრის არ სცხვინია ეკლესიის ამ მაღალჩინოსანს (სხვა სახელს მას ვერ დავარქმევთ), რომელმაც ლამის მაცხოვრის დონეზე აიყვანა საქართველოს დამაქცევარი სომეხი სააკაშვილი.

მინც საიდან მოდიან ასეთი უბადრუკი არსებები, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და ამიტომ ღმერთს უდგებიან ზურგი, რათა ხელოვნურად შეკოწიწებული კერპების განდიდებით მიღწეონ მიზანს. კალისტრატეს სოტბა-დიდებით გადატენილ მონოლოგში განსაკუთრებით გამოირჩეოდა პრეზიდენტისადმი ლიქნით მიძღვნილი: „შენ ქუთაისს ძველი დიდება დაუბრუნე“. კიდევ ერთხელ შევახსენებ საქართველოს გონებაგახსნილ მტრებს და გონებადახშულ ბრიყვ მოყვარეებს: საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანით სომეხმა სააკაშვილმა დაიწყო თბილისისათვის დედაქალაქის ფუნქციის ჩამორთმევა, რათა აღმოსავლეთ საქართველო სომეხების საჯირითო მოედნად აქციოს და აღასრულოს მისი დიდი წინაპრების შუშიანისა და ხანჯიანის ოცნება ე.წ. „დიდი არმენიის“ აღდგენის თაობაზე.

მაგრამ, ვერც შენ მიღწევე საწადელს, კალისტრატე! სააკაშვილის ხეობის პერიოდულ დასასრულს უახლოვდება, რადგან სწორედ უფალმა გამოუგზავნა საქართველოს მხსნელად ბიძინა ივანიშვილი, ალქსანდრე ჭავჭავაძე და სხვა პატრიოტი მამულიშვილები, რომლებიც მალე მივიჩნენ ყველას ღირსეულ ადვილს. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორის როლანდ ჯაბაღანიას ინტერვიუ, რომელიც „საგაღ-დასაგაღში“ გამოქვეყნდა (15-21 აგვისტო).

მართლა ენაფორა უნდა დაახლოვდეთ თაყვან-გაენათელ მიზროპოლიტ კალისტრატეს, რომელმაც ამ პირს აკონსერვაციულ სომეხ სააკაშვილს დაიპყრო ალბანური უნდა!

– ბატონო როლანდ, თქვენ წინა ინტერვიუს შემდეგ, რომელიც „საგაღ-დასაგაღში“ რამდენიმე კვირის წინათ გამოქვეყნდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალწილნი საქართველოს“ თავმჯდომარემ ვინმე სტეფანიანმა ქსენოფობად და არმენოფობად გამოაცხადათ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– სტეფანიანმა ისეთი ხალხის გვერდით დამახსხვლა, მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი შეუძლებს. რეზო ჩხეიძესთან, რეზო ამაშუკელთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან და სხვა დიდებულ ქართველებთან ერთად ჩემი დასახელება, რა კონტექსტშიც არ უნდა იყოს, ჩემთვის საამაყოა!

– თქვენთან წინა ინტერვიუში რაც სომეხებზე ვთქვი, ყველაფერი სიმართლე იყო და ამ სიმართლეს ყოველთვის გაუმეორებ, იმიტომ, რომ მე პაერში არ ვლაპარაკობ. ვეუბნებოთ უამრავ ლიტერატურას და

წიგნებს, თუნდაც იმავე ველისკოს წიგნს „კაკასია“, სადაც დამტკიცებულად წერია, რომ სომეხები ყოველთვის ცდილობენ, დამაღონ და შეინდობონ თავიანთი მონოფიზიტობა.

სასაცილოა, როცა სომეხები ლაპარაკობენ, ჩვენ პირველი ქრისტიანები ვართ, რადგან მონოფიზიტებს სინამდვილეში არანაირი საერთო არა აქვთ ქრისტიანობასთან. უფრო მეტიც, როცა ღმერთის ადამიანური საწყისის არ გვქვამს, როცა არ გვქვამს, რომ ქრისტემ კაცობრიობის მიუღი ცოდვები საკუთარ თავზე აიღო და ამ ცოდვების გამოსასყიდად ეწამა, რაღაზეა საუბარი?

– ანდა, როგორ შეიძლება, სომეხები პირველი ქრისტიანები იყვნენ, როცა ანდრია პირველწოდებული უკვე პირველ საუკუნეში შემოვიდა აჭარაში ქრისტიანობის საქადგაბლად?

– ამის თაობაზე ქართულმა ეკლესიამ უნდა გააკეთოს განცხადება! როგორ შეიძლება, ილია მეორეს, საერთოდ, მიეღო გარეგანი მხარე, რომელიც თავისი მრწამსით მილიანად ეწინააღმდეგება ქრისტიანობას

– და რომლის წინაპარსაც ანათემაზე პყავს გადაცემული მიუღი ქრისტიანული სამყარო?

– აქვე აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ მანგლისისა და წაღის მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე თავის ნაშრომებში საერთოდ უგულვებელყოფს კოლხეთს, კოლხურ კულტურას და ამბობს, რომ ამას საქართველოსთან არაფერი არა აქვს საერთო. ამის გამო მან ცნობილი მეცნიერებისგან საკადრისი პასუხი მიიღო და განუშვია. ოდნავ არ თქვან, დიდი კოლხური კულტურის შემკვიდრები ვართ და თანახმანი არიან, განაცხადონ რომ ქართველებს სომეხური ძირები გვაქვს!

– ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა სააკაშვილს უთხრა, დავით აღმაშენებელი ხარო! ამაზე დიდი მკრეხელობა რა უნდა იყოს? შენი წინდანი ასე შეურაცხყოფა შეიძლება? რეზო ამაშუკელისა არ იყოს, მართლაც ანაფორა უნდა დაეხასო თავზე ამ კალისტრატეს, რომელიც კრისტიანობის ამოხრებელს, ამ რჯულისა და რწმენის დამაქცევარ სომეხ სააკაშვილს დავით აღმაშენებელი უწოდა!

– ესენი რაიმე ხიროს მოუტანენ საქართველოს? ეს სათქმელია და, პირველ რიგში, ჩვენ, მრევლმა უნდა ვთქვათ! დიდ პატივს ვცემ ბატონ რეზო ამაშუკელს, ბატონ თამაზ წიგვიძას, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს, ჩვენ მათ შემოქმედებაზე გაიზარდეთ და დღესაც რომელ ქართველს შეეპარება ეჭვი მათ დიდ პატრიოტიზმში, დიდ გულისტკივილში საქართველოს მიმართ, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ეს დიდი ადამიანები ვერ ხედებიან, რომ შევარდნაძემ გაყიდა საქართველო და მიჰყიდა სომეხებს?

– რატომ ფიქრობთ, რომ შევარდნაძემ საქართველო სომეხებს მიჰყიდა?

– აბა, საიდან აღმონდნენ ეს სომეხები საქართველოს ხელისუფლებაში? თქვენ გჯერათ, რომ „ვარდების რევოლუცია“ მართლა რევოლუცია იყო? როგორ ხსნი, რომ ეს „ბაცნები“, ეს ჭინკები ხელისუფლებაში მოვიდნენ?

– საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, ხელისუფლებაში მათ მოხელას ამერიკა უჭერდა მხარს...

– პარლამენტში რომ შევარდნენ, ამერიკელებს უნდა გაეჩერებინათ? უნდა გაეჩერებინა პოლიციას და უშიშროებას, მაგრამ ხელი არავის გაუშინებია, არც უშიშროების მინისტრ ხაბურზანიას და არც შინაგან საქმეთა მინისტრ ნარჩემაშვილს. ახლა სააკაშვილსა და მის ბანდას ეშინია, რომ

შევარდნაძემ არ აღიაროს, ხელისუფლება სომეხებს მიჰყიდა და თავზე ვეფიქრობიან.

– მე ვთხოვ ბატონ რეზო ამაშუკელს, ბატონ თამაზ წიგვიძას, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს, მივიდნენ შევარდნაძესთან და სთხოვონ მას, აღიაროს, რომ ხელისუფლება სომეხებს მიჰყიდა! ამით ყველაფერს ნათელი მიუფინება და ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ გაიკვება სიმათლეს!

– მე თქვენ წინა ინტერვიუში გითხარით და ახლაც გიმეორებთ, იმიტომ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია: არსებობდა „სომხეთის რუსეთი“ და „სომხეთის რუსეთი“. ჩვენმა სომეხურმა ხელისუფლებამ „საქართველოს რუსეთი“ მოკლა და გააადგილა „სომხეთის რუსეთი“, რომელიც დღეს სისხლს სწოვს საქართველოს.

– დღეს ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლის ყველაზე დიდი წინააღმდეგი სწორედ ეს „სომხეთის რუსეთი“ იქნება. ახლახან შედეგებმა განაცხადა, ტანკები თბილისისკენ რომ დაგეგმება, საერთაშორისო თანამეგობრობა რას იტყობდა? კი მაგრამ, დღისით-მისით გორში ყველა კონვენციით აკრძალული ბომბები ჩამოყარე, უცხოელი ჟურნალისტისა და უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე შეიწირე და ამის არ შეგერცხვა და ორი ნაბიჯით წინ რომ წამოსულიყავი, იმის შეგერცხვა?

– საქმე ის არის, რომ „სომხეთის რუსეთს“ ხელს სრულიად არ აძლევს ხელისუფლებიდან ამითი წასვლა!

– მეტსაც გეტყვით, სააკაშვილს რომ საქართველოდან გასაქცევად გაუხდეს საქმე, რუსეთი თავშესაფარს მისცემს, იმდენი სიკეთე აქვს სააკაშვილს გაკეთებული „სომხეთის რუსეთისათვის“!

– ამიტომ, ქართველებმა სასწრაფოდ უნდა ადგადონ და გაავადიერონ „საქართველოს რუსეთი“!

– თქვენს გაზეთში ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ წაკითხე, სადაც წერს, „ნაციონალებმა“ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ კაკასიაში სომხეთი გახდეს ღიღერი ქვეყანა. მინდა გითხარათ, რომ ეს არასოდეს არ მოხდება!

– რატომ არ მოხდება? ფაქტია, რომ საქართველომ კაკასიაში ღიღერის პოზიცია დაკარგა!

– კაკასიის ხალხებს გენეტიკური მეხსიერება ჯერ კიდევ აქვთ შემორჩენილი და მათ ქართველი კაცი ახსოვთ ხმლითა და ფართი ხელში, ვაკარი სომეხი კი ახსოვთ მხოლოდ არმინიანთ ხელში! სამხრეთიდან შემოსული მტრის მოსაგერიებელი მყარი კედელი კაკასიის ხალხებისათვის ყოველთვის საქართველო იყო, ჩვენ ვიღებდით ყოველთვის მტრის პირველ დარტყმას. სამწუხაროდ, დღეს კაკასიაში აშკარად არ ბრუნავს წაღმა ისტორიის ჩარხი, მათ შორის არც რუსეთისათვის. ნაკლებ სარწმუნოა, რომ ამ ჩარხის წაღმა დატრიალება შეძლონ სომეხებმა ან თუნდაც იმ უქონურმა ჩრდილოკაკასიელებმა, რომლებიც იქ დღეს „აკონტროლებენ“ სიტუაციას. ისევე, როგორც მე-19 საუკუნეში, ეს კვლავ ქართველებმა უნდა გააკეთონ. სხვაგვარად ჩრდილოეთ კაკასიას პანთურქიზმი წაღეკავს!

– ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როგორ დაკარგა ქართველმა კაცმა თავისი ფუნქცია კაკასიაში, ეს შესანიშნავად აქვს აღწერილი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“. სომეხს თავისი ფუნქცია არასდროს დაუკარგავს, როგორც ეკავა ეს არშინი ხელში, ისევე ისე შეიტოვა და ფული აკეთა! დღესაც ასე ხდება! ქართველები ჩვენი მემკვიდრე სულის გამო გატლავდნენ და გალოკივლები გავხდით.

– სომეხებმა კი ფული იშოვეს და ამ ფულით გვებრძვიან ახლა! რუსებმა თავიანთ ისტორიაში კარგად უნდა ჩაიხედონ. უძლიერესი სახელმწიფო რომ ჰქონდათ, ორმოცდაათი წელი რომ შეიძინებ და ძლიერ დაშალეს, ის სახელმწიფო ქართველი სტალინის შექმნილი იყო!

– დიას, სტალინი ქართულ სულს ატარებდა და მისი მმართველობის პერიოდში აყვავდა საქართველო!

– თუმცა, სტალინის დროს სისხლიანი რეპრესიებიც იყო საქართველოში...

– დიას, რეპრესიებიც იყო და ამის გამართლება შეუძლებელია. მაგრამ ფაქტია, რომ სტალინის დროს ქართული კულტურა, ხელოვნება, განათლება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა ყველა, ქართველი კაცი მყარად იდგა ფეხზე. ახლა ესენი სტალინის მასონების დავალებით ებრძვიან!

– მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის ხელისუ-

ფლებასა და „სომხეთის რუსეთს“ შორის მიმდინარე ბრძოლა სინამდვილეში თამაშია. ამაზე გადატანილი მთელი ყურადღება და ამ დროს გვართმევენ სულიერებას, რელიგიას, მამის სახელს, ეროვნებას, სალოცავებს, ტერიტორიებს...

– ძალიან კარგია, რომ საქართველოს ეკლესია და რუსეთის ეკლესია ამ თამაშს არ არიან აუილილები. ეს სტოვებს იმედს, რომ, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს საერო ხელისუფლება ოდესმე შეისვენენ ჩვენი ეკლესიების დადგინება! პო, ზემოთ, როცა სომეხების მონოფიზიტობა და ანტიქრისტიანობა ვახსენებ, ერთი მთავარი ნონ-სენსი გამოიძრა!

– რა ნონსენსი?

– ის, რომ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მცველები არიან სომეხი ტერტრები!

– ეს ნონსენსი რატომ არის?

– საქმე ის გახლავთ, რომ საფლავი აქვს ადამიანს. ღმერთებს ხომ არა აქვთ საფლავი? სომეხები ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ადამიანი არ ყოფილა, ხორციელი ბუნება არ გახანდა და მხოლოდ სული იყო... თუ ქრისტე ადამიანი არ იყო, მაშინ საფლავი როგორდა აქვს? შეიძლება სულს საფლავი ჰქონდეს? იმით, რომ ქრისტეს საფლავი არსებობს, დასტურდება, რომ ქრისტე ადამიანი იყო, რასაც სომეხი არ აღიარებს. თუ ამას არ აღიარებ, მაშინ ქრისტეს საფლავის მცველად რა გინდა? ქრისტეს საფლავის მცველებმა სომეხებისათვის კომერცია და ბიზნესია. ქრისტიანი კაცი რომ მიხვიდე ქრისტეს საფლავზე, სომეხ ტერტრებს ორასი დოლარი უნდა გადაუხადო!

– რამდენი საუკუნეა, რაც სომეხები არიან ქრისტეს საფლავის მცველები?

– მე-16 საუკუნიდან არიან! ერთხელ, ადღომის დღესასწაულზე სომეხებმა ქრისტეს საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გამოსატანად მართლმადიდებელი პატრიარქი არ შეუშვეს. სომეხი მღვდელი შევიდა, მაგრამ ქრისტეს საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლი არ გადმოვიდა, მარმარილოს სვეტი გასკდა დაბაზში და იმ სვეტიდან გადმოვიდა წმინდა ცეცხლი! დღესაც ატყვია ამ სვეტს ცეცხლის კვლი...

– ასე რომ, ქრისტეს საფლავის მცველებად სომეხების ადგილი არ არის! დიას, სრულიად საქრისტიანო შეურაცხელოვანა, რომ ქრისტეს საფლავის მცველებად სომეხი მონოფიზიტი ტერტრები დგანან!

– დაბოლო, საქართველოს ეკლესიაც იმდენი უღირსი სასულიერო პირით არის გაგებული, რომ რუს-ურბნისის საეკლესიო კრება ჩასატარებელი, მაგრამ ამას გიორგი ჭყონდიდელის დონის ფიგურა სჭირდება, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, არ გვაქვს!

– ესაუბრა ჯაბა ხუზუა

P.S. შენ ხომ ის კარისტრატე ხარ, რომელიც იგივე მონღოებით უამეგა გუნდრუკს ჯერ კიდევ პრეზიდენტ შევარდნაძეს და ქაღაგების დასასრულს ისიც კი დააყოფო: ვისაც პრეზიდენტი არ უყვარს, მისი ფეხი აქ არ ენახო. ეტყობა, დიდ პატივში ჰყავარს ყველა ხელისუფლებას, სწორედ შენი ამაზრზენი პირმითნების გამო. სააკაშვილს კი ნამდვილად უყვარს შევარდნაძე, რადგან ამ უკანასკნელის მიერ გათამაშებული „მარტინის რევილუცია“ წოდებული ინტრიგა რომ არა, სააკაშვილს არავინ აირჩევდა ქვეყნის პირველ პირად!

– მოკლედ, იმ დღის მომსწრეს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქუთაისში ქრისტეშობის კი არა, მიშაშობის დღესასწაულს ზემობდნენ.

– ახლა მინც დარწმუნებით მკითხველო, კიდევ ერთხელ, თუ სააკაშვილის სახით როგორ ძალებს უკმევენ გუნდრუკს ხუნტრუცი და ქათმისებური კრიახით ეს, როგორც ერთმა ქუთაისელმა ენამოსწრებულად თქვა: მართლაც გასაკრეჭ-გასარუჯი კარისტრატე (უფრო მართებულად იქნება, რომ ამგვარ ურცხვ მლიქნელს „კარის მეხობე“ ვუწოდოთ) და მისთანები, რომელთაც, მლიქნელობის სანაცვლოდ, იმის იმედი აქვთ, რომ საჭირო ვაშს სომეხური ხელისუფლება სამაგიერო სამსახურს გაუწევს.

– ვერ ეღირსებიან!

– დიდი ვაჟს გმირის – ზვიადურის უტეხი სულის ნაჟური მახსენდება, პირში რომ მიახალა გადამთიელ მკველებს:

– „ტყუილად ცდილობთ, ღორებო, ძაღლ იყოს თქვენი მკვედრისადა!“

„წითელი ინტელიგენცია“ - გზიდან გამოსვლა და დამოუკიდებელი საპრობლეო მისაზრება

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან ჩამოგდება ჯერ კიდევ მაშინ იყო დაგეგმილი ვეუარდ შევარდნადის მიერ, ვიდრე ზვიადი ჯერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გახდებოდა, შემდეგ კი ქვეყნის პრეზიდენტი.

დაიხ, „წითელი ინტელიგენცია“ სკორდებოდა ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია და ამის განხორციელების გზაზე მათ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ელოებოდნენ.

ჯერ მერაბ კოსტავა მოკლეს! სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ტრაგიკული მოვლენები ხელოვნურად აბიურეს მის შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ეს სრულიად გაუგებარი და საქართველოსთვის თავსმოხვეული „ოლქი“ გააუქმა. ეს უბედურება საკმაოდ მოხერხებულად „გაუნაღიეს“ ზვიადს და იქ მოწყობილი პროვოკაციის შედეგად დევნილების პირველი ტალღის წარმოქმნა სწორედ გამსახურდიას გადაწყვეტილებად ეროვნულ მსოფლმხედველობას დააბრალეს!

აფხაზეთის ომის ზვიადზე გადაბრუნება ვერ მოხერხდა - საპრეზიდენტო არჩევნებზე მოპოვებული 87-პროცენტთან გამარჯვებამ შევარდნა და მისი ამფონები შეაშინა და ამიტომ დააჩქარეს პუტჩი! ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი შევარდნაქმნი წინასწარ გაფორმებული კარიგების პირობათა გათვალისწინებით ძმთაშვილები ომი წამოიწყო აფხაზეთში, თუმცა მასწონათ პროპაგანდისტული მანქანის თვალთმაქცური ბრუნვით შესძლო იმის ილუზიის შექმნა, რომ ამ ომის მსხვერპლი განაპირობა იმან, რომ ზვიადის მომხრე ძალებმა დევნილებს გზა გადაუკეტეს ვალში და ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ, რომ ჭებურის უღელტეხილი გადმოეფლათ, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. იმდროინდელი მწირი საინფორმაციო საშუალებების პირობებში შევარდნაქმნი და მისმა ბანდამ დროებით შესძლეს ხალხის დარწმუნება, მაგრამ დრომ ყველაფერს ახად ვარდა.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზვიად გამსახურდიას სამხედრო გადატრიალება საკმაოდ სწრაფად და იოლად მოუწყვეს. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა - პრეზიდენტის პოლიტიკური გამოუცდლობიდან და მიმტვერველი ხასიათიდან დაწყებული, საკადრო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომებით დასრულებული.

პუტჩის მერე და სადღესო გადასახედიდანაც უკეთ ჩანს, რომ გამსახურდიას გარე-მოცვა სავსე იყო კრემლის ავანტიურით. მართალია, ზვიად გამსახურდია ისევე მისმა თანაგუნდლებმა დაამხეს, მაგრამ გადაწყვეტი რილი ე.წ. წითელმა ინტელიგენციამ ითამაშა, მათ გამოვეცი ძალის რილი შეასრულეს ამ გადატრიალებაში, რადგან ხალხის უკმაყოფილების პროტესტის შეუკავებელ ფორმად და ხალხის ბრბოდ გადაქცევა უბადლოდ მოახერხეს.

მაშინ, ისევე როგორც ახლა, ეროვნული მოძრაობის ვერცერთი ლიდერი, ცალკე და ერთად აღებული, ვერ შეძლებდა ქართული საზოგადოების დაპირისპირებას გამსახურდიასთან, დაპირისპირებას იმდენად რადიკალურად, რომ საქმე სისხლისღვრამდე მისულიყო. დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვისმართო, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა რეიტინგები, ანუ წილია ხალხისათვის მიმართ არ იყო იმდენად მაღალი, რომ ხალხი გაეყოლოდა.

ორად-ორი ლიდერი იყო მხოლოდ, რომელთაც ხალხი ბრძანდაც კი გაუკვირებოდა - მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. კოსტავა ცოცხალი ადარ იყო და ის არც დაუშვებდა ხალხის შუაზე გახლეჩას, გამსახურდიას კი პრეზიდენტი იყო და სწორედ მას ებრძოდნენ.

ინტელიგენცია, მაშინაც და ახლაც, დემოკრატიის მოთხოვნით აპელირებდა. გამსახურდიას ნაუშესკუს ეძახდნენ, სააკაშვილი - მილოშვილის ეძახდნენ. ორ პრეზიდენტს არ ვაძარბებ ერთმანეთს, უბრალოდ, მინდა გაგახსენოთ, სხვადასხვა დროსა და პერიოდში, ერთი და იგივე ადამიანები რატომ იქცეოდნენ ინტელიგენტად, მინდა გიხსენოთ სახე ამ ადამიანებისა, როგორც პოლიტიკური პროცესების მონაწილეებისა, თორემ ვისზეც ქვემოთ ვისაუბრებ, არცერთი მათგანის უმადლესი დონის პროფესიონალიზმში, საკუთარ სფეროში მიღწეულ უდიდეს წარმატებებში ეჭვი არ შემაქვს.

ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ ე.წ. წითელი ინტელიგენციის ჩანაცვლება დაიწყო ეროვნული მოძრაობიდან მოსული ინტელიგენციით. ეს კი ნიშნავდა, რომ ე.წ. წითელი ინტელიგენცია კარგადა გაგლენას ქვეყანაში, კომფორტს, პრივილეგიებს და ამ პრივილეგიებს ანაცვალეს ქვეყნის საბოლოოდ ქვეყანა. ეს ხალხი მაშინ გულზე მჯიღს იცემდა და პატრიოტიზმში უჯობებდა გამსახურდიას - კაცს, რომელმაც მიიღო შეგნებული ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებას მიუძღვნა და ამ საქმეს შეეწირა კიდევ, ეს „პატრიოტები“

კი, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, ჩირგვებში შეიმალნენ (უმრავლესობა) და მოიფუფილი გაუქმი უცხოეთს შეაფარეს ომის დამთავრებამდე.

უცნაურია, რომ ე.წ. წითელი ინტელიგენცია გააფთრებული ითხოვდა დემოკრატია. დაიხ, სწორედ ევროპულ დემოკრატიას სასწრაფოდ ითხოვდა ის ხალხი, რომელიც საბჭოურ დიქტატურაში იყო გაზრდილი. მათ შემოქმედებას ყოველ ფენის ნაბიჯზე საბჭოური ცენზურის კვალი ეტყობოდა, ცეკა-ს მდინების კაბინეტებში ოთხად მოკეცილები შედიოდნენ და ერთმანეთს ანობიშორი წერილებით ასმენდნენ - ანტი-ნაციონალი ელემენტია, ანუ დემოკრატიული იდეებით შეპყრობილი.

მართლა საოცარია, საბჭოთა კავშირის დანგრევიდან ერთ წელიწადში, ამ ხალხში საიდან განიდა დემოკრატიის ასეთი უზომო დოზით მოთხოვნილება. გეგონებოდათ, მთელი ცხოვრება პარისსა და ვენაში ჰქონდათ გატარებული. აი, სწორედ ეს ინტელიგენცია დაიყენეს ფარად და ნამუსად სიგუამ, კიტოვანმა და იოსელიანმა და მოაწყვეს გადატრიალება. ამ ინტელიგენციამ „გაუპრავა“ „ტროიკას“ ყველაზე სისხლიანი ქმედებები, რაც პუტჩის მოწყვეს და ეს ე.წ. წითელი ინტელიგენცია იბრძოდა არა დემოკრატიისთვის, არამედ დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად. მათ ეს უსძლეს და რეგანში მოუწყვეს გამსახურდიას, დაბრუნდნენ ავანსცენაზე და ე.წ. წითელი ინტელიგენციის დამფარველს, ედუარდ შევარდნაქმნი გაუგარდნენ უცხებში - ადიდგინეს დაკარგული პრივილეგიები.

დღეს უკვე მიხედა სააკაშვილს დაუპირისპირდნენ, რომელიც მათმა სათავეს დაუდგინა შევარდნაქმნი მოგვივლინა თავისი ბინძური დაუთმავრებელი საქმეების დასამთავრებლად.

საფრთხე იგივეა - პრივილეგიების დაკარგვა. სააკაშვილმა ე.წ. წითელი ინტელიგენციის ნაწილი უკვე ჩანაცვლა ახალი ლიბერალ-დემოკრატიული იდეებისა და ლიბერლების ერთადერთ ახალგაზრდა მეცნიერებთან და შემოქმედებით. ამის მერე გახდა მათთვის სააკაშვილი სადამპყვინთა. ბოლოს და ბოლოს, 20 წელი გავსდა გამსახურდიას დამხობიდან, მაგრამ ეს ადამიანები არ იცვლებიან - მათ ისევე „დემოკრატია სწყურიათ“.

მათ მხოლოდ მაშინ აკმაყოფილებთ დემოკრატიის ხარისხი, როცა პრივილეგიებულ მდგომარეობას ინარჩუნებენ, მათთვის შევარდნაქმნი მმართველობა დემოკრატიის აპოთეოზი იყო, რადგან მაშინ არ აკლდათ არანაირი ამქვეყნიური სიამე, როცა ხალხი შიმშილით იხოცებოდა, ამ ე.წ. წითელი ინტელიგენციის ელიტარულ ნაწილს, ყველაზე პრივილეგიურულ ფენას, ერთი დღე არ მოშებია, პერსონალური მანქანები ემსახურებოდათ, შინ „დვიოკები“ ევდათ და ხალხი და დემოკრატია სულ ცალ ფეხზე, ან ოდნავ უფრო ზემოთაც კეიდათ.

დაიხ, 20 წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დანგრევიდან. ქვეყანაში ყველაფერი იცვლება, მაგრამ არ იცვლება პრივილეგიების მადიბეული ფენის ინტინქტები. დაიხ, ინტინქტები - არ დაკარგონ, ან დაკარგული ნებისმიერი გზით დაიბრუნონ. ისინი თანახმაი არიან, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისგან განსხვავებით, რომ ხელისუფლება დაამხონ. დემოკრატიის გარდა, აპელირებენ სანდრო გირგვლიანისა და ბუტა რომაქიძის მკველვლებით, პოლიტიკატიმრების სიმრავლით, საერთოდ, ადამიანის უფლებაში დაცვის დაბალი ხარისხით ქვეყანაში, კერძო საკუთრების სახელმწიფო რეკვირით და ა.შ. დაიხ, დღეს ეს ხალხი გამოდის მართლა უსამართლოდ დაღუპული ბიჭების სახელით, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, როცა ჯაბა იოსელიანის, კიტოვანისა და გოგა ხაინდრავას ბანდები, ჩელუსკინელების ხიდთან, დიდუბის მეტროსთან, იგოეთთან, დიდოში - გამსახურდიასთვის თავშესაფრულ უწყვერვლაში ბიჭებს ხერხდნენ და მერე, კვირების განმავლობაში, ცხედრებს არ ატანდნენ ჭირისუფალით.

ამ ინტელიგენციას ხმა არ ამოუღია მაშინ, როცა გამსახურდიას მომხრეებს სახლ-კარს უწავდნენ, როცა თბილისში და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, შინ უცვივებოდნენ ზვიადის ტეპებს და მათ ქონებას „ურალებზე“ ტვირთავდნენ და შინ ეხიბებოდნენ - ამას ინტელიგენციის მხარდაჭერილი და პატრიოტებად შეარაცხული მხედრობელები, კიტოვანისა და ხაინდრავას ბიჭები სწავლიდნენ.

დემოკრატიის მომხრე ინტელიგენციამ ხმა არ ამოღო, როცა „მხედრობელები“, ერთი პუბლიკაციის გამო, რედაქციაში მიუვარდნენ იარაღით გახეთ „მანისს“ რედაქტორს, ბონდო ქურდაძეს, სცემეს, მასვე მიაყოლეს ჟურნალისტი ვიგლა გობეჩია, რომელსაც არ აპატიეს, რომ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობა დააყენა ეჭვქვეშ და ხელი გაიშვირა იმდროინდელი ხელისუფლებიკენ, დევნაში იყვნენ ჟურნალისტი ლეილა კვირიკაშვილი, დავით სოკოლოვი, კინადამ დახვრიტეს მამუკა არეშიძე, სწორედ

„მხედრობელებმა“ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა გახეთ „7 დღის“ ჟურნალისტს, ლია ტოლოკიშვილს - ავტობატის კონდახებით სცემეს...

კიდევ უამრავი ფაქტის გახსენება შეიძლება. ეს ხალხი ლაპარაკობს დღეს, ოცი თუ ორმოცი პოლიტიკატიმრია საქართველოში, როცა არ გაუპროტესტებიათ ედუარდ შევარდნაქმნი სიტყვიერი ბრძანებები - პოლიტიკური მოძრაობა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ყველა რაიონული ორგანიზაციის ლიდერი, ამ ორგანიზაციის ყველა პარლამენტარი ადგილზე დახვრიტია, ხოლო რიგითი წევრები მოკონილი მიზეზით დაეპატიმრებია საქართველოში - ბევრს გამოუყვანეს წირვა, ძალიან ბევრი დაიჭირეს, აწამეს, ზოგი შემოაკვდათ, ალექსანდრე ჭაჭია ქვეყნიდან გააქციეს, უმრავლესობას კი მრავალწლიანი სასჯელი მოახდევინეს. სხვათა შორის, მაშინ ცხებებში ადგილი არ იყო და მილიციის განყოფილებაში „კაპუჩეში“ ჰყავდათ თევობით სასჯელმისჯილი ხალხი გამოძევადებული.

ამაზე კინტი არ დაუძრავთ, დღეს პატიმართა უფლებების დაცვაზე ლაპარაკობენ - ერთ ნარზე ორ კაცს სხინაესო. მაშინ, ერთ ნარზე 10 კაცს ეძინა, ნაწილს - ბეტონის იატაკზე და ადვილი იქაც არ იყო. მაგრამ ეს არ აწუხებდათ - თავად ეძინათ ბუმიბულის ლოგინში. ძალიან კარგად მესმის კორტობან ჩაცხრილული ზურაბ ვახაგაშვილის მამის, იური ვახაგაშვილისა. იქნებ ეს საქმე დასარღვევად ხელახლა გამოსაძიებელია, მაგრამ რა მორალური უფლებით ლაპარაკობენ „საკაშვილის სისხლიან რევიმზე“ ის ადამიანები, რომელთაც ყაიდადც კი არ გაუპროტესტებიათ გოგა ხაინდრავასა და გოგა ხაინდრავას რაზმების მიერ ბარათაშვილის ხიდთან ჩაცხრილული ავტობუსის ამბავი. ეს 1992 წელს, 6 იანვარს გამოინიხსა მოხდა, როცა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ავტოკოლონა თბილისს ტოვებდა. მაშინ, იმ ავტობუსში 5 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და არცერთი არ იყო ზურაბ ვახაგაშვილზე და სანდრო გირგვლიანზე უფროსი.

ბარზე ვთქვამთ, ვინ არიან ეს ადამიანები, საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, მუდამ მზად რომ არიან ნებისმიერი ფორმით ხელისუფლების შეცვლაზე, რომლებიც ნებისმიერი ნაძირებისგან შექმნილ პოლიტიკურ ოპოზიციას აღტყინებთ ხვდებიან, რომლებიც დაკარგული დაუბრუნებენ, სამშობლო, ხალხი კი, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკეიდათ!

ბიბა ლორთქიფანიძე - ამ უბრწყინვალესმა რეჟისორმა საქართველოს ისტორიაში, ვაგეობ, თავი სხვა რამითაც უნდა დაიმკვიდროს. გამსახურდიას ლანძღვასა და ჯაბა იოსელიანის ქება-დიდებას წლები შეუღია. „გამსახურდია უნათო მმართველია, ის დაუპირისპირდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილს - ინტელიგენციას და ეს ინტელიგენცია მას გადაიყოლებს“ - იმუქრებოდა 1991 წელს გოგა ლორთქიფანიძე. ხოლო ჯაბა იოსელიანზე ამბობდა, რომ მას ბავშვობიდან იცნობდა. „კაცი ახალგაზრდობაში, ერთხელ შესცდა და ნუ გადავადგინებ ახლა ამას. ჩემდა გასაკვირად, ჯაბა ჩამოყალიბდა ბრწყინვალე პოლიტიკოსად, შესანიშნავი მწერალი და დრამატურგი რომ იყო, ეს ისედაც ვიცოდი“, - აცხადებდა პრესით ლორთქიფანიძე. მაშინ, ჯაბა იოსელიანი ბრწყინვალე პოლიტიკოსი იყო, ბატონო გოგა? მაგ სიმართლით გატაროთ ღმერთმა! ის, „ერთხელ შემცდარი“ ჯაბა კი, ცხებში სამჯერ იჯდა - ყანალობის, გაუპატრონობისა და ქურდობისთვის. აი, ვგარის თქვენი სამართალი და ინტელიგენცია. ჯაბა იოსელიანმა სახელმწიფო საბჭოში შეეყვანათ. მერე პარლამენტში მოხვდით, აბა, სხვა რა გზა გქონდათ? ქება უნდა აღგვეღინათ მისთვის! დღეს, გოგა ლორთქიფანიძე „საკაშვილის რევიმის“ ერთ-ერთი უპირველესი მოწინააღმდეგეა და ხვალ-ზე, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ძალით დამამხეს ეს ხელისუფლება, ალბათ, იტყვის - გოგა ხაინდრავა ბრწყინვალე რეჟისორიაო, სამაგიეროდ დივიდენდებს მიიღებს.

რამაზ მიშველაძე - გამსახურდიასთან ბრძოლის პირველ ეტაპზე არ აქტიურობდა, მაგრამ, როცა ნათელი გახდა, ზვიადის ხელისუფლებას საფრთხე ემუქრებოდა, სულ სატანასა და დიქტატორს ეძახდა ზვიადს. ყველაფერი გააკეთა, რომ ხელისუფლების დაშლაში თავისი წვლილი შეეტანა. ახლა მერე „კრუზზე“ - სააკაშვილს იმავე მიზეზ-ბრალდებებით უპირისპირდება, რითიც გამსახურდიას დაუპირისპირდა - განათლება და კულტურა მისკო, დემოკრატიის ნახაზი არ არის ქვეყანაში. არადა, მიშველაძეს დიადი დემოკრატია ნანახი და განცდილი აქვს - ასლან აბაშიძისთან „აღორძინებაში“.

ზახტან შიბაბიძე - მან განსაკუთრებული როლი შეასრულა გამსახურდიასთან იდეოლოგიური ბრძოლის საქმეში. ებრძოდა

მაშინ, როცა საზოგადოება „თბილისელის“ წევრი გახდა. სწორედ ეს საზოგადოება გახდა მეზიარატრე გამსახურდიასთან თბილისის დაპირისპირების და აკი შედგეს კიდევ. სწორედ ამ საზოგადოების ოფისში რიგდებოდა ავტობატებით მოხალისეთათვის, რომლებიც „მხედრობას“ და კიტოვანის გვარდას უერთდებოდნენ. „რუსთაველის საზოგადოებას“, რომელიც შევარდნაქმნი გვემის ნაწილი იყო და მისივე ფულით ფინანსდებოდა, მაშინ თენგიზ სიგუა თავაჯცობდა. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია.

ნორდარ ლორთქიფანიძე - ის ეროვნულია, რომელიც „ინტელიგენტურ ზღვარს“ გასცდა, ისიც კი განაცხადა, იარაღი რომ მომცა, ზვიადს სიამოვნებით გაუვრებდით შუბლს. დიდი არა, მაგრამ მცირე დოზით მაინც ილაშქრებს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ნოდარ ლორთქიფანიძე მიიღო მერე ჯილდოდ მინისტროს საბჭოს სათათბიროს წევრობა და დეპუტატობა. სხვათა შორის, ერთადერთს ყოუ ნამუსი ამ ინტელიგენტებიდან ევადრებინა - ზვიადს იარაღით ვებრძოდით.

მარიამ ლორთქიფანიძე - ქალბატონი მარიკა თითქოს შედარებით მოზომილი იყო გამსახურდიას შეფასებაში, მაგრამ მაინც დიქტატორს ეძახდა მას. იმ ხალხს კი, ვინც გამსახურდიას ევდა გვერდით, - გაუნათლებელ და პირდაუბანელ ადამიანებს. დიდი წვლილი შეიტანა სამოქალაქო დაპირისპირებაში, მაგრამ დღეს ამაზე კინტი არ ძრავს. მარიკა ლორთქიფანიძე იყო ერთ-ერთი მოძღვარი უნივერსიტეტის სტუდენტთა იმ ნაწილისა, რომელიც გამსახურდიას წინააღმდეგ ამხედრდა. მარიკა ლორთქიფანიძე მეტ დემოკრატიის ითხოვდა ზვიადისგან, ანტიდემოკრატიულობაში ადანაშაულებდა, უნივერსიტეტის დანგრევის აბრალებდა. ახლაც ანალოგიური ბრალდებები აქვს, ოღონდ, სააკაშვილის მიმართ. თუმცა, ამ ბოლო დროს, მიეყუდა. ჰო, ჯაბა იოსელიანის გაიდვალვაში მძახე ნაკლები წვლილი არ შეუტანია თავის დროზე და „ბრწყინვალე ინტელიგენტიც“ უწოდა.

ოთარ მელვინიეთუხუცესი - „დათა თუთაშისას“ განმასახიერებელმა ეკრანზე საქმე ისე გაიხადა, ერთი პერიოდი სამეგრელოში შიშით ვეადრ ჩადიოდა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ასმათ ტყაბლაძე ინტერვიუში აცხადებს: „ოთარ მელვინიეთუხუცესი კინოშია დათა თუთაშისა, ცხოვრებაში ის ნიკანდრო ქილიაა, გაიძვრა და მკვლელო...“ „ნიკანდრო ქილია“ ახლა სააკაშვილს ებრძვის და არ განიტყვრესებთ, რის შემდეგ? როცა მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს, მას მერე მხოლოდ თანამდებობის დაკარგვის მერე აღმოაჩინა მელვინიეთუხუცესმა, რომ თურმე ბნელში და უკუნში გვიცხოვრია, საქართველოში ჯოჯოხეთი ჩამომდგარა! მანამდე სამთხე იყო, ბატონო ოთარ, ვიდრე პოსტზე იყავით?! რატომ არ აპროტესტებდით 2004-2006 წლებში იმ განმარტებულ ამბებს, რომელთაც ოპოზიციის დანაშაულებად უთვლიდა ამ ხელისუფლებას? მხოლოდ 2 წლის მერე რატომ აღმოაჩინეთ, რომ თურმე ბუტა რომაქიძე უდანაშაულოდ მოკლა პატრულმა?

სხვათა შორის, ამ უბადლო მსახიობს, ასმათ ტყაბლაძე და არაერთი ცნობილი მსახიობი დაუმსახურებლად რომ გამოყარა თეატრიდან, ბიძინა ივანიშვილის მიერ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებისთვის სახელფასოდ გადაიციხული თანხების შეჭმასაც აბრალდებენ და ამბობენ - მხოლოდ იმიტომ არ დაიჭირეს და აპატიეს, რომ მაინც ოთარ მელვინიეთუხუცესი იყო. აი, შევარდნაქმნი დროს კი, გულშიც არაფერი გაივლებდა მელვინიეთუხუცესის დაჭერას, ქვეყანა რომც დაეკცია. ცხადია, ამას, ის დრო უჯობს და იბრძვის, რაც შეუძლია, ძველი დროების დასაბრუნებლად. ჰო, ერთიც: მან თეატრიდან გააგლო დოლო ჭიჭინაძე, თენგიზ არჩვაძე, რომელმაც პროტესტი იმით გამოხატა, რომ საჯაროდ გამოწველი ხელზე ხელი აუკრა მელვინიეთუხუცესს და არ ნათვალა კაცურად ხელის ჩამორმევის დირსად. ახე, ვინ კინოშია დათა თუთაშისა, ვინ - ცხოვრებაში!

ძმით ლორთქიფანიძე - დღეს გიგი უგულავას აყვედრიან და სამართლიანდაც (თუ ეს მართალია!), რომ მომავალ მეუღლეს პლასტიკური ოპერაციისთვის ფული ბიუჯეტიდან გამოუყო. იცით, საიდან იღებს ეს პრალიკა სათავეს? ვანო ზოდვლავას მერტობის დროიდან. მერიაში, მაშინ, მგონი, არ დარჩენილა ჩინოვნიკი, რომელთაც თავიანთი ახლობლებისთვის ფული არ გადაეციხათ. რატომდაც, ამაზე ხმას არ იღებენ. რა, ის ერევის ბიუჯეტში იყო და ახლა, უგულავას მერტობის გახდა თბილისის ბიუჯეტი? უგულავას, ცხადია, მიწათთან ასწორებს ზოდვლავას დაქალი - ქეთი დოლიძე. (გაგრძელება მე-8 გვზე)



ტიპობრიბა და მსოფლიო ტიპობრიბა საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი მიერ ქართველი ენის უზღვრულყოფის სფინქსი — როგორც არაპარლამენტული, ანტიპარლამენტული აქტი — აღკვეთისა და ეპროსაბჭოს კონვენსიის მოთხოვნითა შესაბამისად ამ ენის დახრის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152)

ყოველივე აღნიშნულის გაზრდა შეგუბუნებს და გვათქმევინებს შემდეგს: „ენა, მამული და სარწმუნოება“ სამი ერთიანობაა, წმინდა სამებასავით; ის, ვინც ენას მტრობს, შეუძლებელია, მამულის ან სარწმუნოების მოყვარე იყოს, მიუხედავად იმისა, ერის ტანისამოსით იქნება იგი შემოსილი თუ ბერისა. სატანას როდის და სად არ შესძლებია ძროშიაღი?! მაგრამ ღმერთს ყველას და ყველაფერს დამნაშავედ და განმსჯელებს.

ვტყუივარ მე, თუ ტყუიხარ თქვენ, ტარიელ ფუტკარაძე და სხვანო?!

მოდით, დავიფიცოთ მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდის წინაშე, მარიამ ღვთისმშობლისა და ყველა წმინდანის წინაშე! ახლავე, დაუყოვნებლივ დავიფიცოთ!

არადა, თუ ღმერთი გწამთ (მაგის მეტი არაა ჩემი მტერი), მოეშით, მეგრელთა, ლაზთა და სვანთა მოძულეობას, მეგრული, ლაზური სვანური ენების დევნას, დისკრედიტაციას, ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების წაბიძგებას

გადაშენებისაკენ! მათ არაფერი დაუშვებიათ თქვენთვის და არც არავისთვის, გარდა იობის მოთმინებით ცხოვრებისა... ამიტომ, გთხოვთ, გეაჯიხეთ, მუსხლიმდრეკით: მოგვეშვიტეთ, დაგვასვენეთ, დაისვენეთ თქვენც!

გვაცხოვრეთ და იცხოვრეთ თქვენც! ვიცხოვროთ ერთად! რა გვაქვს (რა დაგვრჩა) გასაყოფი, ისეთი, რომ ვერ გავიყვია?! საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგით:

კოლხების (მეგრელებს, ლაზებსა და სვანებს) ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდათ დამწერლობა (მისი გამოგონებაც, ჯერდათაჟად სურათ-ხატოვანი ანუ პიქტოგრაფიული დამწერლობის სახით, შედგებოდა ანბანური დამწერლობის სახით, მათი პრეროგატივა) და ხალხი წიგნების, სიბრძნის წიგნების სახით. აი, მათი სახელებიც: „ფუთი“ (7 ათასი წლის წინანდელი), „მარგალიტი“ (7 ათასი წლის წინანდელი), „ტოფში“, „ტაბუ“ (3500 წლის წინანდელი), „ოქროსი საწმისი“ (3300 წლის წინანდელი, იხ. კლიმენტ შელიასთან, გაზ. „ილორი“, 20-27 სექტემბერი, 2011).

ასეც რომ არა, მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძის) განაცხადი იმის შესახებ, რომ კოლხურ, და კერძოდ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებზე ბიბლია იმდენად არ ითარგმნა, რომ იმ დროს ეს ენები ცალკე ენების სახით არც კი არსებობდნენ, ძირშივე მცდარია, შემდეგი გარემოებების გამო: 1) კოლხეთში ქრისტეს მოძღვრების პირველქადაგებებთან კაბადოკიელები ანუ კაბადოკიელი კოლხები იყვნენ (მაშინ კაბადოკიაში კოლხები მოსახლეობდნენ) და ქადაგებაც კოლხურ ენაზე ხდებოდა; 2) პროტოქართული ენის ცალკეულ ქართველურ ენებად დაშლა მომხდარია ათეულობით ათასი წლის წინათ ანუ მრავალი ათასი წლის წინათ ვიდრე ქრისტეს შობამდე (ამას, კონკრეტულად, ენების ასაკის საკითხის განხილვისას დაივსახავთ).

კოლხური დამწერლობის ისტორია 10 ათას წელზე მეტს მოიცავს, იმდენად, რამდენადაც, როგორც ეს მსოფლიოს ცნობილი და გამოჩენილი სწავლულების და მეცნიერების მიერ არის დამტკიცებული, უძველეს დროს ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ მაიას ტომს ანბანი ატლანტიდაზე მცხოვრები კოლხებისგან აქვთ მიღებული; პლატონის და სხვათა გადმოცემით, „კოლხები ატლანტიდას გადმოსახლებულნი ხალხია“. ატლანტიდა კი, წარდგინდა ანუ 10 ათასი წლის წინ ატლანტიკის ოკეანეში არსებული კონტინენტის სახელოდ.

ასე, რომ სახსრების თუ საკვლევე-საძიებლის მეტი რა გვაქვს ქართველებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს და სხვანო! სხვა ქვეყნების სწავლულები და მეცნიერები აქტიურად იყენებენ უძველესობას, ჩვენი კულტურის უძირძველესობას, და, ჩვენ — პირიქით, რატომ ვცდილობთ ასეთის უარყოფას?

მსოფლიო ერთი მაგალითი: დაახლოებით ახი წლის წინ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, მინოსის სასახლის ნანგრევების გათხრისას ნაპოვნი იქნა უძველესი წარწერებიანი დისკო. თითქმის 100 წელი მუშობდნენ ფესტოსის დისკოს წარწერის ამოშიფვრაზე მსოფლიოს მეცნიერები, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, ავსტრიელმა მეცნიერმა ჰერბერტ ძემშიამ

გამოთქვა საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ ფესტოსის დისკოს წარწერა კოლხურია. განხარებული ძემშიამ საქართველოში ჩამოვიდა და ერთ-ერთ სამცხიერო სესიაზე ამის შესახებ განაცხადა, მაგრამ ქართველი მეცნიერებისგან თანაგრძნობაც ვერ ვერო. პირიქით, — აქ მის მოსაზრებას ერთობ ცივად შეხედნენ. დაღონებული ძემშიამ, გულნატკენი დაბრუნდა თავის სამშობლოში და მალე გარდაიცვალა.

ამ ხუთიოდე წლის წინ „ფესტოსის დისკო“ ამოშიფრა მათემატიკოსმა გია კვაშილაძემ. წარწერა აღმოჩნდა ძველი კოლხური საგალობელი, დიდი დედისა, ნინენასი, იგივე რეა-კიბელასი. ამ საგალობელს უძღვრდა თურმე მარიამ ღვთისმშობელი პატარა იესოს. წარწერების დისკო დაახლოებით 4800 წლისა აღმოჩნდა. ცნობილია ისიც, რომ მინოსის მეუღლე იყო კოლხეთის მეფის აიეტის და პისიფა, ხოლო კოლხების, პეროდორტეს (V ს. ძვ. წ.), აპოლონ როდოსელისა (IV ს. ძვ. წ.) და სხვათა გადმოცემით, შენახული ჰქონდათ „მამათაგან ნაწერი კვირბები“. ფესტოსის დისკოს წარწერის კოლხურობას, ანუ გ. კვაშილაძეს მიერ მისი ამოშიფვრის სისწორეს ჭეშმარიტებად მიიჩნევენ მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები. ამის დასტურია ამას წინათ ინგლისში გამოცემული ჟურნალი. ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი კი ამის გამო გაღიზიანებას ვერ მალავს.

ასეთი მაგალითები უამრავია. ხომ სახეზე ფაქტები ზოგიერთების მხრივ (ნეტავ, მართლა ზოგიერთები იყვნენ) კოლხური კულტურისადმი, საერთოდ კოლხური ენისადმი ინტერესი, რბილად რომ ვთქვათ, არაჯანსაღი ტენდენციური დამოკიდებულებისა?

ამგვარ პირობებში, თუ იგი კვლავაც ასე გაგრძელდება, იქნებ გვირჩიოს ვინმემ (ცხადია, არამეგრული მოძულეობაგან, ვინაიდან მეგრელთა მოძულენი უმაღლესი გვიპასუხებენ: ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ), რა უნდა გავაკეთოთ, ანუ რა უნდა ვიღონოთ, ჩვენ? როგორ, ყველაფერს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გვალაზე უმოთავრესი რამ: აკვნის ენა ჩვენი და თავი ჩვენი?

პირადად მე, აქამდე, არასოდეს ვიყავი მომხრე იმისა, რომ ბიბლია თარგმნილიყო მეგრულ და სხვა ქართველურ ენებზე. მაგრამ თუ კი არაფერი დაიწყებდა ამ ენებზე, არსად არ მოხდებოდა მათი სწავლება, ამრეხით შეხედვებიან მავანი ამ ენებზე შეტყვევების გაგონებასაც კი და ყოველმხრივ შეეცდებიან მიწის პირისაგან მათს აღგვას, თუ კი არ მოხდება მცირერიცხოვანი ხალხების უმწერლობა და რეგიონალური ენების დაცვის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაცია და არ იქნება უზრუნველყოფილი ქართველური ენების დაცვა, მაშინ, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს სხვა რა გზა დარჩებათ, გარდა იმისა, რომ ყოველი ღვთისმშობელი შეეცადოს ამ ენების გადარჩენას და საკუთარი თავის გადარჩენას? რომელი ჭკუათამყოფელი გაიკვირებს ამას?

იმისათვის, რომ არ მოხდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების განვითარება და დადგონა ფრად არასასურველი შედეგებისა, დიახაც არის სრული გამოსავალი და გზაც. ეს არის ქართველური ენების დაცვის უზრუნველყოფა ევროსაბჭოს კონვენციების მოთხოვნათა მიხედვით; ამიტომაც, აუცილებელია ევროსაბჭოს აღნიშნული კონვენციების დაუყოვნებლივ რატიფიკაცია და მისი მოთხოვნების შესრულება. ამასთან, როცა საკითხი აღნიშნულს ეხება, სათუთ არ უნდა იყოს ის, რომ ევროსაბჭოს კონვენციათა მიხედვით დაცვის უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ყველაზე მეტად და აუცილებლად სწორედაც უმწერლობა ენებს სტირდება.

ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე ფიქრისას, გონებაში გაიარა კაცობრიობისა და ქვეყნების ისტორია, და, აი, რა წარმოჩნდა: არც ერთი იმპერია თუ ქვეყანა, სახელმწიფო, არ დაუშლია გარეშე მტერს შინაური მტრების ჩარევისა და გამოყენების გარეშე. ასე მოხდა, თავის დროზე, რუსეთის თუ, საბჭოთა იმპერიების დაშლა. ასე ხდებოდა მუდამაქამს საქართველოს დაშლა და დაქვემდებარება. პირადი აღზევებისათვის, პოლიტიკური ბატონობისათვის თავგადასდებულ, ყოვლის ჩამდენ შინაურ მოშუღართ და მტრებს მიუძღვდა, მუდამ, ღომის წილი ქვეყნის დაშლასა თუ განადგურებაში. იგივე ძაღლები არ აძლევდნენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საშუალებას საკუთარ ქვეყანას. რომ არა ასე, ანუ რომ

არა, კერძოდ, საყოველთაოდ ცობილი „მეგრელთა საქმის“ შეთითხნა, ხომ ყველა ვიცით, რომ ლაზეთის დაბრუნების საკითხი საბჭოთა ხელისუფლებას, პრაქტიკულად, 1952 წლისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა. ნუთუ, არასოდეს არ უნდა გაიგონ, ყოველივე ეს, ზოგიერთებმა? თუმცა, რას გაიგებენ ისინი, ვინც ასეთისთვის თავად იღვწიან და ყოველგვარ უბედურებას სხვას აბრალებენ; რატომღაც სხვანაირად არ შეუძლიათ და იმიტომ!

აქ, უთუოდ, ასეთი კითხვებიც დაისმის: 1. რაოდენი უზნეობა და თავხედობა შეიძლება იყოს, რომ კაცმა უბრალოდ სიტყვიერადაც კი აკადროს, გაუბედოს კაცს, ხალხს (ხალხებს), რომ ენა, რომელსაც თქვენ ლაპარაკობთ ენა არ არის და არავითარი მებობა თქვენ არა გაგანიათო; 2. რაოდენ გამოთავყანებელი, დაბეჩავებელი და განადგურებელი უნდა იყოს კაცი, ხალხი, რომ ასეთი რამ აკადროს, ასეთი რამ გაუბედონ?

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი ჭეშმარიტი დასკვნა:

ტ. ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების ახალი „თეორია“ იმის შესახებ, რომ ისტორიული ქართველური ენები — მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური, ენები კი არა დიალექტებია, აბსოლუტურად არარეალურია, არამეცნიერულია, შეგნებულად არის მოგონილი და მიმართულია იქითკენ, რომ ამ ენებს არ ჰქონდეთ მცირერიცხოვანნი ხალხების უმწერლობა ენების სტატუსი და არ გახდნენ დაცვის ობიექტები ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა მიხედვით, ურომლისობაც მოასწავებს ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების (10 მილიონამდე ადამიანის) სიკვდილს, ანუ მიწის პირისაგან გაქრობას.

ტ. ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების ახალი „თეორია“ ქართველური ენების — მეგრულის, ლაზურის (ჭანურისა) და სვანურის არარეალურობის შესახებ, როგორც შეგნებულად მოგონილი ცრუმეცნიერული და ანტიეროვნული თეორია, რომელიც მიზნად ისახავს ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების მიწის პირისაგან გაქრობას, თავისი არსით დისკრიმინაციულია, იმპერიულ-შოვინისტური და ფაშისტურია; ამის გამო, ეს „თეორია“ უნდა დაგვობილი იქნას, სათანადოდ „ნაშრომები“ და სახელმძღვანელო წიგნები კი უნდა აკრძალულ იქნას, ხოლო თვითონ ეს „თეორიის“ ავტორებს უნდა ჩამოერთვათ სამეცნიერო ტიტულები და აკრძალვთ ენათმეცნიერების დარგში კვაზიმეცნიერული, პროვოკაციული მუშაობა; ამასთან, ტ. ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები, როგორც აშკარად პროვოკაციული, ცრუმეცნიერული, ანტიეროვნული „თეორიის“ შეგნებულად წამოშვებულები, ქართველური ტომობრივი წარმომავლობის მრავალმილიონიანი ხალხების დისკრიმინაციისა და გენოციდის მცდელობისათვის, იმპერიული, შოვინისტური და ფაშისტური ზრახვებისათვის, სხვათა ავტორიტეტის ყოველად უსაფუძვლოდ შელახვისა და უკიდევანო ცილისწამებისათვის, ჩვენის აზრით, უთუოდ იმსახურებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას; ყოველივე ამის შესახებ საუბრით სამართლიანი იქნება მთელი პრინციპული დაცვის საკითხი, და გაკეთდეს სათანადო წარდგინებანი რესპუბლიკის ხელისუფლების, შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამართალდამცავი ორგანიზების წინაშე... საამისო საბრალდებო დოკუმენტებად, სხვაზე რომც არაფერი ვთქვათ, ტ. ფუტკარაძის მიერ შექმნილი და ინტერნეტში განთავსებული ზემოაღნიშნული წერილი და საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასევე ზემოთაღნიშნული კრებული საყუბით გამოდგება. მაგრამ, აღმნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, ასეთისგან ჯერ კიდევ თავს ვიკავებთ, იმ იმედით, რომ ტ. ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები (მ. შ. თვისტომის დამწებლები) ამ წერილის შემდეგ მაინც, ბოლოს და ბოლოს, შეიგნებენ, რასაც ჩაიდან და დაუყოვნებლივ წერტილს დაუსვამენ თავიანთ აშკარად დისკრიმინაციულ, იმპერიულ, შოვინისტურ და ფაშისტურ მისწრაფებასა და ქმედებას. გამოთქმებენ თუ არა ისინი ამ შანსს, ეს მათი საქმეა. ჩვენ არ მალდებ ვინმეს, არადა, სხვა გზა არ დაგვარჩება და, რა ვქნათ. ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვთხოვთ მათ, ვთხოვთ მშურად

და არა მტრულად. ვთხოვთ მუსხლიმდრეკით: ნუ გადააყოლებენ, საქართველოს, თავიანთ ამბიციას! ჩვენ ამას არ დაუშვებთ და ნუ გვაიძულებენ კანონის შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას. ჩვენ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ენისა და მეთის დაცვის უფლებას ვიტოვებთ და შევებლებთ კიდევ! ამიტომაც, ამის შემდეგ, ნურავის გაუკვირდება ჩვენი მართლშობიერი პასუხი! ღმერთო, გადაარჩინე საქართველო ქართველი მტრებისაგან!

ღმერთო, შეუნდე იმათ, ვინც გამოერკვევა თუ რას სწავს და მოინანიებს ცოდვებს, ვინც განაგებს ზიზღსა და ბოროტებას, თვისტომის დამწებლობას, მეგრელთ-მოძულეობას, სხვათა მოძულეობას, ქართველური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების დისკრიმინაციის, დევნასა და წაბიძგებას გადაშენებისაკენ, ვინც განაგებს იმპერიულ, შოვინისტურ და ფაშისტურ ზრახვებს და განიწმინდება ამიერიდან!

ამინ!

მამანტი ძაბამია, პროფესორი, აკადემიკოსი.


P.S. ეს სტატია გამზადებული იყო, როდესაც გაზეთ „ილორის“ 11-18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ზურაბ გოგოხია-შელასი წერილიდან „რას ეტყვი თქვენ ერს და მომავალ თაობას“, წაიკითხე (ადრე, ადრესატთან ნანახი) ასეთი აბზაცი:

„საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ივერთა მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უგალობდა. ბერძენი მაგალობელი ურთავდა მისამდგერს ყველასათვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმათავრესი იყო „ნენანა“. მათი სწავლებით „ნენანა“ იგალობება მოსახსენებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „ნენანას“ უგალობდა აკანთან თავის ღვთაებრივ ყრმას. ამ ჩვენთვის ზედამეტებული სახისარყოფილი ამბავს აღწერს არქიმანდრიტი პორფირი, მოგზაურთაგან ათონის მთაზე („პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში“, ნაწილი პირველი, გვ. 71). „ნენანას“ მხოლოდ ქართულ სამყაროში უძღვრები დედა თავის ჩვილს, ამიტომაც, ეს სიტყვები უცნაურად ჩველასა მენისათვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც თავისთავად მიუთითებს ისრაელისა მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მისდრო კულტურული კავშირების შესახებ. ისრაელის ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები — კაბადოკია, პონტო. კოლხეთი და ივერთა — ქართულ სამყაროს წარმოადგენდა, დასახლებული იყო ქართულად მოსაუბრე ტომებით (მთავარებისკოპოსი ანანიას ჯაფარიძე („შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი“, 1995 წელი, გვ. 3).

ამ შემთხვევაშიც დაისმის კითხვები: 1. როგორ გავიგოთ, ჩვენ, რომ ღვთისმშობელი მიტროპოლიტი ანანიას ჯაფარიძე, რომელმაც ასე მშვენივრად იცის, რომ „ნენანა“ იყო კოლხური საგალობელი, რომლითაც მარიამ ღვთისმშობელი უგალობდა აკანში მშობლიურ ენაზე (თუღაც რომ მშობლიური ენა არ ყოფილიყო იგი, რაც გამორიცხულია, ვინაიდან დედები თავიანთ პირმშოს, როგორც წესი, მშობლიურ ენაზე უგალობდნენ და უგალობენ დღესაც), და რომელ საგალობელსაც საუკუნეების მანძილზე გალობდნენ წირვისას ქართველი და ბერძენი ბერები, პატივს არ სცემდეს, და, პირიქით: — ტ. ფუტკარაძესთან და მის სხვა თანამზრახველებთან ერთად სათავეში ედგას წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, სხვა წმინდანების და დიდი ღმერთების ენის მიწის პირისაგან გაქრობის თავგამებულ ცდას? როგორ უთავსდება ასეთი ქმედება ღვთისადმი რწმუნას, მით უმეტეს, — ღვთისმშობლებს? 2. როგორ გავიგოთ ქმედება, სხვათაგანაც, ვინც მხარდაჭერის ნაცვლად, აუშხვარდნენ აკადემიკოს გია კვაშილაძეს, იმის გამო, რომ მან „ფესტოსის დისკოს“ წარწერის გამოშიფვრისას მასში ღვთისმშობლის პირთ ნამდვირი კოლხური საგალობელი „ნენანა“ აღმოაჩინა?

მამანტი ძაბამია, პროფესორი, აკადემიკოსი.

კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „ია“-ს პრეზიდენტი



ბერი XX საუბუნის საბჭოთაო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

არავითარი მსგავსი რამ ბერიას არ ნაუდენია, მაგრამ პარტიკრატის შეპილოვი მაინც ჯიუტად ამტკიცებდა თავისას, მას შემდეგაც კი, რაც იგი ხრუშჩოვმა ჩვეულ სტილში "მოსიროლა" პოლიტიკურადან: "ხრუშჩოვის უდიდესი დამსახურება გახლავთ ის, რომ მისი ინიციატივით მოვახდინეთ ბერიას განიარაღება - ამ საშინელი ადამიანისა, რომელსაც ხელები სიბინძურესა და სისხლში ჰქონდა ამოსვრილი".

და გასაგებია რატომაც - შეპილოვი საკმაოდ სიმპატიური პიროვნება გახლავდა, მაგრამ იგი პოლიტიკური არაკეთილსინდისიერებითაც გამოირჩეოდა. ლავრენტი ბერია კი არავის გულის მოგებას არ ცდილობდა თავისი სიმპატიურობით, მაგრამ მაღალი დირსება გააჩნდა. ამიტომაც იყვნენ ბერია და შეპილოვი ერთმანეთის ანტიპოდები, ხრუშჩოვი და შეპილოვი კი "ღვიძლი კმებივით" იყვნენ. პროფესორი ნაუშოვი წერდა, რომ ბერიას "გაუგნებელი ფიქრი" შემდეგ "წინიერების იმის შიშით აღარ ჰქონდათ, რომ მოულოდნელად დააპატიმრებდნენ, როგორც ეს სტალინის მმართველობის წამს ხდებოდა ხოლმე. საბჭოთა პარტიულმა ნომენკლატურამ შექმნილი იყო იგარანო და შიშის ფაქტორის გარეშე დაიწყო მოქმედება..."

პასუხისმგებლობას სიტყვებზე "მოულოდნელად დააპატიმრებდნენ, როგორც ეს სტალინის მმართველობის წამს ხდებოდა ხოლმე..." მე უნდა აღვნიშნავ. ნომენკლატურის მიერ სრული თავისუფლების მოპოვებას, მას სრულიად ვითანხმები, მაგრამ ერთი დაზუსტებით: "ნომენკლატურამ შექმნილი იყო იგარანო და შიშის ფაქტორის გარეშე დაიწყო მოქმედება..." მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, პროფესორმა ნაუშოვმა რამდენიმე რამ უნებლიედ დარწმუნა, რისთვისაც თავადაც არ მიუქცევია ყურადღება. სწორედ ამ წამონაროშზე გაგავაჩინებოდა მეთქველი ყურადღებას... პროფესორმა ნაუშოვმა აღნიშნა, რომ თავისუფლება იგრძნო პარტიულმა საბჭოთა ნომენკლატურამ, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყანაში დომინირებდა სახალხო-სამეურნეო ნომენკლატურაც. სწორედ ეს ნომენკლატურა მოექცა არაკომპეტენტური "პარტიკრატების" მარწმუნებში.

მაგალითი გენგაბათ? საიმიტომ? ამასთან, ეს გახლავთ იმ ადამიანის აზრი, რომელიც დღემდე არ თანაგრძნობდა ლავრენტი ბერიას - ცნობილი საბჭოთა მერაკების ბ.ე. ჩერტოკისა. თავის კაპიტალური მშრომელ "რაკეტები და ადამიანები" იგი გაამცნობს, რომ მინისტრი უსტინოვი, დაკავებული იყო რა სარაკეტო საქმეებით, 1949 წელს დაწვინდა ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო დაწესებულების - 88-ე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნაკლებ პროექტიულობაში, მაგრამ მისი რეორგანიზაცია ვერ გახდებოდა, რადგან ამ უწყებას კურირებდა საკავშირო კომპარტიის ცეკას ფრიალ გავლენიანი სამხედრო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა "ივანე მრისხანეს" მეტსახელით ცნობილი ივანე სერბინი.

სერბინის სანქციის გარეშე დაუშვებელი გახლავთ ყოველგვარი ცვლილება ან ვინმეს წახალისება და ა.შ. ამასთან, ჩერტოკი იხსენებს საკუთარი დაკვირვების შედეგს იმის თაობაზე, რომ მინისტრების სასტიკად ემშინოდნენ ამ პარტიკრატის და ვერასოდეს ბედადნენ მასთან შემოღებებს.

რაც შეეხება ატომურ და ჰაერსაწინააღმდეგო სფეროებს, ჩერტოკის სიტყვებით ირკვევა, რომ აქ სრულიად სხვა მდგომარეობა იყო სუფევდა და იგი რადიკალიური სუფევითაც კი გვაუწყებს, რომ ლავრენტი ბერიას საკურატორო დარგებში ყველა საკადრო საკითხზე გადაწყვეტილე-

ბას ვანნიკოვი იღებდა და კურატოვთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ წარუდგენდა ხოლმე წინადადებებთან პროექტებს ბერიას. სსრკ მინისტრთა საბჭოს №1 სპეცკომიტეტის მომცრო აპარატი კი ამზადებდა დადგენილებათა პროექტებს დანიშნავთა თაობაზე, რომელსაც შემდეგ ბერია სტალინის წარუდგენდა ხოლმე.

ჩერტოკი, რომელიც კარგად იცნობდა საბჭოთა კავშირის "ატომურ ცხოვრებას", ყოველთვის ვერ არის ხოლმე მთლად ზუსტი. მაგალითად, ბერიას რეზოლუციები საკადრო გადაწყვეტილებათა თაობაზე, კიდევ ერთხელ ვაგრძელებს, რომ ბერიას ეს საქმე სრულიადაც არ ჰქონდა მიგულისხმებული და არც არავის უთმობდა. მაგრამ, მთლიანად, ჩერტოკი სიტუაციას სამართლიანად გადმოგვცემს. და რახან ასეა, ბუნებრივად დაისმის შეკითხვა: ვინ უფრო მეტ თავისუფლებას იგრძნობდა "ჯალალ" ბერიას პარტიკრატ სერბინით ნაწინაცვლების შემდეგ: ქარხნების, ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები თუ ამ საწარმოთა დირექტორები?

ასეთი შეკითხვის დასმა მთავარ-ნილი" შეპილოვისადმი სრულიად უიმილო საქმეა. შეპილოვი 1995 წელს გარდაიცვალა და იგი რომ პიროვნება ყოფილიყო და არა პოლიტიკური უბადრუკობა, აუცილებლად საჯაროდ გადასცემდა ანათემაზე გორბაჩოვს, ელცინს და ქვეყნის კაპიტალიზაციასაც! შეუძლო წითელი მოედანზე საჯაროდ თავის დაწვის სურვილის კი გაუცხადებინა! იგი კი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ენერგიულად "ამხელდა" ლავრენტი ბერიას, თუმცა არც ერთი გორბაჩოვს და არც ერთი ელცინის ბერიას პენსიის შუშის ნატეხის ფასიც კი არ ელო...

სამაგიეროდ, ლავრენტი პავლეს ძე ბერია გახლავთ არა მხოლოდ მსხვილი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ უფროსად კეთილშობილი ადამიანიც! აი, ამის დამადასტურებელი თვალნათელი მაგალითი. გარდაიცვალა სტალინი, მოსკოვის ცენტრთან შედარებით ახლოს მდებარე კუნცევოს აგარაკი პარტიის გარეშე დარჩა, უფრო ზუსტად - მთავარი "დამხვეწებლის" გარეშე (აგარაკი ხომ სახელმწიფოს კუთვნილება გახლავთ). და ბუნებრივად, წამოიჭრა საკითხი - როგორ უნდა წარმართულიყო აგარაკის შემდგომი ბედი? კრებულში "და მათ მიტმასნილი შეპილოვი" ისტორიის მეცნიერებთა კანდიდატი ალექსანდრე შუფოვი გვაუწყებს: "იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიამ, გვერდი აუარა რა სკეპ ცენტრალური კომიტეტის სამდიონის, გამოიტანა დადგენილება, რომელიც საფუძველზეც კუნცევოს აგარაკის დაცვის მთელი შემადგენლობა გარეკიდ იქნა სამსახურიდან, მათი ფუნქცია კი გადაეცათ შინაგან საქმეთა სამინისტროს განხორციელებისთვის. 1953 წლის მარტიდან სპეცსამსახურთა თანამშრომლები სსრკ შსს-ში გაერთიანდნენ. მისში აგარაკი სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაეცა, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ განთავსდა ბავშვთა სანატორიუმი..."

რეალობის რა "საინტერესო" სურათს წარმოგიდგინებს შუფოვი! "გვერდი აუარა რა სკეპ ცენტრალური კომიტეტის სამდიონის...", "გარეკიდ იქნა..." ახლანდელი "თავისუფალი რუსების-აგან" განსხვავებით, ლავრენტი ბერია არასოდეს არ ამოფარებია კოლექტიური პასუხისმგებლობას. ამიტომაც არ დასარჯა ხალხის ფული და გამოცდილ ოპერატიულ მუშაკთა ძალისხმევა ხალხისაგან დაცილები და გაუდაბრებული აგარაკის პარტის დაცვას. კუნცევოს აგარაკი ხომ მხოლოდ მაშინ წარმოადგენდა დაცვის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს, როცა იქ ქვეყნის პირველი პირი ცხოვრობდა და მაშინ აუცილებელი იყო, რომ მისი დაცვა განხორციელებინა შსს-ს ჩეკისტთა ასეულს. ახლა კი "განხორციელები" იოლად გავიდნენ.

ამასთან, შუფოვი ბერიას იმასაც კი საყვედურობს, რომ ბერიას კუნცევოს აგარაკის ბავშვებისათვის გადაცემა სურდა, იმიტომ, რომ შემდეგ გვაუწყებს: "ბერიას დაპატიმრების შემდეგ კვლავ დაღვა აგარაკი "ბლიჟნიასი" საითხი და გადაწყდა, რომ იგი ფილიალის უფლებით გადაეცათ ვ.ი. ლენინის სახელობის მუზეუმისათვის, რათა იქ შექმნილიყო ი.ბ. სტალ-

ინის მუზეუმი". მინიშნება სავსებით ნათელია - "მტარვალნი ბერიას" გაუგნებელიყოფის შემდეგ ხრუშჩოვის სტალინისათვის სათანადო პატივი უნდა მიეცო. ესე იგი, გამოდის, რომ სტალინი ბერიამ "გაასადა". ეს ბერნარდ შოუს იმ ცნობილი ლიტერატურული გამბრუნების ელზა დულიტლის ლოგიკა გახლავთ, რომლის განათლებაც ხრუშჩოვმა ჯერ კიდევ არ დაუწყია პროფესორ პიგინისს.

მაგრამ, შუფოვის მიერ მოყვანილი ფაქტი ხომ ბერიას სასარგებლოდ მეტყველებს, ძვირფასო მეთხველო? განა ასე არ არის? ჯერ ერთი, ეს რა სტალინის მუზეუმი იქნებოდა, რომელიც იფუნქციონირებდა ქალაქი ცენტრს საკმაოდ მოშორებულ მიწურულზე (განსაკუთრებით სტალინის გარდაცვალების შემდეგ) გარეუბანში? მეორე მხრივ, ეს ადგილი მართლაც იდეალურია ბავშვთა სანატორიუმის მოსაწყობად. ამასთან, ამ შემთხვევაში, იოსებ სტალინის ხსოვნისადმი პატივის მიგებას უფრო შთამბეჭდავი ადამიანური სახე მიეცემოდა.

დღეს ლიბერალთა სფეროს ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს, რომ "ობიექტურად" მიუღვას "ბერიას ფენომენს". თუნდაც ოლეგ ხლენიუკი, გორბაჩოვ-ფონდის პურნალ "თავისუფალი აზრის" მთავარი რედაქტორი, რომელმაც 1995 წელს ამ შურნალის მეორე ნომერში გამოაქვეყნა სტატია სათაურით "ბერია: ისტორიული რეაბილიტაციის საზღვრები". ამ თემას მე მოუგებებით მოუბრუნებდნენ, მაგრამ მისი სახელწოდება, თავისთავად, ბევრ რამეზე მეტყველებს.

და დღეს სწორედ ამგვარი ხლენიუკები და ნაუშოვები ავლენენ სურვილს, რომ ბერია წარმოაჩინონ როგორც "პრაგმატიკოსს", რომელსაც სურდა მოეხდინა საბჭოთა საზოგადოების დეიდეოლოგიზაცია და დემოკრატიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის სიბრძნეა!

ბერია იყო თვითდარწმუნებული ბოლშევიკი... რამდენადაც ბერია არ უნდა ისაუბრონ ბოლშევიკების თაობაზე, საბოლოო ჯამში ისინი მაინც ძველი სამყაროს დამანგრეველად ითვლებიან. თვით ელენე პრუდნიკოვაც კი დარწმუნებულია: "მათში თავმორყილი გახლავთ ოპოზიციონერი-ექსტრემალი, რეჟიმთან მეტროპოლი, ესე იგი, ბოლშევიკები, ფსიქოლოგიური ტიპის მიხედვით, წარმოადგენენ დამანგრეველ ძალას. შემოქმედები მათ შორის ძალზე მცირე ნაწილი..."

სამწუხაროდ, ეს სხვა არაფერია, თუ არა მკვეთრად მცდარი აზრი, რომელიც მიზიდულადაა ჩამოყალიბდა უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში... პარტიული პიშინი "ინტერნაციონალი" ხომ გვაუწყებს: "მალმომრეობრივ სამყაროს ჩვენ ფუძემდებ დაგანგრევეთ, შემდეგ კი...". აი, სწორედ ამ "შემდეგ"-ს არ იღებენ მხედველობაში ახლანდელი მხედველობის რეკონსტრუქციები, რომლის შემდეგ მოდის სიტყვები: "ჩვენ ახალ სამყაროს ავაშენებთ!" ასე რომ, მანკიერად, მაგრამ ბოლშევიკების პარტია გახლავთ აღმშენებელთა პარტია, რადგან მასში, თვითმკურნებლობის დამსახურების შემდეგ, გაერთიანდნენ ბერიას მსგავსი საქმიანი ადამიანები.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე ბოლშევიკურ პარტიაში ვაჭვერიანებული გახლავთ 60-80 ათასი ადამიანი და მათი უმეტესობა არ იყო არც პროფესიონალი რევოლუციონერი და არც "ექსტრემალი", სამაგიეროდ მათ შორის უხვად იყვნენ განათლებული და კვალიფიციური მუშა-ადამიანები. ასე ვთქვათ, 1917 წლისათვის რუსეთის მუშათა კლასის დიდი ნაწილი ბოლშევიზირებული იყო.

ბოლშევიკთა მიზნების თაობაზე მოსაზრების კომენტარებისათვის მე დავეყრდნობი ჩემს მიერ ერთხელ უკვე ნახსენებ მასაწმენების ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორ ლორენ ნ. გრენ-პემს. 1987 წელს იგი წერდა, რომ რუსული რევოლუციის პირველი დანაპირები მისი მხარდამტკიცებისადმი შემოიფარგლებოდა საზოგადოების რაციონალურად ხელმძღვანელობაში და რომ ბოლშევიკები 1917 წლის რევოლუციას განიხილავდნენ სოციალური გარდაქმნისადმი დიდ გარღვევად, რომელიც პროგრესის გახლავდა იყო მიხნეული. როგორც ხედავთ, აქ საუბარია მხოლოდ აღმშენებლობის მანამდე არნახულ მასშტაბებზე. ვერც ერთი

კაპიტალისტური კონცერნი ვერ მისცემდა ბერიას აღმშენებლობითი სამუშაოების ისეთი ფართო ფრონტით გაშლის საშუალებას, როგორც მან საბჭოთა ხალხის სამსახურში ყოფნისას მოიპოვა! ტყუილად კი არ უთხრა ამაცად მან სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველს პომპინოვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მადლივი კორპუსის გახსნისას: "ეს შენობა თავისი მნიშვნელობით დიდად უსწრებს დიუპონისა და სხვა კაპიტალისტი მილიარდერების ფინანსურ საშუალებებს".

მისი ეს ფრაზა პირდაპირ კავშირშია დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის მიერ დაწერილ სტრიქონებთან: "საბჭოთა ხალხს საკუთარი სიამაყე გააჩნია! ჩვენ ბურჟუაზიას უგმოდან დაეცქვირით...!" დიახ, ბერიას წყალობით საბჭოთა ხალხი ბურჟუაზიას დასცქეროდა მოსკოვის მიხვილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მადლივი კორპუსიდან!

არა, ბერია არ გახლავთ თავდადებული ბოლშევიკი. მაგრამ, იგი ძალზე ჭკვიანი და საქმიანი ადამიანი იყო და კარგად ესმოდა, რომ:

საბჭოთა საზოგადოება მაშინ კი არ არის ძლიერი, როცა დემონსტრაციებზე "ბელადთა" პორტრეტებს დააპროწილებს, არამედ მაშინაა უძლეველი, როცა ეს "ბელადები" ცხოვრობენ საზოგადოებასთან ერთად, გაუფლეთილები არიან მათი სიცოცხლისეული ინტერესებით და დროს მდიდრულ აგარაკებზე არ ატარებენ და ფულს არ ფანტავენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ განუხრევლად ზრუნავენ საზოგადოების კეთილდღეობის ამალეებისათვის;

პოლიტიკური სისტემის მდგრადობის საბირკველი უნდა იყოს ამ სისტემის ნორმალური და არა ექსტრემალური რეჟიმში ფუნქციონირება, საზოგადოების შემდგომი განვითარების ეკონომიკური ქვაკუთხედის აშენება სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სისტემებზე დაფუძნებით; მრავალფეროვანი სახელმწიფო ერთიანი და ურღვევია მაშინ, როცა ცენტრალური ხელისუფლება ნაციონალისტებს არ უტოვებს ანტიროვნულ პროპაგანდისტული საქმიანობის გაშლის შანსს.

ამ მხრივ ბერია ნამდვილად პრაგმატული იყო და სწორედ ამ მიმართულებით გაშალა საქმიანობა სტალინის გარდაცვალების შემდეგ. მისი ინიციატივით შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ როგორც პოტენციალით, ასევე მრავალფეროვნებით, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს.

მის კონკრეტული წინადადებები ჰქონდა ცხოვრების შემდეგ სფეროებში: ა) სახელმწიფოს მართვა; ბ) ეკონომიკა; გ) თავდაცვითი პოლიტიკა; დ) შიდასახელმწიფო ერთიანი და ეროვნული პოლიტიკა; ე) საგარეო პოლიტიკა.

სახელმწიფო მართვის სფეროში მას ადებული ჰქონდა მყარი კურსი იმაზე, რომ ეკონომიკური და სამეურნეო მართვის მექანიზმები, მასშტაბური თავდაცვითი პროექტების ჩათვლით, ჩამოურთვა კომპარტიისათვის და გადაეცა იგი სსრკ მინისტრთა საბჭოსათვის. ისე, თავდაცვითი დარგის ყველა პერსპექტიული სამუშაო მიმდინარეობდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სპეცკომიტეტში, მაგრამ, აი, სხვა დანარჩენი...

სახელისუფლებო პრიორიტეტების სხვადასხვა ხედვები ჯერ კიდევ სტალინის დაკრძალვისას გამოვლინდა. მაშინ მავნოლუემის ტრიბუნდან სამმა ორატორმა მიმართა უზომოდ დამწუხრებულ საბჭოთა ხალხს: მალენკოვმა, ბერიამ და მოლოტოვმა. სამივე გამომხველების სიტყვა ერთნაირად უფერული იყო და მხოლოდ ტრაურული ოფიციალური შემოიფარგლებოდა - განსაკუთრებით ნათელი წერტილებითა და შთამბეჭდავობით ისინი არ გამოირჩეოდნენ.

მაგრამ მალენკოვი ხშირად იმეორებდა ფრაზას "კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა". მოლოტოვაც ასევე ხახასმით იმეორებდა ფრაზას: "საბჭოთა სახელმწიფო" და ჯიუტად არ ახსენებდა კომუნისტურ პარტიას, ბერია კი ძველებური შემართებით უსვამდა ხახს მცნებას "საბჭოთა ხელისუფლება" და ამავე დროს, არ ართმევდა პარტიას "საბჭოთა საზოგადოების წამყვანის" ფუნქციას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კოლხეთი საი ათასი წლის წინათ, აიპის მეფობის ქაის

“აიპია” (არქაიპოლისი, ნაქალაქი) ძველი კოლხეთის დედაქალაქია

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქი “აიპი” (არქაიპოლისი, ნაქალაქი) აიუტის მეფობის დროს, სამი ათასი წლის წინ უკან, დიდებული და ბრწყინვალე ქალაქი ყოფილა. მისი მალაქი გალავანი ნამწკრიველი კომპლექსი და არქიტექტურულად გაფორმებული შიგა ნაგებობანი ლამაზ იერ-სახეს აძლევდა თურმე მას.

თავის სიდიადითა და ძველ-მოსილებით მსგავსი არ მოიპოვებოდა იმ დროის აზიისა და ევროპის ქვეყნებში. ამ დიდებული ნამშენ-ნამოღვაწის ამსახველია გამოთქმა – “აიპი”, რომელიც წინ დაუტოვებელი კოლხეთის დედაქალაქი “აიპი”-ს სახელს დასამოწმებლად ადიარეს მისი სახელი “აიპია”. აპოლონიოს როდის “არგონავტიკაში” ბევრგანაა ნახსენები “აიპია”, მაგრამ არა კონკრეტულად. ამავ დროს ბატონი ჯონ ჩედვიკის არქეოლოგიურმა კვლევამ კუნძულ კრეტაზე საშუალება მოგვცა დაგვედგინა კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქის თავდაპირველი სახელი “აი”. კოლხეთის სახელმწიფოს მეფე აიუტის ნამოღვაწის წყალობით, დედაქალაქმა “აი”-მ დაიმსახურა მის სახელს დამატება დიდების ამსახველი გამოთქმა “აიპი”. რაც, ბუნებრივია, ნიშნავს დიდებულს, ბრწყინვალეს და, ჩემი აზრით და ფიქრით, დედაქალაქი “აიპი”-ზე “აი”-ს დამატებას სხვა ახსნა არ მოეძებნება. და კიდევ, მსგავსად ამისა, დამადასტურებელი მაგალითის წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის კონსტანტინეპოლის დიდებული ტაძრის “აიასოფიად” სახელდება, რომლის დიდი გუმბათი ოცდაათხუთმეტი მეტრის სიმაღლეზეა აშენებული.

საჭიროდ ჩათვალეს მის სახელს დამატებოდა დიდებისა და ბრწყინვალეობის ამსახველი გამოთქმა “აიპი”. როგორც ირკვევა, ძველი კოლხეთი და ბერძენი დიდებისა და ბრწყინვალეობის ამსახველად ხმარობდნენ გამოთქმა “აიპი”-ს.

ოცდაცამეტი საუკუნის უკან ნაშენ-ნაგები სახანძრების ნაშთები იშვიათად თუ მოიძებნება სადმე. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდებიან ხელოვნებათმცოდნენი, რომლებიც ვალში არ დარჩებიან კოლხეთის უძველესი სახელმწიფოს მეფე აიუტის წინაშე და შექს მოაფენენ მის ნაშენ-ნამოღვაწის და გააცნობენ მსოფლიოს საზოგადოებას “აიპია”-ს ქალაქ-სახელმწიფოს დიდებულ ნაგებობათა ნაშთებს თუ მის ნანგრევებს.

ჩატარებული კვლევის და საჭირო დასკვნების გამოტანის შედეგად დადგინდა, რომ ძველი კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქი აიუტის მეფობის დროს ოცდაცამეტი საუკუნის უკან იყო “აიპია”, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ ძველი კოლხეთის დედაქალაქი თითქოს ქუთაისი იყო. ჰუმბოლდტის დასაყრდენად მიემართო აკადემიკოს ბატონი ივანე ჯავახიშვილის შრომებს. აი, რას წერს დიდი ქართველი მეცნიერი: “ურადღებს ღირსა, რომ მაშინ ქუთაისი ჯერ დასახლდა საქართველოს დედაქალაქად არ ითვლებოდა და მარტო მაგარი ციხე ყოფილა. კოლხეთის, ანუ ლაზიკის პირველი და უდიდესი ქალაქი ძველი ქალაქი (არხაიპოლისი, ნაქალაქი) იყო ცნობილი. როგორც ჩანს, ქუთაისი დედაქალაქად შემდეგ საუკუნეებში შეცვლილა” (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი I, გვ. 314-315). გარდა ამისა, იქვე, ქუთაისზე წერს: “ამავე სანახებში იყო ციხე ქუთაისი, რომელსაც ელინები “კოტიონის” უბანდნენ, მაგრამ ახლა თითო ლაზიკი “კოტიასის” უწოდებდნენ, ამბობს კესარიელი. მაშასადამე, პროკოფი

კესარიელის დროს ამ ციხის სახელი “კოტიონსად” გამოითქმოდა. ე.ი. იმპირატორმა, როგორც შემდეგ საუკუნეებში და “ახლა”. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ინგლისელი მეცნიერის ჯონ ჩედვიკის არქეოლოგიური კვლევის შედეგი. აი, რას წერს ბატონი ჩედვიკი: “კუნძულ კრეტაზე ირაკლიონის ოღნავ დასავლეთით მდებარე ადგილს კლასიკურ ჰეროდოტის ვერსიის მიხედვით (ჯონ ჩედვიკი, მიქსური სამყარო. გვ. 38). უძველესი საოცარი დამთხვევაა, ციხეს, რომელიც ძველი კოლხეთის აუცილ თანამედროვე ქუთაისის ტერიტორიაზე ელინები “კოტიონს” ეძახდნენ. გაირკვა, რომ მსგავსად ამისა კუნძულ კრეტაზე ირაკლიონის ოღნავ დასავლეთით მდებარე ადგილს კრეტა სახელად “კოტიონი”, როგორც ვთქვით “შიგი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასის დასაწყისში დაუსახლებელი ადგილი ყოფილა, რის გამოც იქ ეგვიპტე უსახელო იყო და ადგილებს ერთმანეთისაგან გასარჩევი სახელები არ ჰქონია. კოლხეთი თითქოს თხზავდნენ სახელებს ან კიდევ გადმოჰქონდათ და არქიმედენს ეგვიპტის ზღვის კუნძულებზე არსებულ სახელებს. როგორც იქნება, კოლხეთს გადმოჰქონიათ კუნძულ კრეტაზე ირაკლიონის ოღნავ დასავლეთით მდებარე ადგილის სახელი “კოტიონი” და თავიანთი ციხისთვის დაურქმევიათ, მაგრამ ეს სახელი თითო ლაზებს დაუბახიჯებიათ და “კოტიონი” გადაუკეთებიათ “კოტიასად”. მაშასადამე ციხე “კოტიონის” სახელად, რომლის ადგილზე ქალაქი აღმოცენებულა, ჩვენამდე ქუთაისის სახელით მოაღწია.

გამომდინარე აქედან, ძველი კოლხეთის დედაქალაქი ქუთაისი არ ყოფილა და, ბატონ ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, დედაქალაქად შემდეგ საუკუნეებში შეცვლილა. ესე

იგი ის აზრი, რომ ძველი კოლხეთის დედაქალაქი ქუთაისი იყო, ჰუმბოლდტის მოკლებულია.

მდინარეები აბაშა და ტაშუში

“არგონავტიკა”-ს მეოთხე წიგნში აპოლონიოს როდისელი წერს: “მაგრამ მუხასთან დაგრაგნილ ურჩხულს ბასრებილებიან დაელო პირი, ზე აეწია მრისხანე თავი, მოახლოებულთა აშტერდებოდა თავისი უბირო თვალთა მზერითა და საზარელი სტენა-შხუილით. ის ხმა მუსხსავი ეფინებოდა მდინარისპირეთს და ვაშლიდ ჭალას, მათაც შეესმათ ვაშლ ტიტანური აიას მხრიდან შორსა ცხოვრობდა – კოლხთა შორეულ მხარეში, სადაც მდინარე ლიკეს შესართავია: მქუხარე არაქსს რომ დაშორდება, ეს წმინდა წყალი ფაზისში ჩადის”.

გულდასმით განვიხილოთ აქ მოყვანილი ცალკეული წინადადება, მაგალითად “ის ხმა მუსხსავი ეფინებოდა მდინარისპირეთს და ვაშლიდ ჭალას”. აქ ნახსენები ჭალა აიუტის მიერ ომის მფარველი მდინარის არსისადმი შეწირული, მდინარე აბაშის პირად მდებარე ჭალაა, ხოლო ხმა მუსხსავი რომ მდინარისპირეთს ეფინებოდა, ის მდინარეა, რომელიც თითქმის სათავიდან დაწვეულია დასავლეთით თხემზე კოლომეტრზე არსის ველზე მოედინება. ამ მიზეზის გამო მდინარეს არსის ველად, ანუ არაქსუ უნდა რქმეოდა, რომელსაც შეეცვალა სახელი ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, თუ რატომ მოხდა სახელის შეცვლა, ამაზე მიმართოთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომებს “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, სადაც

ვახუშტი წერს: “ამათათა დასავლეთით დის მდინარე აბაშა, პირველი სხვა სახელით წოდებული, შემდგომ მოიქცა რა ანაკოფიდან მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულია მოაშოთ აბან პა აბაში და ამიერიდან ეწოდა აბაშა” (ბატონიშვილი ვახუშტი, “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” გვ. 777). სამწუხაროდ, არავის მოხვლია აზრად დაეწერა მისი თავდაპირველი სახელი, მაგრამ ჩვენი განმარტება მის თვალდაპირველ სახელად იმდენად საფუძვლიანია, რამდენადაც კოლხეთის გადმოსახლებაზე დაუსახლებელი ყოფილა შვიი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირი, ამიტომ აქ ეგვიპტე უსახელო ყოფილა, თხზავდნენ სახელებს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით თითო კოლხეთი. გადმოჰქონდა, ზოგ შემთხვევებში, სახელები ეგვიპტის ზღვის კუნძულებიდან, მდინარე აბაშის თვალდაპირველი სახელი არაქსუ ძველი კოლხეთის მიერ შეთხზული სახელია და იმის გამო, რომ ის მოედინებოდა არსის ველზე, უწოდეს არაქსუ. როგორც ირკვევა, მდინარე აბაშა, იგივე არაქსუ, რომის შენაკადი ყოფილა, ის სოფელ სუჯინის გავლით რიონში იღვრებოდა. შემდეგში მის მიმართულმა შეუცვლია, მდინარე ტეხურის შენაკადი გამხდარა და ტეხურთან ერთად იღვრებოდა რიონში. მისი ძველი კალაპოტი იმდენად გასწორებულია მიწასთან, რომ ის აღინახავს დროში არ შეინიშნება. ეტყობა, რომ მდინარე რამდენიმე საუკუნის წინ დატოვა თავისი ძველი კალაპოტი.

ამბროსი პილასონია (გაგრძელება იქნება)

ქართველებო! ღიღობის რიგ უნდა მოვიგოთ ოქტომბერში

მხარში ამოვუღებთ ბიძინა ივანიშვილს!

„ქვეყანაზე მხოლოდ ერთი საქართველოა და ისიც ჩვენ გვეკუთვნის“.

ბრიკოლ ორბელიანი

ხშირად ამაყად ვახსენებ წინარებს, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცლებოდნენ და იცავდნენ ყოველ გოჯ მიწას (რომელიც ჩვენ ვერ დავიცავით). მათმა გულანთებულმა სიყვარულმა მშობლიური მიწა-წყალისა შემოგვიანა საქართველოს ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრული იყო სახელმწიფო საზღვრით და ეწოდა ერთიანი საქართველო: – აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა, აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, ქართლი, საინგილო იგივე ჰერეთი (საინგილო დღეს საქართველოს ფარგლებში იქნებოდა, რომ ვახვახიშვილს მუსლიმანობა არ მიეღო, რომლის საბატონო მამული იყო საინგილო). ჩვენი უნიათობი და წაერუებით ნელ-ნელა იკარგებოდა ტერიტორიები, მაგრამ რაც მოხდა გასული საუკუნის ბოლოს და დღევანდელი საუკუნის დასაწყისში უდიდესი ტრაგედია იყო. დაიკარგა აფხაზეთი და სამხაბლო (ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთი), რომლის დაბრუნება უფლებამ ჩვენ დაგვაკისრა, მისია მეტად რთულია და დროში გაწელილია. ჩვენი ვალაა მომავალ თაობას შეუქმნათ წინაპრობა აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნების, ამისათვის საჭიროა სამშობლოზე შეყვარებული მთავრობა, რომელიც საქართველოს ამ პერიოდში არც ყოფილა და არც ეავს. ეს მისია ბატონ ბიძინა ივანიშვილს უფლება დაევა, რასაც ქართველები აღტაცებით შეხედდნენ და ყველა შესაძლებლობით გამოუცხადეს ნდობა. ჩვენ უნდა ვიყოთ ბატონ პატრონი და მშენებელი ჩვენი ქვეყნისა. ერთი კაცი იყო უნდა წამოვსდებოდა ქვეყნის მომავლის ბედს ქვეყნის მომავალს უნდა წვედებოდა ქართველი ხალხი. ამ მისისათვის მზადების პერიოდი უკვე ცნობილია დღეიდან ოქტომბრამდე, ოქტომბერი კი კულმინაციის წერტილია. „ქულზე კაცი“ უნდა იყოს ჩვენი სარგანი, ჯარისკაცად უნდა დავედგოთ საარმეო ყუთთან, რომ ამ „კანონიერმა“ ქურდმა მთავრობამ არ მოგვპაროს ხმები. (აკი უთხრეს ჩვენს პრეზიდენტს ევროპის ერთ-ერთ ფორუმზე „შენ შენ ხალხს ხმები მოპარე“).

ტემის ბრალია, რომელსაც ბინძური მეთოდებით ებლაუჭება პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ლაქები: – საპარლამენტო უმრავლესობა: – კულაშვილები, წიკლაურები, თარგამაძეები, დარჩიაშვილები, პაღოშვილები, აბაშვილები, ბოკაიები, ხერხეულიძეები, მაჭავარიანები და სხვანი, ასევე წვრილფეხობა ნილოვაშვილები, აბაღლობლები, მოლაშხიები, თორღები, სხვანი და სხვანი, რომელთა შემორჩენილი საქართველოს მოსახლეობის ნულიც ტოლია. ჩემთვის, რიგითი მოქალაქისათვის გაუგებარია ის, თუ რა სინდისით უნდა დაიცვა ის მთავრობა, სადაც ტრეპას მოიპარავ დაეპყრები, თუ ბევრს მოიპარავ, დაგაწინაურებენ და ღირსების ორდენსაც მოაყოლებენ (ცხონებული ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვების პერიფრაზია).

ჩვენ აღარ უნდა დავეშვათ და არც დავეშვათ ისეთ შეცდომას, როგორი შეცდომაც დაუშვათ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში: – გადამდგარი პრეზიდენტი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უპრობლემოდ გაატარა რეგისტრაციაში, რაც საარჩევნო კანონის უხეში დარღვევა იყო და არჩევნების შემდეგ ისევე მიშა გამოგვეცხადა გამარჯვებულად. ასეთი რამ მსოფლიო საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში არ მოხდებოდა. გადადგომის პრეზიდენტი განცხადებას წერს მაშინ როცა დანაშაული აქვს ჩადენილი, ან მაშინ როცა თავის სურვილით აპირებს პრეზიდენტის პოსტის დატოვებას. მიშა სააკაშვილმა 2007 წლის 7 ნოემბერს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადინა, დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები და ტყვიან დაუშინა. ამის გამო საქართველოს მოსახლეობამ მკაცრი პროტესტი გამოთქვა და მოითხოვა სააკაშვილის გადადგომა. სააკაშვილი იძულებული გახდა გადადგარიყო. რა უფლებების ძალით გაატარა საარჩევნო კომისიამ მიხეილ სააკაშვილი რეგისტრაციაში? რბილად რომ ვთქვათ, ეს უხეში დარღვევაა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო რუსურების ვლანგვა. მიშა ისევე პრეზიდენტობდა, სახელმწიფო მანქანით დაქროდა, ხელები და გუბერნატორებს და გამგებლებს და იძლეოდა განკარგულებებს. გადადგარი პრეზიდენტი ამ თავისუფლებას არავითარი კონტროლს არ უწევდა იმ დროს კანონიერი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ქალბატონი ნინო ბურჯანაძის პატრონაჟის ქვეშ ჩატარდა აღნიშნული არჩევნები რომლის გაყალბების იმსწულმა პიეს მიაღწია და დაგვიბრუნდა გადადგარი პრეზიდენტი ისევე პრეზიდენტად.

ჩემო ამაყო ერთ, ჩემო ქართველებო, ჩვენმა უმცემლობამ მიგვიყვანა იქამდე, სადაც დღეს ვართ. ნურავინ ნუ დაგაბრავს საკუთარ დანაშაულს სხვას. ჩვენ დღეს ვიმკით იმას რისი ღირსნიც ვართ, თუ გინდა ღალად და თავისუფლად იცხოვრო საკუთარ ქვეყანაში ყოველგვარი დანაშაული, რა სახისაც იქნება, იმ წუთშივე უნდა აღიკვეთოს.

ამერიკის დემოკრატი პრეზიდენტი აბრამ ლინკონი ამბობდა: „შეიძლება ნაწილი ხალხის მუხამ გასულელებული გვაგდეს (როგორც ჩვენ ლბ.), შეიძლება გარკვეული დროით მივლი ხალხი გაასულელო, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის გასულელება მუდამ“. სწორედ ამ მდგომარეობაში ვართ ახლა. ჩვენი გასულელება და მოტყუება არ შეიძლება. პოზიციამაც უნდა შევიწინოთ და ოპოზიციამაც, წერტილი უნდა დაგვსა უსაქმურ მოლაპარაკებებს. უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყველამ, ვინც ხელს შეგვიშლის ამ ისტორიული მისიის შესრულებაში. ჩვენ ბევრჯერ აღმოჩნდებით საარჩევნო მოედანზე დამარცხებული, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს მოსახლეობაზე – დაისადგურა უმეცრობის და შიშის სინდრომი, მაღლობა დემოტოს, ამ მომენტისათვის ეს ყველაფერი დაძლეულია. დღეს ვიხსაც სამშობლო უყვარს და თავის მომავალზე ფიქრობს, ოპოზიცია იქნება თუ პოზიცია, უნდა დადგეს ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით. ეს მათი ისტორიული მოვალეობაა რათა ღირსეულად წარსდგენ თვითნაი მომავლის წინაშე.

ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი ამბობდა: „ხელისუფლებას რომელსაც არ შეუძლია უპატრონოს მოსახლეობის უმრავლესობას, რომლებიც ღარბები არიან, ვერ გადაარჩენენ უმცირესობას რომლებიც მდიდრები არიან“. ჯონ კენედის ეს ვიწინება შეივსება საქართველოს მცხოვრებმა ყველა მდიდარმა ადამიანმა. ჩვენ კი მივმართავთ მათ: ალალი და უსაყვედურო იყოს თქვენთვის პატიოსანი გზით ნაშენი ფული, თუ გინდათ გადაარჩინოთ ჩვენი სამშობლო საქართველო, ამაყად შეხედოთ თვალში შეილებს, დაუქით ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით. ეს თქვენი ვალდებულებაა და ისტორიული მოვალეობაა. უნდა გაუძლოთ ყოველგვარ ზეწოლას რომელიც სააკაშვილის მხრიდან იქნება, ეს ხომ დროებითია.

ჩემო ამაყო ერთ, დღეს გამოვიდეთ და მივლი შემართებით დავექით ბრძოლის ველზე. ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით რომელიც არის ამ ბრძოლის მთავარხადი. ეს ბრძოლა მეორე დიდგორის ბრძოლაა. თუ 1121 წლის 12 აგვისტოს დიდ დავით აღმაშენებელი გარეშე მტრებს ებრძოდა, დღეს კი ბატონი ბიძინა ივანიშვილი შინაურ მტრებს ებრძვის, რომლებმაც სამშობლო გავიპარტახეს და ნაწილ-ნაწილ გაყიდეს. ჩვენ უფლებების პირას ვდგავართ, დაღა დრო, მალე წამხობი ჩაიბრუნება, ჩამოვხადოთ ნიღაბი არჩევნების გზით ამ გვარგადაკეთებულ და მოღალატე მთავრობას. ამ მანქურთებმა დროებით შეგვაშინეს და დაგვანოქეს მაგრამ ვერ ვაგვატყვის. საქართველო დაჩოქებული ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ წაქცეული არასდროს. ის მუდამ ფეხზე იდგა და კომპობდა მტრებს, ამის გამო წარუხდა დიდი ბულგარული მწერალი ივანე ვაზოვი „გაიხუდავი და ერს ბრძოლის ქარცეცხლი ჭეპა-ჭე-

ილით გადაუვლიდა, გვეონა ერი მიწისპირიდან აღიგავა, მაგრამ გათენდებოდა დილა და ერი იარაღში ნახსმული ემბოდა მტერს. ამ ერმა თავგანწირული ბრძოლით შეინარჩუნა თავისი ეროვნება ენა და კულტურა ამიტომ, ეს ერი – ქართველები მსოფლიო ერთა შორის ყველაზე პატივსაცემი არიან“. დღეს ჩვენ ასეთივე შემართება გვმართებს, არა იარაღით არამედ ჭკუით და გონებით, რომელიც დიდმა განგებამ ყველა ქართველს საკმარისად დაანათლა. ყველანი ერთად ვადავიცქეთ სამშობლოს დამცველ ჯარისკაცად და დავეტოთ საარჩევნო ყუთებთან, რომ ამ მანქურთებმა ხმები არ მოგვპაროს, რომელიც აუცილებელია ჩვენი დიდი გამარჯვებისათვის. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დავიცვათ ჩვენი ხმა. თუ ვისმეს ვლადიტი აქვს გულში, ის უფლის რისხვას ვერ გადაუწერება. ჩვენმა მიძინებულმა სულმა გაიღვიძა ფეხზე ვდგებით, უფალი ჩვენთან არის, სარდალი გონიერი და ჭკვიანია, გამარჯვება ჩვენი იქნება.

დღევანდელ მთავრობას ბუნებრივი ნაკლი აქვს. ისინი ვერ გრძნობენ იმ ძალს რომელი ძალდა წლების განმავლობაში დათრგუნული იყო. დათრგუნულმა ძალამ ამოხეთქა იცის. სწორედ დათრგუნულმა ძალამ ამოხეთქა, როგორც ვულკანმა, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ბუნებრივი ნაკლის გამოსწორება შეუძლებელია, სწორედ ამის მიზეზია დღეს რაც საქართველოს მთავრობაში ხდება: – სახელმწიფო კანონის – კონსტიტუციის გაუფასურება რომელიც მიხედს სააკაშვილმა ჯიბის ბლოკირებად გაიხდა. პარლამენტის სანოტარო კანტონად გადაქცევა, რაც გამოიხატება კონსტიტუციის მუხლების უსისქემო ცვლაში, მთავრობის გაუთვალისწინებელი და უსაბუთოებელი გადაწყვეტილებების მიმართ, ქონების ჩამორთმევა. გაუთვალისწინებელი შოუ-კონცერტები, რამაც გადაარბია ბიუჯეტი. 70% საქართველოს მოქალაქეებისა შიმშილობს. ამის ნათელი მაგალითი იყო წლევეანდელი ახალი წელი. 31 დეკემბერს ბაზარში მიყიდულ იქნა აქა იქ დადიოდა. წინა წლებში 31 დეკემბერს ბაზრებში ვაგლა ჭირდა რა არის ეს? – თბილისის მოქალაქეების რაოდენობა შემცირდა თუ მათი ბიუჯეტი? პასუხი მარტივია – მათი ბიუჯეტი. ეს ჩამინათვლი საქმარისია იმისათვის თუ როგორ „ზრუნავს“ პრეზიდენტი და მთავრობა ხალხისათვის. სწორედ ზემოთ ნახსენებ აბრამ ლინკონის ბოლო სიტყვებს მოვიყვან „შეუძლებელია მთელი ხალხის გასულელება მუდამ“. დიახ, ჩვენ ვეღარ ვაგვასულელებენ. ბრძოლა იწყება, აბა, ჩემო ქართველებო, ვეშაღოთ დიდგორის ომის მოსაგებად.

ჭკუა და გონება ქართველებს არ გვაკლია. სარდალი გონიერი, დემოკრატი ჩვენთან არის, გამარჯვება ჩვენი იქნება. ლეონტი ბიჭაძე, ინჟინერ-ეკონომისტი

აფხაზური ალუბი



აფხაზეთის მშვიდობიანი წარსულიდან გამომდინარე ამგვარ მდგომარეობაში მყოფი...

ცხოვრება უაფხაზეთოდ - ისევ აფხაზეთზე ფიქრია: ჩემი, შენი და ათასობით ჩვენებურის ფიქრი, დარდი და წუხილი.

უღმერთო წარსულიდან "ესრეთ ყოველითურთ წინააღმდეგომ შენდა არს ცხოვრება ჩემი"

წმინდა ბასილი დიდი. 12. ... წლების წინათ, ჯერ კიდევ...

რამდენად აფხაზეთი და ჩემი თანამგზავრი შაოსანი ქალი გამახსენდა...

შეიარაღებული მოხალადა და სიცოცხლეს გამოასალმა წმინდა იოანე...

ამას წინათ, აფხაზეთიდან ჩამოტანილი (მოყვარული კამერით გადაღებული) ვიდეო ფირი ვნახე...

არცერთ სახლს სახურავი არ ჰქონდა!!!

აფხაზური ალუბი

აფხაზეთში დარჩენილი პირადი ბიბლიოთეკის მონატრება, ხანდახან, ქუჩაში, სახლიდან...

“აფხაზეთში დარჩენილი პირადი ბიბლიოთეკის მონატრება, ხანდახან, ქუჩაში, სახლიდან გამოტანილი წიგნებით ვივსებ...”

აბოლოტიკურ ზღვაში, სადაც ვერაინ ბედავდა შესვლას გურამის მისაშველებლად, აფხაზი ვაჟკაცი გადაეშვა - ეს მაღალ-

ნობრივი მაგალითი გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს უკავშირდება...

ქართველ გურამ რჩეულიშვილს არ უფიქრია, რომ რუსი ადამიანების საშველად მიემართებოდა.

რა ხდება დღეს? ეს ფასეულობები აღარ არსებობს. გაგრა ზღვაშია ჩაძირული, სიძულვილის ზღვაში, მაგრამ ჩვენდა განსაცრად, მისი ზედაპირი, დროდადრო, ჩაძირულ განძს ამოატივტივებს ხოლმე...

გაგრელი ქალბატონი მარინა ბ. ამასწინათ, თბილისში გავიცანი. ერთი შეხედვით, ისეთი მშვიდი მეჩვენა, თითქოს ომის ქარტეხილებს მის თავზე არ გადაეკვლოს.

ქართულ-აფხაზური ოჯახის დედა, ომამდე, გაგრაში უცხოვრია. მის ქართველ მეუღლეს, აფხაზებმა ომში ჩაბმა არ აპატიეს და გაგრის დაცემისას, უოქვარასთან, ავტობუსში ჩაწვეს. შვილებითურთ მეუღლის ნათესავებთან გამოხიზულმა მარინამ, თბილისში თავშესაფარი ვერ პოვა და ისევ გაგრაში დაბრუნდა (აღბათ, დამწვარი ფუტყეკრა აღადგინა-მეთქი - ვიფიქრე ჩემთვის).

ქართველების მიტოვებულ სახლებში კი... ვერ შევალ!.. მეუღლის ქართულ გვარს ვატარებ და დღემდე ნაქირავებში ვცხოვრობ. ეს არის ჩემი პროტესტი! - თქვა და გაწუხდა.

ომს, მეხთაბეჯებას და ომზე არანაკლებ მძიმე, ომისშემდგომ წლებს გამორიდებული, გადარჩენილი ფასეულობა დაადემასავით ამშვენებდა მარინას. აფხაზურად ალაშქის უწოდებენ მაღალ ზნეობას.

ქართველთა დანატოვარი სახლებით საეკე ქალაქში უსახლკარო აფხაზი ქალბატონი იდგა ჩემს წინ... - ვმადლდებოდი!..

გაღვიწიწი აფხაზეთი

...აფხაზეთიდან შორს, თბილისის გარეუბანში, ვახსოვრების მდელივი კორპუსის, მაღალ სართულზე ცხოვრობს სოხუმელი ვალერი შონია.

ვასთან ახლოს. მხესთან ახლოს. ვანჯირიდან დანახული ხელი არაფრით ჰგავს თავის ქიანას (ქვეყანას - მეგრ).

...ცხოვრობდა და... ვერც ცხოვრობდა კორპუსის ერთთახიანი სივრცეში. ქვეყნობიერად დაექებდა დაკარგულ ფერებს, მშობლიური მზის სითბოს.

ვერ იფიქრებდა... რომ კორპუსთან ახლოს, იქვე ხეში იპოვიდა... დაკარგულ სამკვიდროს - აფხაზეთს!..

თბილისელმა მეზობელმა ხეხილით განაშენებული ბაღი აჩუქა. მას შემდეგ ვალერიმ ცასთან ახლომდებარე ბინა ღამის დაივიწყა. ბაღში ის ხე-მცენარეები დარგო, რომელიც სუბტროპიკულ ზონაში ხარობს: ტირიფი და ოლქანდრა, ლეღვი და ტყემალი, ტალავურზე ჩვენებური ადესა გაყოფილი... ბაღს აღმოსავლეთით ნაკადულიც ჩამოედის, ხმაურით, რაღაცის იდუმალი ბუტბუტით...

სადინარში მიშვებული წყალი ბაღის შუაგულში გუბდება და პატარა აუზს ქმნის. აუზის კედლებზე ტრაფარეტებია გაკრული წარწერებით: “შავი ზღვა... სოხუმი... გაგრა... თანამირე...”

...ვალერი შონიას აფხაზეთი!

სოხუმში ხალხი

აფხაზეთიდან გახიზულთა ტალღამ აჭარაში გადაისროლა ოჯახით. პანსიონატ “პორიზონტის” ფანჯრებიდან დანახული სამყაროთი, ზღვისპირეთში იყო, მაგრამ არა იქ, საკუთარ ფუტყეკრაზე, სოხუმში... სოხუმის ქუჩაზე... ზღვაზე ქობულეთის სანაპიროდან აღქმული, თითქოს

ჰგავდა და არც ჰგავდა სოხუმის შავ ზღვას... იქ სხვა ფერებით ირეკლავდა მზე გარემომცველ სამყაროს... ამ სხვაობის განსჯაში წლები გადიოდა, სამკვიდროსკენ მხურამი პერობილი, ხშირად ტალღებსაც ატანდა სააფხაზეთო სურვილებს და მოკითხვებს...


აჭარის სასტუმროები დეკორაციისაგან რომ დაიცავდა, სოხუმელი სერგო გოგობიანი თბილისის გარეუბანში, გლდანის მასივში ათსართულიანი კორპუსის პირველი სართულის ბინადარი გახდა. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა. ნანატრი ჭერი ახურავს თავზე, მაგრამ... მინც ფორიაქობს, ვერ ჰგუობს სამოთხიან სტანდარტულ ბინას, რაღაცით ეზოკარისთვის მიმსგავსებას (ვდილობს: ნულეოვან სართულზე, სარდაფში საცხოვრებელი ოთახი მოაწყო, კედლებზე, ირგვლივ სოხუმური ფორტები მიმოფანტა... მაგიდაზე, ღოქით რქაწითელი შემოდგა (სურნელოვანი ადესის ღვინო ამით ჩაანაცვლა), სამთარში შეშის ღუმელს ააგუგუნებს ხოლმე და ფიქრებს მიეცემა, ფიქრებს, რომელიც აფხაზეთთან აახლოვებს. შორია კვლავ აფხაზეთამდე!..

კორპუსთან მიმდებარე მიწის ნაკვეთი ამ საფხულს ხეივანე მცენარით გაამშვენა, სურდა ფეხქვეშაც ვერძო აფხაზეთი. ამ იდეის განხორციელებაში სოხუმელი მეგობარი რუსლან მიქიანი დაეხმარა.

ზღვისპირული ფერებით და ორნამენტებით მოჭიქულ ხალხს (მოზაიკას) ფენენ ახლა სოხუმელები გლდანის მასივში.

“ბრუნდებიან” აფხაზეთში!!!

სვეტლანა კვიციანი



“ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით...”

გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ქალბატონი ცილა არდაშელიას ამ სათაურის წიგნი, რომელიც ფაქტურად მეორე გამოცემაა. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს სხვადასხვა დროს დაწერილი, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებული ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულს, რომელიც გამოიცა 1993 წელს.


წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ნაშრომი ერთ ქარგაზეა აგებული, იგი კომპოზიციურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს, თუმცა მასში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, კერძოდ, მესხეთის, აჭარის, ლაზეთის, აფხაზურ-სამეგრელოს ისტორიულ-კულტურული ვითარება უძველესი დროიდან ვიდრე დღემდე.

ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოაჩენს საქართველოს მრავალჭირნახული მხარეების ავტონომიას, წარმოსახვაში გვიცოცხლებს წარსულის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და მწერლური ხერხების გამოყენებით უკავშირებს შორეულ წარსულს ჩვენს თანამედროვეობას, დღევანდელი საქართველოს საჭირობოტო პრობლემებს, უღვიძებს მკითხველს სიყვარულს საკუთარი ერისადმი, მისი მდიდარი წარსულისადმი და ამ ისტორიაზე დაფუძნებულ აწმყოსა და მომავლისადმი.

წიგნში ბადახშად ჩასმული ნარკვევები ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევია ავრეთვე ჩვენი ერის მარად უბერებელ, ბრწყინვალე ხელოვნებაზე, ქართველ არქეოლოგთა გამოგონებულ აღმოჩენებზე... წიგნის სარჩევისათვის თვალის გადავლება:

კი (“ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი”, “ლაზეთი... ლაზეთი”, “გადარჩენილი სული კოლხეთის”, მიწის ქვეშ დამარხებული ქალაქი”, “გოგებაშვილის ლაშქარი სამურზაყანოში”, “აფხაზეთის ლაბირინთი” და სხვ.) გარწმუნებს, თუ როგორი მძაფრი ეროვნული მუხტის მატარებელია ქალბატონი ცილაას ქმნილება. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ამ წიგნის ხელმძღვრედ გამოცემა, რაც უდავოდ დიდი საჩუქარია ქართველი მკითხველისადმი. მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოს სომხური ხელისუფლება ყოველნაირად უღობავს გზას ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსულის ამსახველი ლიტერატურის გამოცემას!

დიდ მადლობას მოვასხენებთ ქალბატონ ცილა არდაშელიას ამ შესანიშნავი საჩუქრისათვის!



სააკაშილი: „ძველ წყობაში არასოდეს დაგვბრუნდები“

ამის შესახებ სააკაშილიდან მარნეულში ახალი საავადმყოფოს გახსნის შემდეგ ადგილობრივებს წინაშე სიტყვით გამოხვალისას განაცხადა.

„აქ არა მარტო საავადმყოფოს გათვალისწინება, არამედ მთავარ მოედანზე სუპერმარკეტს, პოლიციის შენობას ვხსნი. აქ იუსტიციის უმაღლესი სახლი შენდება. ამასწინათ სპორტდარბაზი და სპორტული ცენტრი გაეხსენით. ჩემს ბავშვობაში ამბობდნენ, რომ მარნეული სადაც შორს იყო, საცოდავი, მესამეხარისხოვანი, დღეს კი მარნეული უმაღლესი ქალაქი ხდება. ეს არის, რაც ვგრძობის რეკლამაში“. ჩვენმა ერთობლივმა შრომამ და იმან მოიტანა, რომ საქართველოში მეორეხარისხოვანი ხალხი, ადგილები, ეთნიკური ჯგუფი, აღმსარებლობის წარმომადგენელი არ არსებობს. აქ ყველა თანასწორია. ჩვენ ჩვენს ქვეყანას ვქმნით და ჩვენს ბავშვებს საუკეთესო პირობებში გაზრდით. ჯერ კიდევ უჭირს ქვეყანას, სკოლები, საავადმყოფოები საუკეთესო უნდა იყოს. გზები ყველაგან ძალიან მავალი უნდა მივიდეს, უნდა იყოს იმაზე მაგარი, ვიდრე პოლანდიაშია, ამერიკაშია, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი დრო დაეკარგეთ და ვინც არ უნდა ილაპარაკოს, ჩვენ ძველ წყობაში არასდროს დაბრუნდებით. მასში კარგი არაფერი იყო. ძველი წყობა ასოციურული იყო სიღარიბესთან, უთანასწორობასთან, გამომძღვანესთან, მოსყიდვასთან და ა.შ. ასეთ საავადმყოფოებში მხოლოდ მილიარდერები და მილიონერები მკურნალდებოდნენ. ჩვენ მილიონერები არ ვართ, მაგრამ დირსება გაქვს, საუკეთესო ჯანდაცვა, განათლება და უპეტესი ცხოვრება გვჭირდება“, - განაცხადა სააკაშილიმა.

მისივე თქმით, „ჩვენს ქვეყანას დიდი ავტორიტეტი აქვს, რაც იმან განაპირობა, რომ მთავრობა მხოლოდ ხალხზე ფიქრობს, ხალხს ემსახურება, კორუფცია მოსო და ყველა, ვინც საჯარო სამსახურშია, იმაზე ფიქრობს, აბა, დღეს მე ჩემს ხალხს რა გაგვიკეთებ, რა გაგვიკეთებ თბილისელებს, ბოლნისელებს, მარნეულელებს, ჩხოროწყელებს და ყველა დანარჩენს...“

„ამას ვერაინ წავაგართმევს და უკან ვერ მივაბრუნებ, იმიტომ, რომ წარსულისკენ ჩვენი მიტრიალება რომც უნდოდეთ, ქართველი საზოგადოება ცხენი არ არის, ლაგამი ამოსდო და თავი საითაც გინდა, მიატრიალებინო. თუ ვინმე ამას მონინდომებს, ცხენი მხედარს ჩამოაგდებს. ჩვენ დირსებით აღსავსე საზოგადოება ვართ, რომელიც წინ მიდის“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

სამონეორმი

ვერ გაგვივია, სადა უნდა დაგვბრუნდეთ იმაზე უკან, სადაც სააკაშილი და “ნაციონალურმა” დაგვბრუნეს!

სახელისუფლებო ტელეარხების შემხედვარეს (სხვა ტელეარხები ან არ არსებობენ, ან, თუ არსებობენ, უსახსრობით სულს დაფავენ) ის დრო მახსენდება, როცა საბჭოთა მასმედია დიდიდან ღამემდე გუნდურებს უკმედა “ჩვენს ლეონიდ ილინს”. უბრალო ხალხს საჭმელი არც მაშინ ჰქონდა და არც ახლა აქვს, შენობათა ფასადებს მაშინაც ალაშაზებდნენ და შიგ რა ხდებოდა, არავის აინტერესებდა. ერთი რამ სჯობდა ბრეტენის ეპოქაში - ხელისუფლება ბევრად თავშეკავებულად ცხოვრობდა, სასამართლოებიც მეტ-ნაკლებად სამართლიანები იყვნენ, საავადმყოფოები და სკოლები უფასო იყო, პრეპარატები კი კაპიკები ღირდა. აი, ამ ძველ წყობაში თუ ვინმე დაგვბრუნებს, მთელი ქართველი ხალხი მისი მადლიერი დარჩება!



ითქვას სიმაბრებელი

... მიზეზი ამ წიგნის ჩემ მიერ აწკიდევად გამოცემისა ესაა: ჯერ ერთი, გამარჯვებულნი მთარგმნელი (გარდამოღებულნი) და სხვადასხვა სხვადასხვაგვარად ესმის. ამიტომ შესაბამისაა უსაზღვრობა დაუღვეველი იყო. და, თუ რატომ ხდებოდა ეს: ზოგი უმეცარი იყო, ზოგს კი დიდების კმაყოფილებით გარსმობხვეული [თავისი] უსწავლელობის მხილებს [უნარი] მოუღუნდა (წარეცონა სამხილი უსწავლელობისა). ამიტომ ჩვენს თანამემამულეთა შორის (სომხეთისა შორის ჩვენთა) არ არსებობს (არ აობს) ვინმე მხილველი და მოქმედი, თუ როგორ [ხდება] ძალითი სიტყვის მოქმედება და როგორ გაცხადდება ეს სახარებაში და სამოციქულოში და სხვა ამგვარ [წიგნებში], კერძოდ: „დასაბამსა შორის იყო სიტყუა“ გამოყოფით ამგვარად: „პირველითა იყო სიტყუა“ და არ იცინა, რომ პირველი შემდგომთა შორისაა პირველი და ამითა არა თუ უცხოა ბუნებით, არამედ იგივე ბუნებისა: ...“ (იხ. იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიაკონოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“, დ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1999, გვ.213).

ვეთანხმები ქნ დამანას, მაგრამ მხოლოდ ერთი წინადადება, კერძოდ, „ამიტომაც ჩვენს თანამემამულეთა შორის (სომხეთისა შორის ჩვენთა) არ არსებობს (არ აობს) მხილველი და მოქმედი...“ უკეთ გარკვევას მოითხოვს. ჩვენი აზრით, ეს წინადადება ასე უნდა გაგვიყოს: „ამიტომაც ტომებს შორის ჩვენს ტომში (ქართულის ტომში) არ არსებობს მხილველი და მოქმედი...“ ავტორი, რომ ასე ფიქრობს სხვა ტექსტებიდანაც ირკვევა, რომელსაც ქვემოთ გავეცნობთ. თუმცა დ. მელიქიშვილის გარდა, სულმანაო შალვა ნუცუბიძეც იმავე ამტკიცებდა: „არავითარ ეკლესიას არ ტოვებს ის ფაქტი, რომ პეტრიწთან ლაპარაკი ეხება პროკლეს პირველი გამოცემის **ქართულ** წიგნს. პეტრიწის გამოცემა „ჩვენი თანამემამულეები“ (სომხეთისა შორის ჩვენთა) შესახებ აგრეთვე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქმე ეხება ორივე ავტორისათვის საერთო ქართველ ტომს, რომლის მწერლებიც (იოანე ლაზი და პეტრე იბერი, კ.გ.) V საუკუნეში ბერძნული საღვთო ტექსტების გადმოთარგმნაზე იღვწოდნენ და მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას გამოეყენებინათ მოძღვრება „პირველის“ („პირველი მიხეზის“) შესახებ, ვინაიდან მათ არ მოეკუთვნებოდათ იმის გასაგები ახსნა, თუ რა განსხვავება იყო პირველის ორ ცნებას შორის – პირველსა, რომელიც „შემდგომთა არს პირველი... ერთი და იგივე ბუნებითა“, ერთი მხრივ, და პირველსა, არის „პირველი საუკუნეთა ყოველთა მამის – შორის, რომელ არს დასაბამი თვის – შორისსა სიტყვსა, მეორეს მხრივ“ (შალვა ნუცუბიძე, შრომები V, პეტრე იბერი და ანტიოქი ფილოსოფიური მემკვიდრეობა, თბ., 1975, გვ. 537).

ფსევდო – დონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის, ასევე იეროთეოსისა და იოანე ლაზის იდენტურობის დასადგენად დიდი შრომა აქვს გაწეული და დამაჯერებელი გადმოცემული პროფ. შალვა ნუცუბიძეს, მაგრამ „სომხეთისა შორის ჩვენთა“-ში ლაზთათვის და იბერთათვის საერთო ენად მე-1 საუკუნეში **ქართული ენა** მოიაზრებოდა, გამორიცხულია; ამას აბსოლუტურად გამორიცხავს ჩემს ხელთ არსებული მრავალი არგუმენტი, მათ შორის, თვით იოანე პეტრიწის სიტყვები:

... და კუალად ვითარ იტყვს **დამდები ჩვენსა შორის ენისათა** დღმრთის მხილველისა მოსეს მიერ ესთა გამოცისკროვნებულისა მოსეს მიერ სიტყუასა, ვითარმედ „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ არ ესთა, არამედ ესთა, თუ დამხედმან იტყუინებ, იტყვს: მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაგან და მსგავსისა ჩვენისა...“ რომელსაც ქნი დამანა თანამედროვე ქართულ ენაზე ასე თარგმნის: „... და მერე, როგორც ჩვენს ენაზე ღმრთის მხილველი მოსეს გამოცისკროვნებული სიტყვის გადმოძღვრით (პეტრე იბერი, ხაზი ჩემია, კ.გ.) ამბობს: „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ - ასე კი არა, არამედ დაუკვირდი, მხედველო, ასე ამბობს: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატი-საებრ და მსგავსისა ჩვენისა...“

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწის გამოცემა „დამდები ჩვენსა შორის ენისათა“ ქნ დამანას ასე აქვს ინტერპრეტირებული „გადმოძღვრით ჩვენს ენაზე“, სადაც „ჩვენს ენაზე“-ში, ცხადია, საკუთრივ ქართული ტომის ენას გულისხმობს. ჩვენი აზრით კი, „ჩვენსა შორის ენისათა“-ში „ჩვენი ენა“ კი არა, არამედ „ჩვენი ტომებს შორის

ენა“ იგულისხმება. იმ ხანად „ტომებ-შორის“, ანუ საერთო სალიტერატურო ენა ქართული კი არ იყო, არამედ იბერიული და პეტრე იბერიც იბერიულ ენაზე წერდა. „მიხეზთა წიგნი“ იბერიულ ენაზე დაიწერა, რადგან იმ ხანად იბერიული იყო სახელმწიფო ენა, რამდენადაც 523 წლამდე იბერთა ჰეგემონობა იყო და არა ქართთა. ქართულის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ მალევე იშლება ყოფილი იბერიის სამეფო, ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ, ქართლის სამეფოდ და ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოდ.

ქართლის მეფის მემკვიდრე – ბაგრატ III-მ, რომელსაც ბიბამისმა (დედის მხრიდან) ეგრის-აფხაზეთის მეფემ – თეოდოს II-მ თავისი სამეფო ჩააბარა და ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა 978 წელს, 1008 წელს სისხლისღვრით შემოიერთა დინასტიურად კუთვნილი თავისი მამული – ქართლის სამეფო, რადგან მას წინ აღუდგნენ ნათესავები – გურგენი და სუმბატი, მიუხედავად იმისა, მაშინაც გურგენ II-მ ანდერძით დაუტოვა კუთვნილი მამული, ხოლო ტაო-კლარჯეთის კურაპალატმა დავით III-მ, ბაგრატ III-ის „მამობილად“ წოდებულმა ხელისუფალმა სიკვდილის წინ ანდერძით დაუტოვა თავისი საკურაპალატო ბიზანტიას, რომლის შემოერთებაც დავით აღმაშენებელმა დაეწყო მოხერხდა.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე პეტრიწს რატომ დასჭირდა პეტრე იბერის იბერიულ ენაზე დაწერილი „მიხეზთა წიგნი“ დაწერის შემდეგ ქართულ ენაზე მისი გადმოღება, მისივე სიტყვებიდანვე უკვე ცნობილია, მაგრამ, როგორც მისი სიტყვებშივე ჩანს, იგი იმ ხანად უკმაყოფილო იყო ქართული ენის გამოისახველობითი ღირსის სისუსტითა და მდაბიურობით და წერს:

... არა ვეც რული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემ(ი)სათა, და არცა წამი სასუნიეთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხელა მე გონებისა ჩემისა დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათა იარდა (ა) ენაცვლებს; და აღვიშურვე ტომისათვის გვართა **ჩემისა** (ხაზი ჩემია, კ.გ.) მე მიმდობად ენისა გაღვესებული და მესსუეი მდაბირობათაგან...“ (იტყვ. გვ. 220). ეს ტექსტი თანამედროვე ქართულ ენაზე დ. მელიქიშვილის მიხედვით ასეთია:

„არა ვეც რული“ ჩემს სარეცელს და არც წამი ჩემი სულის მოსახვევებლად, ხანამ არ მომხელა მე გონებისა ჩემისა დღისაკენ. რომელსაც უმეცრებათა სიბნელე არ ენაცვლება. და აღვიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვადიდარი და განსხვავებული მდაბირობათაგან...“

... ეს სიტყვები ეკუთვნის შუა საუკუნეების დიდ ქართველ მოაზროვნეს, საღვთო ფილოსოფოსს – თეოდოსს – იოანე პეტრიწს. სწორედ იოანე „პლატონურმა ფილოსოფოსმა“, რომელიც ძველ ხელნაწერთა ანდერძებში „ქართული ენის შუად“, ჩვენი ენის „მამხუველებად და მადღებლებად“ იწოდება, „აღიშურვა“ თავისი გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის, შეექმნა „ენა გაღვესებული და მესსუეი მდაბირობათაგან“, ანუ ყოფითი ენისაგან განსხვავებული, სპეციალური ფილოსოფიური ენა, რომელიც თავისი გამოისახველობითი ძალით გაუტოლდებოდა „ეკლინი ენადღებობას“, ბერძენთა „უფსკრულად ენას, რომელშიც მისი აზრით, „ყოველსავე თვის სახელი პრქან, შესაბამისი თვისა არსებისა“ და, მიუხედავად თავის თანამემამულეთაგან დევნისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანადგომისა და სიყვარულის, თანაღმობისა და შექვევის ნაცვლად, როგორც თვითონ ამბობს, „ბრტყალსა ჩემსა უმზირდეს სასაფრთხოდ სულისა ჩემისა“, უმეცრებასა, შურსა და ვერაგობას შორის „მიდმოვითი“, იგი „ღვთის წყალობასა და დავითის (აღმაშენებლის, ხაზი ჩემია, კ.გ.) თანადგომისა და გამგონებობას მიწობილი“, დღესა და დამეს ასწორებს, თვალსა რულს და სულს მოსვენებს არაძლევა და მანაც ახერხებს „წინთისაგან მიხუხუხებად“, ანუ მატერიისაგან განყენებული ღმრთისმეტყველების წარმოჩენას, ქართული ენის განწყოებას „გონიერთა ხედვითა მომმარჯვი“ ბერძნული ენის ბაღდად“ (იხ. იოანე პეტრიწი, 1999, გვ. XII-XIII).

ვიზიარებთ დ. მელიქიშვილის აზრს, იოანე პეტრიწი იმიტომ წუხდა, რომ როცა დაუდგათ ხანა და უფლებამოსილება (1008 წლიდან, ანუ ბაგრატ III-ის მეფობის ხანიდან) თავიანთ ტომობრივ ენაზე თარგმნათ და გასცნობოდნენ პეტრე იბერისა, თუ სხვათა შრომებს, რაშიც მეფე დავითიც, როგორც ქართლის მეფის

მემკვიდრე და პატრიოტი, უჭერდა მხარს, მომრავლდნენ მთარგმნელები, რომლებიც უმეცრების გამო სხვადასხვაგვარად თარგმნიდნენ აღნიშნულ და სხვა ენაზე არსებულ წიგნებს მდაბიოთათვის, რომლებსაც მხოლოდ საკუთარ ტომობრივ ენაზე შეეძლოთ გასცნობოდნენ მათ. მაგრამ ამ თარგმანებში შესაბამისობა „დაუღვეველი“ იყო და ამიტომ აღიშურვა თავისი გვარ-ტომისათვის, ქართულისათვის შეექმნა სიტყვადიდარი, გამოისახველობითი უნარით ამაღლებული და განსხვავებული ენა იმ დროის **ქართა ტომის** მდაბიოთა ენისაგან, რომელ ენაზეც ვერ ხერხდებოდა იმ ხანად პეტრე იბერისა და სხვა ბრძენთა ნააზრების სრულყოფილად გადმოცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერის ენობრივ სამყაროში ცალკე ფილოსოფიური ენა არ არსებობს. არსებობს ამა თუ იმ დარგისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და იოანე პეტრიწს, „ფილოსოფიური ენის“ შექმნა კი არა, სურდა, საერთოდ იმ დრომდე მდაბიოთა ენად დარჩენილი ქართულის ენის რეფორმა. პეტრიწს „სპეციალური ფილოსოფიური ენის შექმნა სურდაო, ქნი დამანა იმიტომ ამბობს, რომ ამით სურს სხვა სიყალბეების დამალვა, კერძოდ, იმისა, რომ მანამდე ქართული ენა უმწერლობა იყო.

რაც შეეხება იოანე პეტრიწის საწუხარს, ქართის ტომის ენობრივი განვითარების ჩამორჩენილობა ბევრ ქართველ მეცნიერს სურს მიიღოს იბერიულ მოდელზე გაავრცელოს, რომ ამით დაამკვიდროს აზრი, ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა, ხოლო მეგრული (იბერიული) და სვანური მისი დიალექტები. მაგრამ იბერიული ენა V საუკუნის მსოფლიო ენობრივი განვითარების ფონზე, გამოისახველობითი უნარითა და სიტყვათა სიმდიდრით არა თუ მაშინ, დღესაც შეუდარებელია (იხ. მ. და ც. დამაძიების „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა“, თბ., 2007). ამიტომ უნდა გავიგოთ, რომ იოანე პეტრიწის მიზანი იყო თავის ტომის ხალხისათვის, ქართულისათვის შეექმნა ხელმისაწვდომი და გასაგები ენა, გამოისახველობითი უნარით იმ დროისათვის განვითარების უმაღლესი ღირსის ეტალონად მიჩნეული ბერძნულის ბადალი ენა. იბერიულ ენას არ ახსენებს პეტრიწი და სხვა ქართველი მეცნიერები, რადგან ქართის ტომის ენის განვითარების დამუხრუჭებას იბერებს აბრალბდნენ და ამიტომ სამაკვიროს გადახდის სურვილით აღტყინებულებმა იბერიული ენის სიძლიერისა და როლის დაკნინებას მიჰყვეს ხელი: მიუღი ათი საუკუნეა ქართული ენის უნერგავნი, რომ მეგრული ენა მდაბიოთა ენაა, უმწერლობა და ის უნდა გადაშენდეს, რაც შეიძლება მალე, რომ მდაბიო მეგრელები (სპეციალურად ეთნიკური სახელწოდება შეცვლილი იბერი) გაკულტურდნენ და ენობრივ განსხვავება წაიშალოს. ადრე თუ გვიან, ეს ასევე მოხდება, მაგრამ მეზინია, რომ რიგი მიზეზების გამო ეს საბედისწერო აღმონდეს მიუღი ერისათვის. აქ დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად დაუბადება კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა ქართულისათვის შეექმნათ პირობები იბერიული ენის შესწავლისა, რამდენადაც იბერიული ენა ქართის ტომისათვისაც წინაპარი ენა იყო, მათთვისაც გასაგები გაეხადათ და გაეცნებებოდათ იმ დროის ენობრივ ენაზე? უნდა ვაღიაროთ, იმ ხანად არც გარეშე მტრები და არც არსებული ტექნიკური საშუალებები და, რაც მთავარია, აზროვნების დონე იდუაღდა ამის პირობებს. ხოლო მოვლენებისა და ქვეყნის მდგომარეობის სხვაგვარად განვითარების გამო „XI -XII საუკუნის მოღვაწენი დიდ შემოქმედებთს ძალასა და ენთუზიაზმს იწყენ, რათა გამოეკვლინებინათ ქართული სიტყვათწარმოების შესაძლებლობანი, ფართო გაქანება მიეცათ მისთვის და მხოლოდ და მხოლოდ ქართული მასალით, ქართული ძირებითა და აფიქსებით და არა მექანიკური სესხების გზით შეექმნათ საკუთარი მეცნიერული ტერმინოლოგია და, ამგვარად, ქართული ენა თავისი გამოისახველობითი ძალით გაეტოლებინათ „გონიერთა ხედვითა მომმარჯვი“ ბერძნული ენისათვის, რომლის ენაზეც „და „ენადღებობა“ მისხაბადი იყო არამარტო ქართველებისათვის, არამედ რომაელებისათვისაც“ (იოანე პეტრიწი, 1999, გვ. V).

იოანე პეტრიწის სიტყვებიდან ჩანს, რომ იმ ხანად ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული იმის გამო, თუ რომელი ენა გაბატონებულიყო საერთო სალიტერატურო ენად: იბერიული ენა, რომელიც იმ ხანად დამახ-

ინჯებული ფორმით „მეგრულად“ იწოდებოდა, მაგრამ დიდი კულტურული ტრადიციებითა და, სწორედ „ენამხეობით“ ხასიათდებოდა, რადგან კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელი ენა იყო და ამდენად მწერლობაც უნდა ჰქონოდათ, თუ ქართული ენა, რომელსაც მხოლოდ XI საუკუნიდან ეძლეოდა ასპარეზი განვითარებისათვის.

ეტყობა, იოანე პეტრიწს თვისტომ „ქართველშიც“ ჰყავდა მოწინააღმდეგენი, რომლებიც „თანადგომისა და სიყვარულის, თანაღმობისა და შექვევის ნაცვლად, ბრტყალსა ჩემს უმზირდეს სასაფრთხოდ სულისა ჩემისა“, მაგრამ მადლობა ღმერთს, გამოინახა ოპტიმალური, ყველა იბერიული მოდელის ტომისათვის მისაღები ვარიანტი (იხ. ჩვენი „მეგრული (აღამურ-იავგურ-იბერიული) ენა – გლოტოლოგიური ფენომენი“) და იოანე პეტრიწმა და სხვა გულანთებულმა მამულიშვილებმა დაუღალავი შრომითა და სულიერი წვით, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ორ საუკუნეში შეძლეს შეექმნათ საერთო, მეგრულ-ქართულ-სვანური, **ახალი კლასიკური იბერიული ენა**, რომელ ენაზეც შესაძლებელი გახდა დიდ რუსთაველს ეძღვრა ივანეშვილდენი საგალობელი. მაგრამ შემდეგშიც არ ცხრებოდნენ იბერიული ენის მოწინააღმდეგენი და უნდა აღინიშნოს, რუსთაველს იმიტომ კი არ ღვენიდნენ, რომ ქართველი ერის, ჯერ კიდევ, სწორუპოვარი საგანძურის, მსოფლიო ლიტერატურის შედგენით, მისი „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტიანულ მოძღვრებას მოწინააღმდეგებოდა (პირიქით, იგი თითქმის პოეტურ-მხატვრულ ფერებში გამოთქმული ბიბლიაა), არამედ იმიტომ, რომ სახელისუფლებო ორგანოებში იყვნენ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის მოწინააღმდეგენი და დიდი შოთა მათთვის „არასასწავლელი“ პიროვნება იყო, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ მეგრულ ლექსიკას ვერ ვუგებოდნენ. რის გამოც „ხალხს რომ მისი პოემის რამოდენიმე ხელნაწერი არ შემოენახა ისტორიის, ბნელ ძალთა მიზანი მიღწეული იქნებოდა, მაგრამ კლასობრივ ისტორიაში დევნილებად ყოველთვის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები არიან ხოლმე, ზოგჯერ კი გენიალური ადამიანიც, ასე მოუვიდა პეტრე იბერსაც“ (შალვა ნუცუბიძე, იტყვ. გვ. 503).

პეტრე იბერსა და იოანე პეტრიწს 6 საუკუნე აშორებს ერთმანეთისგან. **ქართული ენა** კოლხეთის აკადემიაში ერთერთი სასწავლო ენა რომ ყოფილიყო და თანაც სახელმწიფო ენა, ჯერ ერთი, პეტრე იბერის წიგნი არც იქნებოდა სათარგმნი, მაგრამ მისი „მიხეზთა წიგნი“ დაიწერა იბერიულ ენაზე, რომელიც მილიონობით ლექსიკური ერთეულითა და შეუდარებელი გამოისახველობითი უნარით, თუ უფრო მაღლა არ იდგა, ტოლს არ უდებდა „ენამხეობითა“ და „ენადღებობით“ განთქმულ ბერძნულ ენას; მეორეც, ქართულ ენას, თუ „მდაბიოთა“ ენისაგან ორ საუკუნეში შექმნილი კლასიკური ენად ქცეულიყო, თუ 523 წლის მოვლენა არ მომხდარა და უფრო ადრინდელი დროიდან იგი საერთო სალიტერატურო ენა იყო ყველა იბერიული ტომისათვის, ბუნებრივია, მეტი შანსი ჰქონდა ექვსი და მეტი საუკუნის განმავლობაში უფრო ადრე ქცეულიყო კლასიკურ ენად, მაგრამ 523 წლამდე ის იბერიული ენის დიალექტი იყო, იბერთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ბუნებრივია, ამ დიალექტზე მწერლობა და საქმის წარმოება არ მიმდინარეობდა, ხოლო 523 წლის შემდეგ „აღმოსავლეთ საქართველოში იწყება ქართულის, ანუ ქართველების მფლობელობა, თავდაპირველად განცალკევებული ერისთავთა მფლობელობით, ხოლო 899 წლიდან, ადარნასე II მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების შემდგომ, ქართველთა სამეფოს დამკვიდრებით“ (ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? ჟურნალი **ახალი**, 2001, 9-10, გვ. 28). ე. ი. 523 წლიდან 899 წლამდე თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში სამთავრობად დაქუცმაცებული ქართლი ცალცალკე ემორჩილებოდა ჯერ სპარსელებს შემდეგ კი ბიზანტიელებს ცალცალკე უხდიდნენ ხარკს და ქართული ენისა და კულტურის განვითარებისათვის არავის სტეკდა თავი. ამიტომ შეუძლებელი იყო მე-11 საუკუნემდე დაწერილიყო ქართულ ენაზე პეტრე იბერის ფილოსოფიური შრომების მსგავსი შრომები.

კუპური შიფთა, „ფაზისის“ აკადემიის აკადემკოსი

“ერთი ინტელიგენცია” - გზიდან გამოსვლის და დამოუკიდებელი საქართველოს მისაღებად

(გაგრძელება მე-2 გვ.დან)

მან ლომის წილი დაიღო ზვიად გამსახურდიასთან ბრძოლაში, ახლა სააკაშვილს ებრძვის და რეალურად, ერთი რამ აინტერესებს - საკუთარი ფესტივალის „საჩუქრის“ დაფინანსება, კარიერა და გავლენა თვითნებურ საზოგადოებაში. ქეთი დოლიძეს, შევარდნაძის 13-წლიანი მმართველობისას, პრეზიდენტის მისამართით ერთი კრიტიკა არ დასცდენია. როგორ, ქვეყანა თავზე გვემხოვოდა, ხალხი შიმშილით იხოვებოდა და ვერ შეაძინებდა დემოკრაციას? ახლა თუ ერთი უმნიშვნელო ფაქტი არ გამოგვაჩვენებს ამ ხელისუფლების ლიდერებისა, მაშინ არავფერო გესმოდ, კერაფერს ხედავდი?

ნუშო მანთარია - ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მოასწრო გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობის მიღება. პოლიტიკაში არ წასულა, ტელევიზიაში მისცეს ნორმალური სამსახური და სახელი ჯაბა იოსელიანის პიესების გასაქვეყნებლად გაითქვა, თუმცა, შიგადაშიგ, სხვა ავტორებსაც „სწავლობდა“.

ქართული აკადემიის ერთ-ერთი ლიდერი სააკაშვილის მმართველობის გამოჩნდა, ამანაც ახლა იგრძნო დემოკრატიის დეფიციტი თუ დიქტატურა, ხელოვნებისა და განათლების პრობლემები. ახლა, ეს ხელოვნება და განათლება, ასეა თუ ისე, მაინც არსებობს, რაღაც კოდება და გასაგებია, ვიღაცას მერტი და უკეთესი უნდა, მაგრამ შევარდნაძის დროს საერთოდ რომ არ არსებულა?

10-12 წლის მანძილზე, მგონი, ერთი წიგნიც რომ არ დასტამბულა და გამოცემულა? ამაზე რატომ არ იღებდა ხმას პატივცემული ქანთარია? თუმცა მისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის ხელოვნების ნიმუშებიც იყო იმ დროში; კინოთეატრ რუსთაველის გადაწყვეტილებით და რუსთაველის თეატრისთვის ჭურჭების სროლა, მხატვრის სახლის დაწვა ჯაბასა და კიტოვანის მიერ, მაინც ხელოვნების სფეროს განეკუთვნება.

აი, ეს ხალხი იბრძვის დღეს ხელისუფლების დამხობის მოსურნეთა გასამართლებლად, ან თავდაცვითი ჩაბმულობის ამ პროცესში. ეს ის ხალხია, გამსახურდიას რომ დაამხო, აფხაზეთის დამკარგავ შევარდნაძეს რუსთაველზე, იმელის წინ რომ დაუწოლა, ერთი პროტესტი რომ არ გამოუთქვამს შევარდნაძის მიერ გაყიდული, დალატით ჩაბარებულ აფხაზეთზე, 10000 ჩახოცილ ვაჟაკზე, თითქმის 500 000 დევნილზე...

იმას, „თეთრ მელას“ ყველაფერი ეპატიებოდა, რადგანაც მან იცოდა „ინტელიგენციის ფასი“... „წითელი ინტელიგენციის“ - დაუწყავს, მოუფერებელი გადაუგდო და მოიხრე, მერც რა გინდა, გამოიყენე! მთავარია, იმ ძვალზე ხორციის ნაფიქროსი არ გამოიღოს, თორემ კბილები ისე აქვთ აღესილი, ცოცხლად შეგჭამენ! უსასრულოდ შეიძლება ამ სიის გაგრძელება, მაგრამ იგი აზრს კარგავს, რადგან აქამდე არავის უცდია რომელიმე მათგანისთვის მოეკითხა ჩადენილი დანაშაულის გამო!..

თუმცა, მოვლად ასე უიმედოდ არ უნდა იყოს საქმე - ამ რამდენიმე დღის წინ მთელს ქვეყანას მოედო სენსაციური განცხადება:

“წუხელ, დამით, დიდუბის პანთეონში ორი უცნობი მამაკაცი შეიპარა და ჯაბა იოსელიანის საფლავი შეურაცხვეს. ბოროტმოქმედებმა ვერ მოასწრეს მიცვალებულის ამოთხრა!..”

ხედავთ ხალხნო? ეტყობა დაიწყო წარსულის ცოდვების მოკითხვა!

ხომ არ გგონიათ, უსხენებელმა შევარდნაძემ, დიდი სიყვარულის გამო დაასაფლავა კრწანისის რეზიდენციის ეზოში მისი გარდაცვლილი მეუღლე? მან კარგად იცის თუ არა ცხრაკლიტულში, არც მის მეუღლეს და არც მის დანარჩენ ნაშთებს, საზოგადოებრივ სასაფლაოზე ერთი დღე არ გააჩერებს ის ხალხი, რომელთა სისხლის წოვაში გაღია სახელისუფლებო, ხანგრძლივი პერიოდი.

გვერდშეხეთ, უსხენებელ შევარდნაძეს ვერც ცხრაკლიტული უშველის - დადგება ჯამი, როცა რეზო აბუ-ლაძის ფილმ „მონანიები“ ფინალს ვიხილავთ კრწანისის რეზიდენციის ეზოში.

საკვირველია ისიც, რომ ზუსტად ისეთი ხევი ესაზღვრება რეზიდენციას “გარდამ არავიძის” აფროლეულ ლემს რომ გადაუბახებს მისივე შვილი!

ჯაბას დაცვის ყოფილი წევრი ქრისტინაობას უწუნებდა ჯაბას ამომხრელებს. სამაგიეროდ, ჯაბასგან განაწამებდა, ათასობით ადამიანი, მარჯვენას უკურთხებდა მათ და დაუფარავად სწუხდნენ იმის გამო, რომ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

გაფრთხილდით, განკითხვის ჯამი დგება და ვისაც ოდნავ მაინც შეგრძნობთ შიში და რიდი ქრისტინაობისა, მონანიებთ თქვენი დანაშაული, ოდნავ მთელი ქვეყნის და თქვენგან განაწამები ხალხის დასანახად, რომ მომავალში თქვენს საფლავეებსაც არ მიადგენენ ნიშიანი რევეანისებები!

**რ. შალამბერიძე,
დ. შოთაძე**

ჩვენ ვაპუქებთ! სააკაშვილი ახელავს!

„ასავალ-დასავალს“ ინიციატივით გამართა ფარნების აქცია სახელწოდებით „ვეჭვით სიტყვის თავისუფლებას“. თავისუფალი მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა თბილისში საგაზეთო ჯიხურების აღება, პრესის გავრცელების შეზღუდვა გააპროტესტეს და კიდევ ერთხელ გამოუცხადებთ სააკაშვილის ანტიდემოკრატიულ რეჟიმს, რომ არ მიეცემა უფლებას, საქართველოში თავისუფალი სიტყვის უკანასკნელი კუნძულიც ჩაიდროს.

ფარნების აქციის ჩატარების შესახებ „ასავალ-დასავალს“ ინიციატივას შეუერთდნენ „ალია პოლიტიკა“, „მედიაპალიტრა“, „რეზონანსი“, „ვერსია“, „მაესტრო“ და ხელისუფლების კლანტებისგან თავისუფალი სხვა მედიასაშუალებები. აქციაზე თავისუფალი მედიისადმი სოლიდარობის ნიშნად მოვიდნენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, ადვოკატები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ჟურნალისტები.

აქციის მონაწილეები ყოფილი სასტუმრო „აჭარის“, ახლანდელი სასტუმრო „პოლიდეი ინის“ წინ მდებარე მოედანზე შევიკრიბეთ, ცოცხალი ჯაჭვი შევკარით, ხელში დავიჭირეთ ანთებული ფარნები და პლაკატები წარვჭირეთ - „ჩვენ ვაპუქებთ! სააკაშვილი ახელავს!“ დემონსტრაციულად გადავჭყერით პეკინის გამზირი და მივედით დოლიძის ქუჩის კუთხეში, საიდანაც ერთდროულად პრესის რამდენიმე ჯიხური

აიღეს. რატომ გვეჭირა დღისით-მზისით ხელში ანთებული ფარნები და რისი თქმა გვინდოდა ამით?

მოგვხსენებთ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, სინოპელი ბრძენი დიოგენე, დღისით ანთებული ფარნებით დადიოდა ქალაქის ქუჩებში და როცა ეკითხებოდნენ, თუ რისთვის აკეთებდა ამას, პასუხობდა - „ვეჭვებ ადამიანს!“

„ასავალ-დასავალს“ ინიციატივით გამართული ფარნების აქციის არსიც ანალოგიური იყო - დღისით-მზისით ანთებული ფარნებით ხელში ძებნა გამოვაცხადეთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დევნილ თავისუფალ სიტყვაზე.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დავეჭრე და ახლაც ვავიშორებ: თუ თავისუფალი მედია ერთიანი იქნება, თუ საზოგადოება სოლიდარობას გამოუცხადებს თავისუფალ პრესას და ჟურნალისტებთან ერთად დადგება სიტყვის თავისუფლების დასაცავად, მაშინ სააკაშვილის რეჟიმი ვერაფერს გახდება. პირიქით, სწორედ თავისუფალი პრესა იქნება ის კედელი, რომელთან დაჯახებთანაც ეს რეჟიმი რტქებსა და კისერს წაიმტვრევს.

დაიხსნოს სააკაშვილის რეჟიმი უპირისპირდება თავისუფალ სიტყვას, იგი ამით უპირისპირდება არა მარტო დემოკრაციას, თავისუფალ მედიასა და ჟურნალისტებს, არამედ თავად უფალს! „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა



იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ - ვითხოვლობთ იოანეს სახარებაში.

დაიხს, ამქვეყნად სიტყვა და მისი თავისუფლად წარმოთქმის უფლება სააკაშვილის რეჟიმის კი არა, ღმერთის მიერ არის დაკანონებული, ამიტომ ვინც სიტყვის თავისუფლებას ებრძვის, ის ღმერთს ებრძვის, ღმერთთან ბრძოლაში კი გამარჯვებული ჯერ არავინ გამოსულა!

ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, თავისუფალი მედიის წარმომადგენლებო, პატივცემულო საზოგადოებავ, ვიყოთ ერთიანი და სოლიდარულნი სიტყვის თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში და ჩვენ ამ ბრძოლაში აუცილებლად გაიმარჯვებთ!

ამ ბრძოლაში თავად უფალი ჩვენ გვერდითაა!

ჯაბა ხუბუა

ცვლილება პრეზიდენტის ბრძანებულებაში ივანიშვილის წინააღმდეგ

უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად სპეციალური დასკვნის მოზადება დროში შეზღუდული აღარ იქნება. შესაბამისი ცვლილება „უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში შევიდა.

აღნიშნულ ცვლილებამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვალდებული იყო, მთელი რიგი წესების დაცვით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის საკითხის გადაწყვეტიდან დასკვნა პრეზიდენტისთვის წარსადგენად ერთ კვირაში მოემზადებინა. ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით კი, სააგენტო ვალდებული აღარ იქნება, დასკვნა კონკრეტულად ერთ კვირაში წარადგინოს.

რაც შეეხება უწყების მიერ დასკვნის მოზადებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს, ისინი უცვლელი რჩება. კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობას ადგენს და გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისია. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირობების არსებობას კომისიის წევრები ადგენენ საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამასთან, კომისია უფლებამოსილია, ცალკეული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, იმსჯელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით უცხო

ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხზე, რა დროსაც იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესებით იხელმძღვანელებს.

რაც შეეხება კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს, ამ პუნქტით ხდება დადგენა, რომ საქართველოს მოქალაქე ამავე დროს არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. გამონაკლისი შემთხვევით კი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

სამინფორმაციო

ბატონო ბიძინა!

უმორჩილესად გთხოვთ გაანებოთ პოლიტიკას თავი, თორემ ხომ ხედავთ, აქამდე მშვიდად მყოფ ნაციონალებსა და მათ ნეტარდომილიან ბელად სააკაშვილს, თქვენი ქართულ პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, ისე აეშალათ კუჭი და დაეხრათ თავგზა, რომ აღარ იციან რითი დაიხსნან თავი კომპარტებისაგან.

შე დალოცვილო, ივანიშვილო, ნახევარ საქართველოს შენი შემწეობით უდგას სული, შიმშილისაგან რომ არ ამოწყდეს და ახლა რა გემართება, ინფარქტს ხომ არ აჭიდებ ამ „საწყალ“ ხალხს, რომელთაც ძლივს მოუყარეს თავი მილიონებს და ახლა მშვიდად ცხოვრება სურთ?

თბილისში ქართველების, აფხაზების, ოსებისა და რუსების შეხვედრა გაიპარა

როგორც „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ დამფუძნებელმა ნესტან კირთაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „საქართველოში პირველი სამშვიდობო ინსტიტუცია გაჩნდა, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის დაწყებისა და სამშვიდობო ურთიერთობებისთვის საფუძვლებს მოამზადებს“.

„ჩვენი სამშვიდობო ურთიერთობები გარდაუვალი რეალობაა. 2008 წლის ავგოსტოს ომის შემდგომ ეს პირველი სამშვიდობო ინიციატივაა, რომელიც ოსებთან და აფხაზებთან ნდობის და ორმხრივი ურთიერთობების აღსადგენად პირდაპირ დიალოგს იწყებს. „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“, როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია და მოძრაობა, წინასწარ შემუშავებულ კონცეფციას და პროექტს ეყრდნობა, რომლის მიზანია ურთიერთობების დაახლოება თავისუფალი გადაადგილების უფლებისა და სტრანს-

პორტო კომუნიკაციების აღდგენისთვის, საფაქრო ურთიერთობების განვითარებისთვის, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე ერთობლივად ზრუნვისთვის“- განაცხადა კირთაძემ.

„ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ დამფუძნებელი მთავარ პარტნიორად ვეროკავშირის განხილავს და აცხადებს, რომ ორგანიზაციის ელჩთან საქართველოში პირველი შეხვედრა უკვე შედგა და, ამასთან, შესაბამისი დოკუმენტები საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს დაეუზავნათ.

კირთაძე მიიხვევს, რომ „რუსეთის ფედერაციის როლი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ორმხრივი დიალოგის დაწყების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია“.

საქინფორმი

უსწოვანი პირადად ჯაბა იოსელიანის საფლავზე უსწაური ფოტოები ეჭვო

დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პათონ-ში უცნობმა პირებმა ჯაბა იოსელიანის საფლავზე უცნაური ფოტოები დააწვეს. წუხანდელი ფაქტი „ინტერპრესნიუსს“ პანთეონის დირექტორმა, ბადრი ქუთათელაძემ დაუდასტურა.

მისი განცხადებით, აღნიშნულის შესახებ უკვე შეატყობინა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს და ამ წუთებში მათ მოსვლას ელოდება. მანამდე დირექტორი საფლავის ტერიტორიაზე ჟურნალისტებს არ უშვებს.

მისი განმარტებით, „ჯაბა იოსელიანის საფლავთან მიწა მოჩინილი იყო და ზემოდან უცნაური ფოტოები ეჭვო“.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონთან იმყოფებოდა ჯაბა იოსელიანის ახლობლებიც. ერთ-ერთი მათგანი შეეცადა ჟურნალისტებისთვის მუშაობაში ხელის შეშლას და დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ჩაკეტა, რაც დირექტორმა გააპროტესტა. მათ შორის სიტყვიერი შელაპარაკებაც მოხდა.

ჯაბა იოსელიანის საფლავზე გადაღებული ფოტოები სოციალური ქსელებით გავრცელდა.

“ვალდოსტოვი ადმსარიელი ამბროსი”

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უშიშროებისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ხელმოწერით...

1995 წლის 18-19 სექტემბერს სევერსკის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება...

რამდენიმე ჩანაწერი კიდევ წაიკითხა. რვეული, რომ დახურა აკვირებული ახრის ტყვედ იქცა „საქართველოში უნდა დადგინდეს“.

ინოს საფრანგეთიდან წასვლაზე სამი დღე არ დალაპარაკებია.

არც ნინოს გამოუჩენია ინიციატივა ამ საკითხზე. ვერც ის გაიგო ქმარს ესაუბრა თუ არა ამის თაობაზე.

მთელი კვირა იმაზე ფიქრობდა, თუ დროულად ვერ წავიდოდნენ საფრანგეთიდან, შესაძლებელია სამუდამოდ აქ დარჩენილიყვნენ.

ერთ საღამოს როცა ვიქტორი სავადმყოფოში გამოიძახეს ანამ უთხრა დას:

- მე უნდა წავიდე, არ გეწყინოს!
- ძვირფასო ანუკი, ისე ლაპარაკობ, ბაბა, თითქოს, აქვე მერევე ქალაქში გველოდებოდეს.
- ვიცი სადაც არის.
- ვიქტორი უარზეა. ახლა რუსეთში რბი მგინავარებსო.

ანა ზეზე წამოიჭრა და კატეგორიულად განაცხადა.

- რადგან დედის არაფერი მახსოვს, ბაბა ჩემთვის ყველაფერია. მისგან შორს რომ ვარ ძალიან, ძალიან მიჭირს. სტიროდა რუსეთში ყოფნისას ვგრძობდი, თუ როგორ ესაჩირობოდა თანადგომა.

ინომ რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ მიუგო.

- თამრიკოს გარეშე ერთი დღე ვერ ვიქნები.

- აბა ვინ ვითხრა მის გარეშე იყავიო. წამოიყვანე, ბაბას გავაცნოთ, რამდენ ხანსაც ვინდა იმდენ ხანს იყავი იქ, მერე წამოდი, შვილის მონატრება ვიქტორზეც კარგად იმოქმედებს.

ისე დაბადებულად აუხსნა ანამ, რომ ნინოს ორჯოვობა გატეხა.

ათი დღე ემზადებოდნენ წამოსასვლელად. დედაზე არანაკლებ აღფრთოვანებული იყო თამრიკო, რომ უცნობ ბაბუსას შეხედებოდა, მისთვის უცხო საქართველოში.

ფინეთიდან კემით პეტერბურგში ჩაადგინდნენ.

აი, რთული ხანგრძლივი გზა, რომლის დაძლევაში სამშობლოში დაბრუნება იყო შესაძლებელი.

თავად ყველაფერს გადაიტანდნენ, ერთ-მანეთის გვერდით, მთავარი იყო ხუთი წლის თამრიკოს ჯანმრთელობას გაფრთხილებოდნენ.

ხელბარგი მცირე წამოიღეს. მხოლოდ ტანსაცმელი და ტკბილეული პატარასათვის. თან მოჰქონდათ იმედი ხვალის, სჯეროდათ, მარიამ ღვთისმშობლის შემწეობის.

ინგლისში ჩასვლაზე იქ გაიგეს, რაც ყველას პირზე ეკრა. „სასტიკო ომებია რუსეთში. საბჭუთო ჯარების წითელი“ ნაწილები ჯერჯერობით ახერხებენო შეტევების მოგერიებას.“

საქართველოზე აქ არავინ არაფერი იცოდა.

სამი დღე-ღამე მონადირე ფინეთში ჩასვლას. იქ ორი დღე კერძო სასტუმროში დარჩნენ, დაელოდნენ გემს, რომელიც პეტერბურგში ჩაიყვანდა.

ანა და ნინო საზოგადოებაში ფრანგულად მეტყველებდნენ, მაგრამ როცა გემის კაპიტანს მიუახლოვდნენ, რუსულად ალაპარაკდნენ. ისინი ხომ თავისუფლად ფლობდნენ რუსულს.

მათი გამგზავრება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ თამრიკოს ექმნებოდა საშიშროება.

იგი საფრანგეთის მოქალაქედ ითვლებოდა.

ხერხი უნდა ეხმარათ. მესახლდრეგებმა ბილეთების შემოწმება დაიწყო. ბავშვი გრძელფოჩიან ქვედა წელით უნდა დაეფარათ და გაეპარებინათ ხალხის ნაკადში.

მედიდური და მკაცრი იერი ჰქონდა მესახლდრეგებს, აფთარივით აბრიალებდნენ თვალებს.

დებს გული საგულეს არ ედგათ. გაუმართლდათ. თამრიკო ისე აიყვანეს „უცხო“ თვალს არ შეუნიშნავს. კაიუტაში რომ შევიდნენ დაბავლობისაგან ნინოს ცრემლები მოერია. კარგა ხანი დასჭირდა დამშვიდებისთვის.

თუმცა საფრთხე ისევ ელოდათ. მალე კაიუტებისა ბარგის შემოწმებას დაიწყებდნენ.

- თამრიკო, გენაცვალოს დედა, ყურადღებით მომიხმინე - ბავშვს თვალები გაუფართოდა - ლეიბებში უნდა დამალვო.

იცოდნენ კარგა ხანი ხმა არ უნდა გაიღოდა არც გაინძრე. ცუდი ბიძები აქაურობას განხრეკენ, შენ ვერ გაიპოვნიან და რომ წავლენ, მერე ყველაფერი კარგად იქნება...
შინისაგან არ უტირია პატარას.

მოხარდი, ლეიბებს შორის ჩააწინეს და მესახლდრეგების შემოწმებას გულის ფანცქალით დაელოდნენ.

კაიუტის კარი ღია იყო. სამი მესახლდრე შემოვიდა. მათ შორის უღვაშა უნდა ყოფილიყო უფროსი. ის აქტიურობდა.

სწორედ უღვაშამ გასინჯა ნინოსა და ანას საბუთები. გამოუსაღებრა. რუსულად კარგად მოლაპარაკე ქალაქში ეჭვი არ შეპარვია. ჩემოდნებში ჩაიხედეს.

ლეიბი არ გაუსინჯავთ, ისე წავიდნენ. მორედ დაბადებას უდრიდა, ხიფათისგან თავის დაღწევა. პირჯვარი გადაისახეს. უფალს მადლობა მოახსენეს მფარველობისთვის

* * *

პეტერბურგიდან ამბროსიმ დეკემბრში მიიღო „ნინო, ანა და თამრიკო თბილისში ჩამოვლივართ“.

მიტროპოლიტი ამ ცნობამ გაახარა. დიდი ხნის უნახავ შეილებთან შეხვედრა ენატრებოდა.

ილოცა შეილებზე და შეილიშვილზე. უფალს კიდევ ერთხელ შეთხოვა მათი ჯანმრთელობა და მფარველობა.

საქართველოში მდგომარეობა მძიმე იყო. დამოუკიდებელი ხელისუფლება ცდილობდა დასაქმებულს მოგვარებას. თბილისში დაარსდა უნივერსიტეტი. აღსრულდა ქართველ მეცნიერთა დიდი ხნის ოცნება, ცარიზმის დამხობისთანავე შეიქმნა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი ავტონომიური უფლებით. სამეცნიერო საბჭოში შევიდნენ: ა. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე, ა. შანიძე და სხვები. მაგრამ საგარეო და საშინაო საკითხები კვლავ რთული რჩებოდა.

დიდი ბრიტანეთისა და ოსმალეთის სულთანის 1918 წლის მუდროსის საზავო შეთანხმებით ნოემბრიდან თურქეთმა დაიწყო ბათუმისა და სამხრეთ რაიონებიდან სამხედრო ნაწილების გაყვანა და ეს ტერიტორია ქართულმა არმიამ დაიკავა. სამხრეთის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მკაცრი. მხადველია ნიდაგი, რომ ბათუმში შესულიყო ინგლისის ჯარი.

ამ მოვლენებს წინ უძღოდა სახალხო გვარდიისა და არმიის მიერ სომხეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების განთავისუფლებისთვის მზადება.

მალე ქართულმა არმიამ დაამარცხა სომხეთის შენაერთები სადახლოსთან და შულავეთთან.

ეკლესია ღოცულობდა ეროვნული ხელისუფლების მხარდასაჭერად.

1918 წლის აგვისტოს ბოლოს საკათალიკოსო საბჭომ დეკემბრამდე გაუგზავნა აფხეთის გენერალ-გუბერნატორ გიორგი მახნიაშვილსა და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ვარლამ შერვაშიძეს წინაპირი დასაბრუნების მიზნით მიტროპოლიტ ამბროსისათვის.

საშიში იყო სოხუმში ჩასვლა. არ მოერიდა საფრთხეს ამბროსი.

31 აგვისტოს თანხლებ პირებთან ერთად (ნახარი (ლეკავა) ფოთის ტაძრის კრებულისა და ქუთაისის მაგლობელთა გუნდთან ერთად) სოხუმში ჩავიდა.

საოცარი განცდა დაეუფლა მის უწინდესობას. იგი ხარბად სუნთქვდა მარილიან ზღვისა და მსუბუქი მთის ნახავ ჰაერს.

ბედნიერი იყო იმით, რომ უკვე შეეძლო მშობლიურ ენაზე ადევლინა წირვა-ლოცვა.

საღამოს, ამბროსიმ დადგულ ქართველ მეზობელთა სახაფლავზე პანაშვიდი აღასრულა. ხალხი დალოცა და ეტლით გაემართა ნინუას ბინაზე, სადაც ნადიმი გაიმართა.

ნადიმს დაესწრნენ აფხაზეთის ეროვნული საბჭოს ხუთი წევრი, მათ შორის ვარლამ შერვაშიძე. მან მოახსენა მეუფეს, რომ ახლა დადგა დრო აფხაზეთა და ქართველთა მშობის გაგრძელებისა. მაგრამ საჭიროა „თქვენი შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელობასთან, რომ განთავისუფლდნენ უდანაშაულოდ დაპატიმრებულები და შეწყვეტონ სოფლად მოსახლეობის აწიოება.“

საჭიროა უსამართლო დახვრეტები. რომელსაც ქართველთა მხარეს მეზობელი კახაუბი მიმართავენ კოდორის უბანში. საკათალიკოსო საბჭოს ამ მხრივ დახმარება შეუძლია, რაც დიდი სამსახური იქნებოდა.“

ნადიმზე აფხაზეთა ეროვნული საბჭოს წევრმა ჯოტო შერვაშიძემ მეუფე ამბროსისათვის მანეთი გადასცა „პრემიად იმისთვის, ვინც დასწრს საუკეთესო თხზულებებს ქართველთა და აფხაზეთა ურთიერთობაზე უძველესი დროიდან“.

უკვალოდ არ ჩაუვლია მიტროპოლიტის რჩევებს. მისი მეცადინეობის წყალობით 3 სექტემბერს განათავისუფლეს 6 უდანაშაულო პატიმარი. ამასთან ორამხრეთში მდგარ სამხედრო ჯგუფის უფროსს, პოლკოვნიკ კარგარეთელს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება, რომ არ დაეშვათ მოსახლეობის სახლ-კარის გადაწვა, ჯარის ნაწილები გამოეყვანა სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმო იყო მშვიდობიან მცხოვრებთათვის.

არაერთ დინსიძეებზე მოუწია მისვლა მიტროპოლიტს. 4 სექტემბერს ადგილობრივი თაბატრა დაესწრო გიორგი შერვაშიძის სსოფრისადმი მიძღვნილ საღამოს.

თეატრი ხალხს ვერ იტყვია. სიტყვით გამოსვლები იხსენებდნენ გიორგის, მის მამას. თუ როგორ ურთიერთობდნენ ქართველებთან ისინი. რომ გიორგი იძულებული შეიქნა ქუთაისისთვის შეფარდებინათ თავი, რადგან არ მიიღო რუსეთის ხელმწიფის წყალობა.

ქუთაისის გუნდი ასრულებდა საეკლესიო საგალობლებს.

სიტყვა ბრძანა მიტროპოლიტმა. მან აღნიშნა:


„ურდევია ეს ძმური კავშირი. ჩვენ ვერარამ უნდა დაგვაშოროს“.

მეუფე კიდევ რამდენიმე დღეს დარჩა სოხუმში. საკუთარ სახლში გაათია ღამე, სადაც მისი ვაჟიშვილი - ნიკორი აღუქსანდრე ცხოვრობდა მეუღლითურთ.

სამოქმედო მოინახულა ნაცნობი და ნანატრი ადგილები. ეწვია ეკლესია-ტაძრებს. დაათვალიერა ქალაქის სატუსალო და საავადმყოფო.

ხალხი მონატრებით ხვდებოდა, უწოქებდნენ მღვდელმთავარს. სასოება ეფინათ სახეზე.

ყველაზე განმარტებას აძლევდა მრევლს. სთხოვდა მათ ხელი შეეწყობთ დამოუკიდებელი ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის, რომ ძალია მოეკრიფა. რომ ღმერთი არასდროს დაივიწყებდა ივერთ მხარეს და



მართლმადიდებელ მოსახლეობას არ მოაქლებდა მადლს.

გაზეთი „საქართველო“ წერს: „სოხუმში გაისმა ტკბილი ქართული გალობა. სულგანაბული ისმინს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადად ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული“.

ადგილობრივ მცხოვრებლებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მიტროპოლიტის სტუმრობამ.

უკან თბილისისკენ მობრუნებულმა მეუფემ ოჩამჩირეში ილორის ეკლესია მოინახულა. მამისა და მეუღლის სულის მოსახსენებლად გამართულ პარაკლისს დაესწრო.

დიდხანს თავდახრილი იდგა კესარიას საფლავთან.

კარგა ხნის უნახავ მერწყულებს აუწყა, რომ ნინო, ანა და თამრიკო თბილისში არიან. როგორც კი საშუალება იქნება თქვენს მოსახალსებლად გამოვაგზავრებო.

თბილისში ჩამოსულმა ამბროსიმ, ჯოტო შერვაშიძის მიერ ნაწილი ათასი მანეთი საკათალიკოსო საბჭოს გადასცა. კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ ღვთისმშობლის გამორჩენისთვის შერვაშიძეს მადლობის წერილი გაუგზავნა.

1918 წლის 28 ნოემბერს საკათალიკოსო საბჭომ საეკლესიო ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვალა საეკლესიო დიდი კრების მოწვევის გარეშე კათოლიკოს-პატრიარქად აერჩიათ თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპოტიძე).

ლეონიდე გამოცდილი მღვდელმთავარი გახლდათ. მან გამოიარა რთული გზა. 1884 წელს შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში და სწავლის პერიოდშივე აღიკვეთა ბერად. იგი ვეზარქოსმა პალატიმ დანიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების მისიონერად. 1896 წელს გახდა საქართველოს - იმერეთის კანტორის წევრი. 1897 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ მღვდელ-მონაზონი ლეონიდე აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში 26 წლის ასაკში.

მან მამის წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვები: „მე ჭბაუკი ხორციელს ასაკობის მხრით და ჯერ გამოუცდელს საეკლესიო მსახურებაში, აყვანილი ვიქნე უმაღლეს ხარისხსა მღვდელმთავრისა. ვაკვირდები რა ჩემის ცხოვრების წარსულსა და აწმყოს. კვლავ ზედმეტად ვრწმუნდები, რომ ჩემს თავზე ვხვდავ ღვთის მზრუნველსა მარჯვენასა“.

საკათალიკოსო საბჭოს ესწრებოდნენ თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნახარი, ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი, დეკანოზები ნ. თალაკვაძე, კ. კეკელიძე, კ. ცინცაძე, დ. გვაზავა, პ. ინგოროყვა და სხვები.

გამოიტანეს განჩინება: 1. დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება მოკლე დროში არჩეულ იქნას კათოლიკოს-პატრიარქი, ვინაიდან ამას მოითხოვს, როგორც საეკლესიო ინტერესები, ისე საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და მისი საერთაშორისო მდგომარეობა.

2. უარყოფილ იქნას ახრის კათოლიკოსის ასარჩევად საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევისა.

3. ვინაიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნას არჩეულ, საკათალიკოსო საბჭოს კანონიერად მიანჩნა მიტროპოლიტ ლეონიდეს არჩევა კათოლიკოსად.

ბორის ღაშითაია, სენაკი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საბაზვილის “მაგარი კალმონები”

დღეს, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, ყველაფერი სახელაქარგულია და გაუფასურებული; ყველანაირი ხელობაც და პროფესიაც, გამონაკლისი არც ჟურნალისტიკაა, რომელიც მცირედი პროფესიონალობისა და მისაღებ-მოსაწონისაგანაც კი უზარმაზარი შუალედით არის გამოქვნილი. მართალია, სადღეისოდ, უამრავი ამ პროფესიის ადამიანია საქართველოში, უფრო სწორედ, ჟურნალისტიკისა რომ იბრალდებენ, თორემ ჭეშმარიტად მიუკერძოებელი ჟურნალისტები, ორთავ ხელის თითების ოდენოსანნი შეიძლება მოვიძიოთ.

ცოდნა-გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის დაუძინებელმა მტერმა, ქართველთა მთელი მიხეილ სააკაშვილმა, ერთ-ერთი უპირველესი დარტყმა სწორედ ქართულ ჟურნალისტიკას მიაცენა და იგი გაუნათლებელი, უმეტესი გოგო-ბიჭების საჯიჯგანი გახდა. საამისოდ, საქართველოსა და ქართველების გასაქრობ-გადასაშენებლად მოვლენილმა, კოსმოპოლიტებმა შობილებს, მაღალ ანაზღაურებასა და ბრწყინვალე საჩუქრების გადაგებას შეჰპირდა. ამ სატყუარას დახარბებულმა ახალშენილებმა მანქურთებმა, მონური მორჩილება და ერთგული სამსახური აღუთქვეს “მესიად” მოვლენილ დიდ მანქურთს და თავგანწირულები გადაეშენენ სამშობლოსა და თანამემამულეების დასაღუპავად განადგურებულ მოღალატურ-სისხლიან კამპანიაში. დაავლეს ხელი კალმებსა და მიკროფონებს “ნაციონალურად” დაგეგმილმა “კალმონებმა” და გაუგონარი სიცრუისა და სიბინძურის გრივალი დაატრიალეს “სახელისუფლებო” გაზეთებიდან და რადიო-ტელევიზიებიდან.

“ხმალი იმოდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერი, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერი,” – გაგვაფრთხილა დიდმა **ილიამ**.

“ყველა საწარმო იარაღთა შორის კალამი ყველაზე უფრო მსუბუქი იარაღია, მაგრამ იგი ფრიად და ფრიად მიიმედ მოსახმარია,” – ნაგავგონა დიდმა **კონსტანტინემ**.

დარწმუნებული ვართ, ყველანაირად უმწიფარ “კალმონებს”, ერის მოჭირნახულე მამულიშვილებისგან ნათქვამი და ვასათვალისწინებელი, არც არსად არავფრთხილ ამოუკითხავთ და არც სადმე ყური მოუკრავთ. ან კი, რაში სჭირდებათ და არგიათ ყველაფერ ეროვნულობისაგან და ცლილ-დაცარიელებულებს? კმარულ-კომკავშირელებისთვის, მიხეილ სააკაშვილის, მისი ანტიქართული დამღუპველი მოძღვრებისა და გეგმა-ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო თავდადებული დღეა მათთვის უმთავრესი. ზუსტად მათს ურთიერთობაზეა ნათქვამი ბრძენთაგან – მესაგისი, მსგავსი შეჭარბის, მიხეილისაგან გადმოგდებული ძელის გამოხერხისა და ნასუფრალით დანაყრების სანაცვლოდ, ეს ვაი-ჟურნალისტები სრულ მზადყოფნაში არიან ქვეყნისა და ერის გასაყიდად.

მამუშა ღლონტი, ტელეკომპანია “მეტროს” ერთ-ერთი დამფუძნებელი: **“ხმალია მამობი, მთელი ქართული მდიდა მიხეილ სააკაშვილის მართებები ვართ. ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც მას სურს”** (“ვერსია”, 2011 წელი).

საიდანდაც მოვლენილი მიხეილი კი საქართველოს დაქვევისა და ქართველთა განადგურება-გაქრობის უდიდეს სურვილსა და ოცნებას, ჟურნალისტის სახელდარქმეული ასეთი დვარძლიანი, გესლით, სამსაღითა და შხამით გულამოვსებული ავის მოქმედი და მქნელი გაბორბებული, სულგაყიდული არსებების მეშვეობით ისრულებს და იქმს.

შეხედეთ ამ პრიმიტივი უცნობისა და გაუნათლებელ-უწიგნური პროვინცილების გამძვინვარებულსა და გააგებულ-აჭარხლებულ სახეებს. ყური მიუგდეთ მათს დვარძლიან, ბოლმანსა და შხამით გაჯერებულ, ბოლოში მახვილდასმულსა და ვითომცდა **“ფრანცუზული-გლისურ”**-გაგრძელებული დანჯღრეული ქართულით დაპარაკის.

თავხედობის, უზრდელობისა და უტიფრობის ყოველგვარ ზღვარს გადასულები, ყველაფრის გაკეთებისა და თქმის უფლებამცემულები, გამალებულები “აცხობენ” მართალი ადამიანის დამამცირებელ-შეურაცხყოფელ, აზუნად ასაგდებას და ღირსების შემლახველ **“ნაწარმ-პროდუქციას”**. საძრახის საქმესთან ერთად, გამალებულები ასამარებენ და რყვიან ქართველთა უძველეს, უმშვენიერესსა და ტიპილხმოვან ქართულ ენას. ღრმად მდ-აბიონი და სამარცხვინოდ წამხედურნი, ერთმანეთს ეჯი-ბრებიან მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მოსაწონი უცხოური-კრეატივით, ადექვატურითა და მონიტორინგით, ფორმით, ბრენდითა და შოპინგით, ნოვაციით, პრევენციითა და სერვისით, ტრენინგითა და სხვა ბევრი ხარაზურით, თავიანთი ნაჯღაბისა და ნაღუდუდუდის ამოვსებაში. თუმცა, მარტო უცხოურით არა. ხშირ ხმარებასა და დიდ გასაჯალშია **“მოდერნიზებული-ნაციონალური”** სტანდარტის: მზაობა, ფსევდო, ცივილური, ხედვები, დაგე-მონება... და ეს ყველაფერი, **“მოდერნი-კალმონებისათვის”** გასაგებად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა მაგარი ქაჯობა და გომობა!

დიდებულმა ერისკაცმა გრიგოლ ორბელიანმა, ჯერ კიდევ როდის ამოთქვა შემფოთებულმა: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!..

პოეტმა, ეს წუხილი, მამულისა და ერის დამცველი, თავდადებული ადამიანების გასაფრთხილებლად ამოთქვა და არა სააკაშვილის მეხოტბე-მოლაქვე თაკოს, მიკას, ვახო-ვატოს, თიკას, პაკოს, ტაკოსა თუ მათნაირი **“კალმონების”** შესაგონებლად. თუმცა, ამგვარი **“დრო-**

მოჭმულ-ჩამყაყბული” გამონათქვამების გათვალისწინება მათ ნამდვილად არ სჭირდებათ. მათთვის უმთავრესი და უპირველესი, ინგლისურად რამენაირად ანიჭიფება აუცილებელი, თორემ მიხეილი, ახლოსაც არ გაიკარებს მათ და არასდროს თან არ იახლებს, უცხოეთში მალი-მალ მოწყობილი გრიად-ქრიადის დროს. ამიტომაც არ იზო-გავენ თავს და რესტორნებში გამართულ დრეობებში მი-წვეულები, ძვირფასი საჩუქრებით დახუნძლულები, უცხო-ეთში **“გაგულაგებულები”**, სრულ მზადყოფნაში არიან, შეკვეთილი სტატიებიდან და გადაცემებიდან ულვევი სიცრუისა და სიყალბის, ჭუჭყისა და სიბინძურის გაუ-თავებლად გამოსაფრქვევად. ამათთვის, განსხვავებული აზრის მოსმენა თუ გათვალისწინება-გაზიარება, სიმართლისა და ჭეშმარიტების აღიარება იმდენად მი-უღებელია და საძულველი, როგორც ეთნიკურად და ზნეობრივად არაქართველი მიხეილ სააკაშვილისთვის, ყველაფერი ქართული!

ვიტყვით, რომ ჟურნალ-გაზეთების სიძვირის გამო, გადატაკებული მოსახლეობა მათ ვერ ყიდულობს და ძირითადად, რადიო-ტელევიზიით, **“ნაციონალი კალმონების ნაწარმით”** უხდება სააკაშვილის რეჟიმის **“მონაპოვარისა და მიღწევის”** გაცნობა და შეფასება. დასანანია და გულსატკეპნი, რომ შედეგი სავალალოა და მკვეთრად უარყოფითი. და უკლებლივ ყველაგან, უვიციობისა და უცოდინარობის, სიყალბისა და სიცრუის, უხეშობისა და ძალადობის, უხამსობისა და უგემოვნობის, მდიქნელობისა და მამაშეშობის, ლაქუცის დოღია გამართული. ყველაგან მიხეილ სააკაშვილის, მისი ბანდის წევრების ნება-სურვილია გაცხადებული და გაბატონებული.

2008 წლის აგვისტოში, მიხეილ სააკაშვილისგან წამოწვებული და ორ დღეში კაპიტულაციის გამოცხ-ადებით დახრულებული ომის დროს, **“ნაციონალ-კალმონებს”** ერთგვარად ნირი წაუხდათ პალსტუხის ლოღუნისა და გორში, მიწაზე გაგორებული **“მესიის”** შემხედვარე. თუმცა, ორიდღე დღეში, პარლამენტის წინ, დამარცხებულ **“მთავარსარდლის გამარჯვების”** გამო გამართული მდობური სიმღერა-ბუქნაობის ნახვით გამოფხ-იზლებულებმა, დანაშაულებრივად გაანადგურეს ადამიანების უზარმაზარი მსხვერპლის მოტანი, უამრავი სოფლის ნაცარ-ტუტად გადაქცევი, ათეულ ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი და დევნილებად გამხდარი მოსახლეობის, ახ-ალი ტერიტორიების მტრისათვის ჩამბარებული მიხეილის დასაცავ-გამამართლებელი ინფორმაციული გნისი.

ასეთი დანაშაულებრივი ქმედებით უხანგრძლივებენ ბოგინს ქართველთა მთელი სააკაშვილს, ჟურნალისტებად თავდაგულებული უმწიფარი და უვიცი გოგო-ბიჭები. მოძალადე ხელისუფლებას დაპირისპირებული მართალი და უიმედობაში ჩაცვნილი ადამიანების კიდევ უფრო დასაშინებელ-დასამონებლად, მოუდღელად თითხნიან და აკოწიწებენ ბინძურსა და შეკვეთილ სუბილიკაციებს, ტელევიზიულად თუ გადაცემებს.

მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ფრანგი პროზაიკოსი **ბალზაკი** წერდა: **“დადგება დრო, როცა გაზეთები დალატის, გაიძვრობის და სიცრუის არენად იქცევა”**.

რას წარმოიდგენდა შესანიშნავ ქნილებათა შემქმნელი, რომ მეოცე საუკუნის სასწაულმოქმედი გამოგონებები – გაზეთი, რადიო და ტელევიზია, სიცრუისა და სიძულვილის ფრქვევაში უთვალავჯერ გადაუსწვრებდნენ გაზეთებს და იქიდან გადმოღვრილი ჭუჭყითა და სიბინძურით წალეკავდ-ნენ, შემადრწუნებლად გადაავარდნენ კაცობრიობას.

იგივეს სწადიან, სოლიდურ თანხას დახარბებული უცხოელი ჟურნალისტებიც და გააღენიანი ტელეარხე-ბიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან, უსიციხვილოდ აქებენ და ხოტბას უძღვნიან ოცდამეერთე საუკუნის **“სასწაულ-რეფორმატორსა და მოულოდნელ აღმოჩენას”**. სამაგალო-თოდ, თუნდაც ჯონ მაკკეინის ყოფილი მრწავლის რენდი შეინმანის ფირმა **“ორიონ სტრატეჯი”** იკმარებს. ითქვა, რომ ამ ფირმის მეშვეობით სააკაშვილი, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე, შეკვეთილ სტატიებს აწერინებს ცნო-ბილი გამოცემების **“ვაშინგტონ პოსტისა”** და **“ვაშინგტონ**

თაიმის” ჟურნალისტებს... აი, ასეთნაირად და კიდევ სხვა ბნელი ხერხებით თუ ხრიკებით ინარჩუნებს თვით-მარტვია მიხეილ სააკაშვილი, მიტაცებულ თუ შევარდ-ნადისაგან საჩუქრად ნაბოძებ ხელისუფლებას!

ბიორბი შარშნიშვილი, სახალხო კრების წევრი: **“საკაშვილის რეჟიმის ჯვალათების კატეგორიას წარ-მოადგენენ ზონდერჟურნალისტები. რასაც ისინი მათის აქციების პერიოდში აკეთებდნენ, პირდაპირ მოკრებული ვიყავი. ასეთ ზონდერჟურნალისტებზე დგას დღეს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი”** (“ასაგალ-დასაგალი”, 2011 წელი, №30).

ზღმწივენი თუ შეფასება და სხვას რაიმეს ვერაფერს დაგამტებთ. გაუსაძლის წუნში მოქცეულ მოსახლეობაზე მისიველი კალმისტარ-მიკროფონიანი გაბორბებული და გამძვინვარებული გოგო-ბიჭები, ტოლს არ უღებენ და აღარაფრით განსხვავდებიან ავტომატებიანი და სხვა მო-მაკვდინებელ-იარაღიანი კაცობა ზონდერებისაგან. სამ-აგიეროდ, როგორცა ვთქვით, თანამდებობრივად წინ მიიწ-ვევენ და გვარიან ჯიღდო-პრემიებს იმსახურებენ.

2009 წლის აპრილში დაწვებული საპროტესტო აქციების დროს, **“განაწყენებულმა ჟურნალისტებმა”**, მათი **“უფლ-ების შელახვისა და უპატივცემულობის”** მიზეზით, უკ-მაყოფილდა ამოთქვეს და პროტესტი გამოუცხადეს ოპოზიციურ ძალებსა და ხალხს. სააკაშვილის რეჟიმისაგან დაქირავებულებმა, უარი თქვეს აქციების, გამორჩეულად კი სირცხვილის დერეფნებთან დაკავშირებული ამბების გაშუქებაზე. განრისხებულმა **“კალმონებმა”** მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის **“არნახულად შეურაცხ-ყოფილ-უფლებათაფრილი”** ნიკა ავალიანის თავს გადაამხ-დარის გამო ატეხეს გამაყრუებელი ხმაური; დამნაშავეს თანადგომა და კბილებით დაცვა შეჰფიცეს. ის კი გულდაგულ მიანუმათეს, რომ სწორედ მან წამოიწყო პროვოკაცია ტელევიზიის წინ შეკრებილი აქციის მონაწ-ილეების მიმართ. შენობიდან გამოვარდნილმა, გინებით აიკლო იქ მყოფნი, გააგებულნი ეცა საკანს და მისი გა-დაიყრავება მოისურვა. წინასწარ შემზადებულ-დარიგე-ბული პროვოკატორს, არაგინ აპატია **“ლომგულობა”** და გვარიანდაც მიიტყია.

ბუნებრივია, მომხდარს სათანადო გაგრძელება მოჰყვა – **“სამართალდამცევი”**, დილაუთენია, სახლებში მიუ-ვიდნენ **“დამნაშავე”** ახალგაზრდებს და საცვლების ამარა, შიშველ-ტიტვლები, ცემა-ტყეპით, ანგარიშსწორე-ბისათვის განკუთვნილ ბუნაგში წაასხეს. აი, იქ კი, ისე უმოწყალოდ სცემეს, რომ გონებადაკარგულები, სასწაულად გადარჩნენ. მათგან ყველაზე უმცროსს – თხუთმეტი წლის ბიჭს, კუნთბაგარი ჯალათები, თურმე გაუპატიურებით ემუქრებოდნენ(!).

მერე, ტელევიზიით გამოსულმა ნიკა ავალიანმა კი უტიფრად განაცხადა ჩაშლილი პროვოკაციის მიზეზზე – საკანზე ნავთის გადასხმითა და ცეცხლის წაიკვებით, აქციის მონაწილეებთან გახუმრება მსურდაო(!).

შეიძლება, სადისტურ მიდრეკილებათა მქონე ახალ-გაზრდამ მართლაც **“ცელქობად და გართობად”** ჩათვალა სავალალო შედეგების მომტანი დავალება და ამიტომაც დათანხმდა მის შესრულებას. მაგრამ, ვფიქრობთ, არანაკლებ სავალალოა და დამაფიქრებელი **“დაზარ-ალებულისგან”** ნათქვამის მოსმენით პირში წყალნაგებე-ბული თანამდგომი კოლეგების უგანო საქციელი. თუმცა, ისიც საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დუმილით, ზონ-დერჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ მიანიშნეს დამნაშავის მხარდაჭერასა და ვერ ჩადენილის მოწონებაზე.

მართალია, პროვოკატორმა **“კალმონსმა”** ბოლომდე ვერ შეუსრულა ჩანაფიქრი შეფებს, მაგრამ, შავ საქმეთა საკეთებლად მარად გამზადებულს, მაინც გადაუგდეს მსუეე ლუკმა – ბლამემომშვებული ნიკა ავალიანი, დღეს, რომელიდაც მინისტრის მოადგილე ბრძანდება!..

ბელა ჯიღაური
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





ყბადი სრუპანტელა ამბვერებულ ნასარში

არც ერთი მხეცი არ არის იმ ადამიანზე მატად მივინარე, რომელიც ძალაუფლებით აღჭურვილია და ბოროტი ვნებების დაკმაყოფილება სურს. ამ ადამიანისათვის ძალაუფლების ცივილიზებული მეთოდებით ჩამორთმევა იგივეა, როგორც მშობრივ მტაცხვეთის ჯოხის გარეშე სიციხის ნაჭრის წართმევა. ამგვარ ავადმყოფებს ბოლოს სიციხის ნაჭერი და საკუთარი ტყავიც ოხრად რჩებათ.

პიტლურის პირადი ექიმები ამტკიცებდნენ, რომ "მათი ფიგურა" ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული. ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი – პარკინსონი დაუსვა, გააქრეს; ისტერიას კი ვერაფერი მოუხერხეს. გებელს უტიფრობის, სიცრუის დემაგოგიური ლაქლაქის დაავადება ჰქონდა და ხალხის წინაშე გამოსვლით წამლადა კიდევ გერმანელთა ტყინს. ბოლო დროს ოთახში ჩაიკეტებოდა, საკამუ შედგებოდა და ცარიელ კედლებს სიტყვით მიმართავდა.

კალიგულაზე იცოდნენ, რომ შეშლილი იყო, მაგრამ კარგა ხანს ითმენდნენ და თავიანთ სცემდნენ სულმადამო შიშის, თუ შიში ადამიანური სიშმაგის გამო. ყველა სოფელს ჰყავს თავისი ტურტუცი, რომელიც ხალხის თავშეყრის ადგილზე ბევრს ეხეობს, უამრავ სისულელეს აფრქევს და მამყნელთა შორის დამცინავ ღიმილს იწვევს, რამეთუ მისი ტურტუცური აზრები მხოლოდ სმენას აშფოთებს ხეზე შემომჯდარი ჭოტის კვილივით. ახლა წარმოიდგინეთ ამგვარი ტურტუცი ქვეყნის სათავეში კაცობა და მის მიერ სისულელის ხალხში გაბნად ფანტევის ყვინობა.

უკვე შევეჩვიეთ მთავრობის სხდომების მწვერბარე სახლის სახურავზე, ტრიად მინდორში, ტბის პირას, თუ გამოქვაბულში ნატარების ტაქიკამასხარობას. აღარც ის ვეიკირს, ყოველდღიურად სპეციალურად შეკრებილი ხალხის წინ პრეზიდენტის გაუთავებელი მესლაბარობა. ეტყობა, ბოლო დროს წვევამ, სიცხემ თუ ვარყვარეს სიხმრებმა ისე ძალიან შეუღლინენ, რომ ჭოტში ახალი ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენების შესახებ ქვეყანა ბოლდების ნაცრის კორიანტელში გაახვია. გასაკვირი კი ის არის, რომ ნაციონალთა "შანიდან" ერთი კაციც არ გამოჩნდა, რომ მისთვის დასიცხულ შუბლზე ცივი ტილო დაედო, ან დამამშვიდებელიო ხალათი შემოეცვა, რადგან...

ყვარყვარე ნაცრის ამტკვრებს, ბუნარში ჩრის ბრახი კავს, ინდაურებს უხარიათ, აშენებს ლაზიკას!

ადამიანები თავად ქმნიან თავიანთ დემონებს, რომლის წინაშე თვითონვე ხდებიან უძლეურები. ამგვარად, ზნედიანი ყვარყვარის ბოღვაზე გერმანელთა როკვა უბედურებად ექცა მთელ მსოფლიოს და თვით გერმანელ ხალხს. ეს დემონი-პიტლური ფიგურა მონათლეს. ამასთან ერთად, შედარებით მცირე დემონებიც იშეკებოდნენ: მუსოლინი-დუშე, ანტონესკუ-კონ-დუკატორე, ფრანკო-კაუდილიო და აგერ, ამერიკამაც დაგვაჯილდოვა თავისი ლაქია მარონეტ მიშა-ყვარყვარით.

სიშმაგე, როგორც წინამორბედ დიდ დემონებს, არც ყვარყვარეს აკლია. თავის მეფუნთუშე მინისტრ ქალბატონთან ლიფტში გატყდილი, ტერორის მოღანდებით გონებაარეული სკამის ფეხით დაცვას და სასტუმროს თანამშრომლებს დაერია და თაბაირი დაუქვეა. მომდევნო გოგონას მკერდი ისე დაუგლიჯა, რომ მკურნალობა დასჭირდა; ზღვაში ჩაყვინთვისას დახრწობას გადარჩენილი ორგანოზე თუ შოუზე გაუგებლად და შედეგად ორი ქალბატონი საავადმყოფოში მოხვდა, მინისტრმა ფეხი მოიტეხა; ამის გადასწვლით ფორტოკორესორდენტები კი რუსეთის ჯაშუშებად მონათლეს. აბა, რა ეგონათ, ვიყვ და შლეგს ხალხი სოფლის საღაჯოზე არ ითმენს და პრეზიდენტად მისვან რა სიკეთეს უნდა ექოდღე, პოდა, ხომ დაგვიდგა და სპეკულაციონ ბოთლის, კვერცხების და "შლოპანცების" ძეგლები და უამრავი უმსგავსეობა მოაბნია მთელ საქართველოში. ახლა კიდევ აღმაშენებლის ძეგლი რომ ამშვენებდა ქართული რაინდული სულის სიამაყეს, იქვე ახლოს, სადაც ველოსიპედთან კამოს მანქანა დაჯახეს, ველოსიპედს დაუდგა ძეგლი. პოდა, ვინც ძეგლს უდგამს კამოს, მისი "ქაბაბიცი" ჭამოს.

პიტლურმა თავისი ცხოვრება დამთავრა როგორც დამნაშავე მსოფლიოს წინაშე. მიშა-ყვარყვარე კი ქართული ხალხის წინაშე დამნაშავე და, როგორც არ უნდა დავიკან მისმა ოკეანისგაღმტყმა ადვოკატებმა, ერის სამსჯავროს ვერსად დაემალა.

ამ ხელისუფლებად ვიდებულ ხროვას სიგიჟე არ აკლია. მაგრამ ვეროპოლზე გადარევა განსაკუთრებით სასაცილოა, რადგან კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანში მესოპოტამიიდან შემერებთან წილნაყარ შექმნის კულტურის ერს ვეროპოლზე არავითარი პრეტენზიები არ ექნება. არადა, შუამდინარეთის ხალხებს ვეროპოლთან ვერაფრით დასწამებ, როცა იქ ცივილიზაციის ფრთებს შლიდა, ევროპელები ჯერ ისევ ხეობზე ხტოდნენ.

რის შემდეგ გახდა აზიელი სამარცხინო?! ეს კი მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლება ნა-

ციონალთა კრიმინალურმა ბანდამ ხელთ იგდო და ქვეყანა მარცვა-რბევის, ძალადობის და მუხთილობის არენად აქციეს, რომელსაც ასე ენერგულად ანებიერებენ უცხოელი დემოკრატიის ნიღბიანი თვალიმტკეები. განა გამოაგნებელი არ არის, როცა სარკოზი მიშა-ყვარყვარეს საპატიო ლეგიონის ორდენით აჯილდოვებს, რომელმაც თავისი ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ომი და შემდეგ "გმირულად" დაფრთხა. კალაფი თავისი ხალხის წინააღმდეგ ძალას იყენებს და ლიბიას იმდენი ბომბი დააყარეს, ლამის უკანვე გააფრთხეს უდაბნოში. ამან 26 მაისს მომიტინგეები მსოფლიოში დღემდე უცნობი ველური სისასტიკით აწამეს, რომ მსგავსი რამ კაცობრიობას სამუდამო სირცხვილის ღაქად შემორჩება. დემოსტრანტები დაურბევიათ, ადამიანიც მოუკლავთ, მაგრამ ცუდით რომ მოკლავ და შემდეგ სახურავზე ათრევ და მკვლელობის კვლის დასაფარად განაცხადებენ: დენის დარტყმით მოკვდაო, ამგვარ საქციელს ხომ გაქნილი სადისტეც მოერიდება. ამათ კი ხელისუფლება ჰქვიათ. დემოკრატიის ბუდეში გამოსეკილი სარკოზი ჩამოდის და ამის ორგანიზატორს საპატიო ლეგიონერის ორდენით აჯილდოვებს, როცა უფრო ნაკლებად დამნაშავე კალაფი ძალადგობით მოკლეს და ქვეყანა ბუმბულიანი ბაღის მითით აფურცნეს. კალაფი და მოსუბღებლად მოქმედება არ აპატიეს, ყვარყვარე კი მათი მართონტია და ნატო-ს გაუმადარ სამხედრო მანქანას ქართული ახალგაზრდების სოციალისტ კვებებს. ალბათ, მოგა დრო, როცა საპატიო ლეგიონერის ორდენის ამგვარი შეურაცხყოფისათვის საფრანკეთი სარკოზის პასუხს აგებინებს.

არადა, ნაციონალები ისეთი პარიტაშეყრილები იყვნენ ნატო-ში, რომ ლამის მთელი ქართველი ახალგაზრდები გარეკონ ავღანეთში, როცა ამერიკელებს ერთი სული აქვთ იქილან რილის მოკურცხლავენ. ნატო-ში რომ მიძვრები, თუ ერთიანი საქართველოსთვის იბრძვი, აფხაზებს და ოსებს რატომ არ ეეთხები?! არადა, შენ – ამერიკელთა ლაქია, უკვე ნატო-ში კი არა, იმის იქით ხარ! თუ მაინც და მაინც, ნატო-ში ყოფნის ნოსტალგიამ ავიფორიაციუს მუხთილობა, აგერ, ყვარყვარეს ღუქანი ყვარელში, ქექე ნაცარი და იძახე: პოდა, უკვე ნატო-ში ვარო. ყვარყვარითა იძახის მკვება ქართველ ხალხს ისე ვერ შეაძლებდა ამერიკას, როგორც ნაციონალებმა მოახერხეს. ყოველი სასიკეთო მოსპეს, ან უბედურების და ძალადობის სამსახურში ჩააყვარეს, მოყვარე შეიძულეს და მტრებს დააკავებინეს მისი ადგილი, გამრავლებული და გამძლავრებული ქვეყანა დააკინნეს, დამცრეს და ავანტიურისტთა საჯიროთოდ აქციეს.

დღეს რუსეთის ლანძღვა უცხოეთის მარიონეტი, ხელისუფლებად წოდებული ბანდის უსინდისო და უტიფარი ადვირახსნილობაა.

"საქართველოს მოწინავე რევებისათვის ნათელი იყო, რომ მძლავრი მოკავშირის დახმარებით და მფარველობით ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა გამძლავრებულიყო, გარეშე მტერი მოეგერიებინა და შვედილიანია ცხოვრების მოპოვებაში მტკიცე ნაბიჯით ეგლო წარმატებისა და აღორძინების გზაზე" – ეს სიტყვები ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის; ამასვე აღიარებდა ერის ყველა მამულიშვილი.

საქართველოს გაერთიანება, აღორძინება, გაძლიერება-გამრავლებაში რუსეთის დამსახურება მთისხელაა. მას ისეთი რა უნდა დააბრალო, რომ ეს ძიური მხარში დგომა გადაფაროს. იქნება ეს ყველაფერი იციან კიდევ ამ საცოდავმა ნაციონალებმა, მაგრამ რა ქანა, როცა უცხოეთის ლაქიად ქვეყნულად უდღეში შეტყობილ ჩრდილდაკარგულებით ისე მისდევნენ დოლარს, როგორც ვირი მის წინ ჩამოკიდებულ მწვანე ბალახს. თავად ოკუპანტებმა ოკუპაციის ძეგლი გახსნეს. თუ არა ოკუპანტი, ქართლის დედის მაგინებელს ვინ გააკზავნიდა ევროპარდამენტში; სამაშულო ომში დაღუპულთა ობელისკებს დაანგრევდა; თავისი მბრძანებლის დავალებით ომს დაიწყო და საქართველოს სახელით და ქართველებს ღტორვილებად აქცევდა. ამ ავანტიურისათვის ჯილდოდ ოთხ მილიარდს ჩაიჯიბავდა; საქართველოს კიდევ უფრო დაქვემდებარების მიზნით დედამამაქალაქის ფუნქციებს სხვა ქალაქებში გადააწვდიდა; ქართულ ენას დააკინნებდა და ოკუპანტის ენის აუცილებლად სწავლას შემოიღებდა; ქვეყნის მთელ ეროვნულ სიმდიდრეს გაყიდა და გაუმაძღარ სტომაქში ჩაიდებდა; ვინც ერის სასოკოთოდ გაიბრძოლებდა, მოკლავდა, ჩაატუსხავდა, საქართველოს მოქალაქეობას ჩამოართმევდა, ხალხს ქვეყნიდან გააფრთხობდა, ვინც დარჩენილად, მის გადაგვარებას ეცდებოდა; მოხიბვდა მრეწველობას, გაანაჩნებდა სოფლის მეურნეობას; თავისი მფარველებიდან სახელმწიფოს სახელით ადებულ უზარმაზარ ვალებს ორგებში, ჭამა-ყლაპვაში, საკუთარი მუცლის ამოყორვაში გაიხმარებდა, რათა მომავალი თაობები უმძიმეს ტვირთის ქვეშ ვეღარ გამართულიყვნენ.

აფხაზებს და სამხრეთ ოსეთს რუსეთი არ სცნობდა და მოუკიდებლად; ნორმალური ურთიერთობის შემთხვევაში თვითონ მოგვე-

მარებოდა საქართველოს ტერიტორიული მილიანობის აღდგენაში. ისე როგორ უნდა გაამწარო, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიაროს. ახლა ქვეყანას ყრიან, სადაც წყნარ ოკეანეში გადაკარგულმა კუნძულოვანმა სახელმწიფო ვანუატუმ ამათი დამოუკიდებლობა რად აღიარაო. ერთმა კაცმა ცოლთან საყვარელს წაასწრო და დაეჯიდა. ცოლმა იფიქრა, ეს გარბის, ქმარი აქ დარჩებაო და შეუძახა: უხრინეკე მისაო! შე ბოზო, უხრინეკე საქმე სახრინეკავად რად გაიხიადყო, უსაყვედურა ქმარმა. რატომ ვერ ხვდები, რომ ვანუატუმ კი არა, აფხაზეთის დამოუკიდებლობა შენმა თაქტიანიობამ აღიარა და, თუ ამ საქმის დამოსწორება ვინდა, წადი, ჩაიკეტე ყვარყვარეს ღუქანში და ნაცრის ქექვით ქვეყანას თვალებს ნუ უბრძავებ.

ძალიან დიხინდებიან, თუ ვინმემ თქვა, ომი ამათ დაიწყო. ომის დაწყება მუხთილობის ბაღნიდან კიტრის მოპარვა ხომ არ არის, რომ ქურდობა სხვისთვის დაგებრალბინა. დაიწვე, მერე შეშინებულმა უკან მოკურცხლე, იმდენი ვაჟაკობა აღარ დაგჩანა, რომ სიმათრე აღიარო? ვერე ქვეყნელები იქვევინა, პასუხისხვედრის შიშით დანაშაულს სხვას რომ აბრალებენ, თუ იცოდი რომ დანაშაული იყო, რატომ დაიწვე ომი? ცხინვალში რუსი სამშვიდობოები ბაღის თეთრი იცავდნენ სიმშვიდეს. ყამობღევეული ეგიმურ იაკობაშვილი რომ ტრახახობდა, ხუთასი ოსი ბოვეიკი, ხუთასი ახალწვეული მოკვალთი და ზედ რუსი სამშვიდობოებიც მივაყოლეთო, ახლა ამერიკაშია ღუარსაბოთათქარიქესავით ჩოხით დამშვენებული, ამერიკელებმა ომი იციან, რომ "რამკანინ" დამნაშავე?! ომი დაიწვე და დანაშაულის დაფარვის მიზნით იძახი, ომი რუსეთმა დაიწყო, შენი ადვოკატები ნატო-დან თავზე ხელს რომ გისვავენ, არ იციან, რუსეთი ომს კი არ იწყებს – არამედ ამთავრებს. კარლოს XII-მ, ფრიდრიხ II-მ, ნაპოლეონ I-მა, პიტლურ პირველმა და უკანასკნელმა, მსოფლიო თავისი რომ ეგონათ, კისერი რუსეთში მოიტეხეს, ქართველი ხალხი კი რუსეთის განუყრელი მეგობარია და არასდროს ავიწყდება მასთან ძმური ურთიერთობის სიკეთე.

ომი უცხოეთის ლაქია ნაცისტებმა დაიწყეს, ქართველებს და მისი მომძე ოსების ბუდი ვეხებოქ რომ ჰკიდათ. იმის მავერ, რომ გადამღვარევენ და სირცხვილით თავს გარეთ არ ჰყოფდნენ, ქვეყანას იკლებენ – კორუფცია მოესპეთო.

ბავშვთა გასართობი კომპლექსი "ციცი-ნათელი" ივანიშვილმა ააშენა. სააკაშვილმა ზარ-ზეიმით და ტრახახით გახსნა, მე ავაშენეო. ივანიშვილმა ეს მრავალ მილიონად დირეკული კომპლექსი სახელმწიფოს ანუქა ახალგაზრდობის უფასოდ მომსახურების იმედით. ამათ კიდევ სომხებს მიჰყიდეს და ის ფული, ეშმაკმა იცის, რაში გაფლანგეს. ივანიშვილმა თავისი აშენებელი კომპლექსი სომხისაგან ძვირად გამოისყიდა, რომლებმაც ეს ოპერაციით ორი მილიონი დოლარი მოიგეს. ახლა, იქნებ გაარკვიოთ, ვინ კორუმპირებულია და ვინ დიდხელად მამულიშვილი; ვინ საქართველოს მოქალაქეობის დირსია და ვინ უღირსი. გაუიფე ტყე, მინდორი, ტბა, მიწა და წყალი. რომელი ქურდი, ავაზაკი და თაღლითი შედლებდა ასე ძირფეხისადად ეროვნული სიმდიდრის მოთხრას?!

ამ მძიმე განსაცდელის ეამს ბიძინა ივანიშვილის ქვეყნის გადარჩენისათვის თაღადებული მებრძოლის მძიმე, კვლიან და სახიფათო გზაზე დაღვამა ქართველი ერის ყველაზე ღირსეულ მამულიშვილთა შორის მოხსენების დირსია. უფრო მეტიც, მის უაღრესად კეთილშობილურ საქმიანობას ვინც გაეცნობა, მიხვდება, რომ საქართველოს ამშვენებს ისეთი ეროვნული გმირი, რომლის მსგავსი მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება.

ვერც იმათი დაღვაჯი გააფერმკრთალებს ივანიშვილის კაშკაშა ვარსკვლავს, ვინც მის ზეადამიანურ კეთილშობილებას ურქნეს, ან უმადურობის დვარღლით სერის მადლიერების საპატიო გრძობას.

ამას წინათ რეზო ჭყიშვილმა ოპოზიციური ინტელიგენციის რწმომადგენლები ცვედანებად მოიხსენია და მიხვდი, რომ ეს კეთილშობილი ადამიანი ზეწოლის გარეშე ამას არ იკადრებდა; ამათ ერთი გარდასული ამბავი გამახსენა – როცა ბატონი რეზო ჯერნად "განთიადი"-ს რედაქტორი იყო, ლექსები მიეუტანე და სუპის დილეკაზე ჩემი ტანჯვის დღეებზე ვისაუბრეთ. მან მოხივრა, ყველაფერი დამეწვრა; მეც სიამოვნებით დაეთანხმე და 1990 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი მოვინება "შასაღს ამოზარებულ დღეთა ჩანაწერებში". გაზულექსებულმა ბღენიბებმა მაშინ ისეთი სიმართლის მათარხის სიმწერე იფიქრე, რომ სიცრუეზე მორგებული ძალადობის დვარღლი უხვად ამოაფრქვეს, თუქცა, უკვე გაზარული, მაგრამ ჯერ ისევ მომქმედი თანამდებობის ნაჭუჭიდან. მწარედ ინანეს, რომ სუპის დილევიდან ცოცხალი გამომიშვეს და ხელახლა სცადეს ჩემი უკან შებრუნება. საქმე აღძრეს ცილისწამება-შეურაცხყოფაზე და ძალადობის მექანიზმი ძველები უნერგოთ აამოქმედეს. მაშინ შეშინებულმა და დათრგუნულმა ბატონმა რეზომ მითხრა, რომ ამათთან დავიდარბის

თავი არა აქვს და რაც დამავალეს, ის დავეცრეო. კერძოდ, რომ იწიკო ლექსები მიეუტანე, არ დაბეჭდა, მერე იზრადით დაგადექი და ძალათი გამოვაქვეყნებინე ჩემი მოვინება. ვუთხარი: არ ინერვიულო, მეც ვიტყვი, რომ ძალათი გამოვაქვეყნებინე-მეთქი. მაშინ ჩემი ციხეში შებრუნება სიკვდილის ტოლფასი იყო, მაგრამ საშინლად წამებანაწვენეს ბატონი რეზო შემეცოდა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, გავაგრძელებ: თხუთმეტი თვე იყო გასული ჩემი სუპის დილეკაზე ყურე გამოშეყვდევდიან. ხმა დაეკარათ – მოკვდა და მაცივარში ყავთო. ჩემი მეუღლე მარტო იმ იმედზე იყო, "ვერედანს" რადგან იღებენ, ცოცხალი იქნებაო. მე კი შიშშილობით ვითხილვი სიმათრელს იმ უსამართლობის და ძალადობის ჯოჯოხეთში.

ამ დროს გამომიძახა პროკურატურის გამოძიებულმა (გვარს არ ვამბობ, უხერხულობა რომ არ იგრძნოს), რომელიც დაენიშნათ მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების უფროსად. მითხრა, შენი ბრალდების შეთითხვანაში მე ცოლდა არ მიმიძღვის, ახლახან დამინიშნეს და ვერაფრს შეეცდები, რადგან შენი ბუდი ზვეით გადაწყდა. თქვენებს "ვერედანის" იმედი აქვთ, რომ არ მიიღო, მკვდარი ვეონებით და შენი ავადმყოფი მეუღლე ამას ვერ გადაიტანსო. "ვერედანი" გადმომცა და თავისი ოჯახის ნობათიც დაუმატა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სითბო მეწვია მაშინ, თავი მგლის სროვაში რომ გგონია და ყოველი მხრიდან კენას ელოდები, უცებ ამხელა თანავერძობა...

მოვინებაში მეწერა: სუპის დილევიდან რომ გამოვედი, ჩემი ნივთებიდან საათი და ვერცხლის ჯვარი ძეწვრით აღარ მომცეს, გამოძიებულმა წაიღო. მერე კავივთ, რომ იმ გამოძიებულს წაელო და დაკარგოდა. მე მაშინვე დავწერე, რომ აღნიშნული ნივთები გადმომცა და გამოვიყვანე რთული მდგომარეობიდან. ამათ გამოძიებულ ვაგახარე, სამაჯიროდ მეც ვიგრძენი შეება, რადგან განუკითხობაში განცდილი თანავერძობის სითბო უმაღურებაში არ გაეთოშე. მაღალი რანგის პროკურორები კი დამირწოდნენ კოლნონაში და პატიმრებს ჩემზე ცრუ ჩვენების დაწერას აძალდებდნენ, რომელთაც ეს არ იკადრეს. ის დრო აღარ იყო, ჯერ რომ დაიჭერდნენ მათთვის არასასრუველ პიროვნებას და მერე აგროვებდნენ სამხილებს. ახლა წინასწარ თითხინდნენ ბრალდებას, რადგან ძალადობას და განუკითხობას ბზარი ჰქონდა შეპარული. მერე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება მოვიდა, რომელიც ისე მალე დაამხეს, რომ ქვეყნის სასიკეთოდ ხელის გატოვება არ აცადეს. პროკურატურა კი მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემზე ნადირობდა, მაგრამ ამას არ გავუერთებო ბივარ და ზოგიერთი ფანჯრის მტრედითი ავტომატით არ მიბრუნია იმ ხელისუფლების დასამხობად.

მორედ შემოვარდა ქართველთა უბედურება – შვედრანბაქე და მოთხარა რაც სასიკეთო იყო. რა მოსთვლის იმ კენესა-გოდებას, რაც მან ქართველობას თავს დაატეხა, მაგრამ სამეგრელოს განდარული დარბევა დღესაც შეუხორცებელ ჭრილობად სტანჯავს ქართველთა უბედურებანაწვენე ხსოვნას. ის კი გავარდნაძებული და ამქვეყნიური განკითხვიდან თავდაღწეული ინტერვიუებით ცდილობს ცოდვების გახსნებას, რომელსაც მტკვარი და რიონი ვერ ჩამორეცხს. კიდევ კარგი, რომ ღმერთი არ სწამს, თორემ იმქვეყნიური უფლის სამსჯავროს გახსნება გაუფრთხობდა კრწანისულ სიმშვიდეს.

ჩემი უღმერთო წამების მიხევი კი ყოფილმა რესპუბლიკის ყოფილმა გენეროკურორმა რაზ-მაძემ თავის მოვინებაში გამოიტანა დღის სინათლეზე; შევარდნაძემ დაგვაგადა სომხ-იშვილის დაპატიმრება და მალევე თანამდებობის პირზე ცილის დაწამება, რაც ვერ ვთქმევითო.

ოცდარვა თვე ვლესე სუპის დილევის კედლები. ეს როგორი სამოთხეა, ვინც იქ ერთი კვირა მაინც გაატარა, იმას ჰკითხეთ. მე კი სინდისის ძარღვაწვევილი ცვედანის გამძღარი ქოსმინიეთ ცხიმიან ცხოვრებას სინდისის მოფრთხილება, უბედურებაში და გაუსაძლის გატრევაში ფართხალი ვარჩიე-არ ვნანობ, რადგან პირუტყვის გაუმადლობას კაცური სინდისი არ შევაჭამე...

იმ წასულ ცხოვრებას რაც უარყოფითი ჰქონდა, მისი შემოქმედი აგერ, კრწანისის რეზიდენციაში ნებიერობს. რაც შეეხება ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, განათლების, მეცნიერების, კინოსა და ყველა სხვა დამსახურებული მოღვაწე მაშინდელმა ცხოვრებამ გამოაჩინა. იმ წარმატებული შემოქმედებითი ყოფის, დღევანდელი საგალოო გადასახედიდან, ვილადის სამამულებად აუვად მოხსენიება ცვედანად თუ არა, მამალ ბიჭობად მაინც არავის ჩაყოფდება. უმაღლრობის გრძობა კი ყველა უმაღლურის სინდისითაა გამაძებარი.

ცივილიზაციის განთიადიდან მომავალი, კაცობრიობის პატარა მარგალიტი – ქართველი ერთი კი უკვლავია, რამეთუ უმძიმესი გატრევის ეამს შეუძლია სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილების მომრავლება!

ბიჭი სომხიშვილი, მწერალი, სინდანი.

საკრებულო კომისია მიტოვებს შურსს და აკრძებს „ილორი“

„ილორი“ (ამბო საწყალი სლავა მეტრეველი მშვიერი მოკლეს) ანუ პირველი მსხვერპლი: „ილორი“

თბილისის „დინამოს“ კაპიტანი და ლეგენდარული 7 ნომერი, - ასე იცნობენ მანუჩარ მანაიძეს, რომლის სახელიც ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებულ პერიოდს უკავშირდება, მაგრამ მოხდა ისე, რომ ფეხბურთიდან წაიხიდა და მას მერე აღარ გააქარეს საქმეს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა. პარლამენტარად იყო და საკრებულოს დეპუტატად, მაგრამ მაშინაც და ახლაც საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა ჰქონდა და აქვე საოცნებოდ. როგორც გვიხსნის, გადაწყვეტილება ათწლიანი დამოკიდებულების შედეგად:

— აქამდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ვფიქრობ მოვიდა დრო, ხმა ამოვიღო. 1995-1999 წლების პარლამენტში (ფრაქცია „მეორე რიგის“ წევრი ვიყავი), „მოქალაქეთა კავშირი“ იყო მმართველი პარტია. მიანდათ, რომ შეუცვლელად იყენებდნენ ამ პარლამენტში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, ეროვნების გრაფა ამოიღეს დოკუმენტაციიდან. ამ გადაწყვეტილებას პარლამენტში პირველი მოსმენით ისე უყარეს კენჭი, არც ვიცოდით. მეორე მოსმენაზე მე და გურამ შარაძემ ავტომატურად ერთი ამბავი. პლემბისციტის ნატივებს ვითხოვდით, მაგრამ ვინ დაგვიგდო ყური? ამის მერე მე და გურამ შარაძემ დავაფუძნეთ პარტია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, თავმჯდომარე გურამი იყო, მე — მოადგილე. მიტინგებიც ჩავატარეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ფაშისტებს გვეძახებდნენ. საქართველოს მაშინ „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელობით კოსმოპოლიტური მთავრობა ედგა სათავეში და 2003 წლის მერეც კოსმოპოლიტები მართავდნენ ქვეყანას.

„მოქალაქეთა კავშირის“ რადიკალური ფრთა გადავიდა „ნაციონალურ მოძრაობაში“ და მეტი აგრესიით ამკვიდრებს კოსმოპოლიტიზმს.

საქართველოში ჩამოსახლებულ ემიგრაციას ვეყვანას. საქართველო ცარიელი ტერიტორიაა თუ განუვითარებელი და ჩლუნგები ვართ, რომ ჩამოსახლებულდება გვასწავლონ რამე? ვერ იტანენ, რომ ქვეყანაში დაახლოებით 85% ქართველია, დანარჩენი — სხვა ეროვნების. რუსეთში სხვა ეროვნების მოსახლეობის 20%-ია, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, მიწას

არ ყიდნიან. საქართველოს ზღვისპირეთი თურქებმა იყიდეს. მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ და წაიღებენო, ეს ზღაპარული შვილიშვილებს მოუყვანენ. თუ ინგლისური ენა არ იცი, ატეხტატს არ გაძლევენ, რომელ ქვეყანაშია ეს? ეს ძალადობრივი ასიმილაციაა, რაც მოელ მსოფლიოში დაგმობილია.

ადრე კომუნისტური პარტია გვარუსებდა და ახლა ვინცაა უნდა აქ ინგლისურენოვანი კოსმოპოლიტური სახელმწიფო შექმნას.

მაშინ ის მაინც ვიცოდით, რომ საფრთხე ჩრდილოეთიდან მოდიოდა, დღეს კი ვერ გავგეგოთ, ვინ გვებრძვის და რას გვიპირებს. აქეთ ბურები, იქით ლახიკა და დაპატივება, საქართველოში ჩამოდით და იცხოვრეთო. ხალხი უნდა გამოფხიზლდეს და არჩევნებზე არ მისცეს ხმა კოსმოპოლიტ პოლიტიკოსებს. ხელისუფლებაში პარტიოტები უნდა მოვიდნენ.

— ახლა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ივანიშვილის გუნდია, სადაც ფეხბურთელი კახი კალაძეც არის, რომელმაც ეროვნული ნაკრები დატოვა.

— კახი კალაძეს ყოველდღიურად 19 ათასი დოლარით აჯარიმებენ. ასეთი ცირკია ჩვენი ცხოვრება. ხელისუფლება ვითომ ემეგობრებოდა და როგორი ხელშეკრულება დაუდეს, კაცი ხომ არ უნდა გააკოტრო? საწყენია, როდესაც ფეხბურთელი პროტესტის ნიშნად ტოვებს ნაკრებს... თან ჩვენი ნაკრები ცუდ მდგომარეობაშია. კახი მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ერთი კაცი ამინდს ვერ შექმნის. ექვს გუნდში მეხუთე ადგილზე რომ ხარ, არ აის საამაყო.

— თქვენი დროის „დინამო“ რატომ იყო მოწინავე?

— მაშინ სახელმწიფო პატრონობდა ფეხბურთს. მცდარი არჩევანი გააკეთეს, ფეხბურთის სადავეები უცოდინარ ხალხს რომ ჩაუგდეს ხელში. კომპარტიამ უდიდესი ნდობა გამოუცხადა ნოდარ ახალკაცს და ვისაც მისი მსოფლმხედველობა არ მოგეწონდა, „დინამოდან“ გაგვიშვეს (მე რომ წავედი, ჩემი ძმა, კოპალეიშვილი, დავით გოგია და კანთოლაძე მომაცილეს) და განკარგულხარე გასცეს, ვეგები ფეხბურთში აღარ დავინახოთ.

— ფეხბურთი კვლავ სკანდალებისა და მითქმა-მოთქმის არენად რჩება. თუნდაც გიორგი დემეტრაძის შემთხვევა გაეინსნო.

— ჩემს უმცროს კოლეგას თანაუგრძობს. ის პოლიტიკას შეეწირა. ძალიანაც რომ მოუნდობებინა, დემეტრაძე ქურდი და ქურდული ტრადიციების მიმდევარი ვერ იქნებოდა. მაგას ქურდად არავინ არ წამოაყენებდა, რადგან „დინამოში“ ჰქონდა ნათამაშები, „დინამო“ კი შს სამინისტროს გუნდი იყო. გუნდის კაპიტანი რომ ვიყავი და ხელზე სამკლავური მეკეთა, რომელი ქურდი დამელაპარაკებოდა? ასე იყო საწყალი დემეტრაძეც.

ის „დინამო“, სადაც მე ვთამაშობდი, კარგი ზღაპარი იყო და დამთავრდა. 1980 წელს წამოვედი გუნდიდან და 30 წელიწადი ვერ მივაღწიე იმას, რომ საფეხბურთო სკოლაში მეშუშავა.

— თქვენი ყველაზე დიდი გამარჯვება რომელია?

— 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. მიველი წელი ველიდებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობდა. არც იყო გასაკვირი, რუსები იყვნენ და უნდოდათ, ჩემპიონი რუსი ყოფილიყო. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი თამაში იყო დარჩენილი. ფრე გვეკირდებოდა, მაგრამ ლენინგრადის „სენიტთან“ ვავაგეთ. იცით, რატომ მოგვიგეს? ყინვა იყო. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია განგებ ისეთ გრაფიკს გვიდგენდა, რომ 15-20-გრადუსიან ყინვაში გვეთამაშა. ყინვაში რუსებს ესპანეთი და ბრაზილიაც ვერ მოუტყვენ. მორიგი თამაში მოსკოვში გვეჭონდა „ლოკომოტივთან“. მოსკოვში საშინელი ყინვა იყო, მაგრამ როგორც იქნა, ფრედ დავამთავრეთ მატჩი. ჩემპიონები გავხდით, მაგრამ ბოლო თამაში თბილისში მოსკოვის „ტორპედოსთან“ გვეჭონდა. 22 დავამთავრეთ და რუსებმა მაშინ გვიკბინეს, ჩემპიონი ფრეთი ამთავრებს ჩემპიონატს.

თამაში რომ დასრულდა, გამოვედი სტადიონიდან, მაგრამ ვინ გავგიშვა? ჩვენი ავტობუსი ხალხით გარშემორტყმული დაიძირა. ქართული დროშების ფრიალით და „საქართველოს გაუმარჯოს“ შეძახვებით! ასე გავიარეთ პლესანოვი, ელ-

ბაქიდის აღმართი და ლენინის მოედნისკენ წავედით. იქ მოხვედეს, სიტყვით გამოდიო. გარშემო კომუნისტები იყვნენ და რა უნდა მეთქვა. დავიძახე — საქართველოს გაუმარჯოს-მეთქი. მამალ კომუნისტებს არ მოეწონათ პარტიოტიზმის გამოვლინება. მე ისევეც დისიდენტად მოველიდნენ. გოლს რომ გავიტანდი, აწვეული ხელით გამოვვარდებოდი. როგორ შეიძლება, ასე რომ გამოვარდები და ახტები, ცოტა თავი შეიკავო, მეუბნებოდნენ პარტიული ფუნქციონერები. 92 თამაში ჩავატარეთ პირველობაზე და აქედან 72 მოვიგეთ. ასეთი შედეგი „ბარსელონასაც“ არ ჰქონია. მოედანზე შენს თავს უნდა აჯობო და ამას სამშობლოს სიყვარული გაკეთებინებს. როდესაც გრძობ, რომ შენ უკან სამშობლო დგას, ეს გაძლევს ძალას.

— რა განწყობით ხვდებით ახალ წელს?

— ჩვენი მოვალეობაა, მარტო საკუთარ თავზე კი არა, ქვეყანაზეც შეგვტკიოდეს გული. კაცი მილიონერი რომ ხარ, იმ ადამიანზე უნდა იფიქრო, ვინც ნაგვის ურნაში ეძებს საჭმელს. იმედს მაძლევს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც გაჭირვებულზე ფიქრობს. მეორე წელია 1.500 ლარს მაძლევს, ამ ხელისუფლებამ კი ბევრი ცული გამოიკეთა. თბილისის კერი ნიკო ლეიშვილი რომ იყო, ვთხოვე, თბილისის „დინამოს“ ტერიტორიაზე ღობესთან მდლაზების აშენების უფლება მიეცა ფეხბურთელებისთვის. ფაქტობრივად, სტადიონი ჩვენი ფულით აშენდა. „დინამო“ წელიწადში ქვეყანას 6-7 მლნ მანეთისა და 2 მლნ დოლარის მოგებას აძლევდა, ხელფასი კი 200 მანეთი გვექონდა. 32-მა ფეხბურთელმა ავაშენეთ მდლაზები, მაგრამ უბუნებლად დავგინებია. მასხოვს ის კაცი, ვინც ამ ნაგებობებს ანგრევდა, ღამის სიხარულისაგან ტიროდა. სახელმწიფოს ჩემთვის ფული არ მოუტოვა, ვიშოვებ, გავაკეთე და დამინგრია. ამათ საწყალი სლავა მეტრეველი მშვიერი მოკლეს. ერთმა ფეხბურთელმა, გვარს არ ვიტყვი, უთო გაყიდა, რომ პური ყვიდა.

მინდა ჩემს ხალხს სიყვარული და გამარჯვება, ჩვენი ქვეყანას კი გამოვლიანება ვუსურვო. მინდა ქართველი ხალხი გამოფხიზლდეს, სამშობლოს სხვას ნუ ჩაუვადებთ ხელში საფიქრანდა.

ი.ბიბიძე

იშვარი

- ამბობენ, თქვენმა ვაჟმა სამსახური იშვავა!
- დიას, ბონინში საქონელს კლავს.
- კმაყოფილია?
- დიას, ბავშვობიდან უყვარდა ცხოველები.
- ***
- ებრაელი ქალიშვილი დედას:
- სულ ექვსი დღეა, რაც დავქორწინდი, ჩემი ქმარი კი სადამოს სასტუმროში წავიდა დასასვენებლად.
- არა უშავს, ღმერთმა დააწესა მეშიდე დღეს დასვენება.
- ***
- ორი თანამშრომელი საუბრობს:
- შენი ანეკდოტი ჩემს ცოლს მოეუყვი და ორი კვირა არ მელაპარაკება!
- გადასარევი, ახლა შენს სიდედრს მოუყვი!
- ***
- დიასხლისი სტუმარს:
- უკვე მიბრძანდებით? ხომ არ ისადილებთ? გარეთ წვიმს.
- რა გაქვთ სადილად?
- მოხარული მაკარონი.
- იცით, არც ისე ძალიან წვიმს.
- ***
- მამაკაცებს ყოველთვის უმართლებთ საოჯახო ცხოვრებაში: ისინი გვიან ქორწინდებიან და ადრე კვლავ ბიან.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 10.8 მილიარდი

როგორც ეროვნული ბანკი აცხადებს, ის იწყებს საგარეო ვალის შესახებ დამატებით კიდევ ერთი ცხრილის პუბლიკაციას, რომელშიც საგარეო ვალის წარმოების გარდა ასახულია საგარეო ვალის ცვლილების დეტალები. გარდა ამისა, კიდევ ერთი სიახლეა საგარეო ვალის სტატისტიკაში, კერძოდ, ეროვნული ბანკი ამახადებს და იანვრიდან იწყებს საგარეო ვალის მომსახურების გრაფიკის პუბლიკაციას. გადახდის გრაფიკები (ძირითადი ვალისა და პროცენტის) გამოქვეყნდება საანგარიშო პერიოდის გასვლიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. შესაბამისად, 2012 წლის 10 იანვრამდე ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია 2011 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით არსებული საგარეო ვალის მომსახურების გრაფიკის შესახებ.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 2011 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 10.8 მილიარდი აშშ დოლარი (17.9 მილიარდი ლარი) შეადგინა. აქედან, 3.6 მილიარდი აშშ დოლარი (5.9 მილიარდი ლარი — 33.2%) იყო სამთავრობო სექტორის ვალი; 866.6 მლნ აშშ დოლარი (1.4 მილიარდი ლარი — 8.0%) — ეროვნული ბანკის; 2.0 მილიარდი აშშ დოლარი (3.2 მილიარდი ლარი — 18.1%) — საბანკო სექტორის; 1.9 მილიარდი აშშ დოლარი (3.1 მილიარდი ლარი — 17.4%) — სხვა სექტორებისა და 2.5 მილიარდი აშშ დოლარი (4.2 მილიარდი ლარი — 23.3%) — კომპანიათა შორის ვალი.

მთლიანი საგარეო ვალის 95.3 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით. საინტერესოა, რაში დაიხარჯა ამდენი თანხა, რადგან არც საქართველოს სოფლის მეურნეობას, არც მრეწველობას, არც დევიდებს და არც სოციალურ სფეროს არაფერი ეტყობა, რომ ამ ვალიდან მათ განვითარებაზე რამე დახარჯულიყო, ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ობიექტების მშენებლობა-რეკონტის ხარჯებს კი მთლიანად ივანიშვილი იღებდა საკუთარ თავზე.

აბა, სად წაიღეს შევარდნაძე-სააკაშვილის ბანდებმა (განა მხოლოდ ბანდიტი არ გაპარცვავს დღისით-მზისით, ქალაქის ცენტრში, საინკასაციო მანქანას, როგორც ეს ბანკ „ქართუს“ საინკასაციო მანქანას მოუწვევს ქართველმა ზონდერებმა?) ამხელა თანხა. აი, რისი დადგენა დასჭერდება, უპირველესად, საქართველოს ახლადარჩეულ პარლამენტს!

საქინფორმის და „ილორი“



ISSN 1987-8966 ილორი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული, სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი

სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, თამარ ქორიძე, თანგიუ კუბლაშვილი, კლინია შალია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალავაია (ვალი)

ბეჟინიური რედაქტორი: მიხეილ როდრიგოვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთი „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე WWW.saqinform.ge